# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 10 ივლისი 2001 №127 (1400) | ფასი 50 თეთრი


# REAL MADRID მსოფლიოს ნაკრებს ქმნის: რაული, ფიგუ, ზიდანი! იქნებ მენდიეტაც...




REUTERS

გუშინ „რეალის“ ორმა პრეზიდენტმა, რეალურმა და საპატიომ, ფლორენტინო პერესმა (მარცხნივ) და ალფრედო დი სტეფანომ საზოგადოებას წარუდგინეს მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშე, 64,45 მილიონ დოლარად შეძენილი ზინედინ ზიდანი



REUTERS

სანატრელი, დამსახურებული, დაგვიანებული: გორან ივანიშევიჩი უიმბლდონის ჩემპიონის თასით

## მე ეს შევძელი!

### ჩემპიონმა ივანიშევიჩმა უიმბლდონის წვიმაზე ილოცოს

უიმბლდონის ჩემპიონი, კლასიფიკაციით 125-ე, რომელიც ძირითად ბადეში მხოლოდ ორგანიზატორთა საგანგებო მიწვევით, „უაილდ ქარდით“ მოხვდა; მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული საჩოგბურთო ტურნირის მხრის ტრავმით განამებული გამარჯვებული, ყოველ საღამოს ერთ მუჭა ტკივილგამაყუჩებლებს რომ ყლაპავს; ჩოგბურთელი, რომელიც პრესკონფერენციაზე საკუთარ შიზოფრენიულ მიდრეკილებებზე ხუმრობს და მატჩს ყველა ჩოგნის დამტვრევის გამო ვერ აგრძელებს: ეს გორან ივანიშევიჩია.

გუშინ უიმბლდონის ცენტრალურ კორტზე სამართალი აღდგა და ცაცია ხორვატმა ასე სანატრელი, ასე დამსახურებული და ასე დაგვიანებული მთავარი ჯილდო მოიპოვა.


იხილეთ მეთოთხმეტე-მეთხუთმეტე გვერდები

ჩემპიონთა თასი 2001-02. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

## ლინფილდი — ტორპედო

ბელფასტი. „უინძორ პარკი". ტევადობა 28 500. 11 ივლისი

# ტორპედო ბრიტებს გაახლებული შეებრძოლება

**მორჩა** სალიგო სამზადისი. დღეს ჩვენი ჩემპიონი „ტორპედო" ჩრდილოეთ ირლანდიაში მიფრინავს, ხვალ კი ყველაზე პოპულარული ევროპული საკლუბო ტურნირის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩს გამართავს: ბელფასტის „უინძორ პარკზე" ჩრდილოეთ ირლანდიის უსახელოვანეს კლუბს, „ლინფილდს" დაუპირისპირდება.

როგორც იცით, „ტორპედოს" არცთუ ბევრი დრო, ოდენ სამი კვირა ჰქონდა ბრიტანელებთან თამაშისთვის მოსამზადებლად და ამ პერიოდში მისი გაწვრთნა გუნდის ორი თავკაციდან ერთ-ერთმა რევაზ ძოძუაშვილმა იტვირთა. ტორპედოელებმა საკუთარ ბაზაზე გაიარეს შეკრება, შვიდი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარეს, ერთხელ ფრედ ითამაშეს და ექვსი მოიგეს, საერთო ჯამში მეტოქეებს 26 ბურთი გაუტანეს და 5 გაუშვეს. ბოლო ამხანაგური ქუთაისელებმა შაბათს გამართეს „მეტალურგთან" და მანამდე ორჯერ ძლეულ ზესტაფონელებს ამჯერად უფრო სოლიდურად მოუგეს — 8:1. ამ რვიდან 3-3 გოლი ზვიად ქუთათელაძემ და ბორის გონჩაროვმა მიითვალეს, თითო-თითო — შალვა ისიანმა და დიმიტრი პარამონოვმა.



ყოფილი შერიფელი და აწ უკვე ტორპედოელი ანდრეი პოროშინი

ბევრი სიახლეა დღესდღეობით ქუთაისურ კლუბში. სხვადასხვა მიზეზით იგი აქამდე ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა, ზოგიერთის ბედი ჯერაც გაურკვეველია. გუნდი ახალწვეულებით შეივსო, „ტორპედო" ლამის სანახევროდ გადახალისდა.

ქუთაისელები ბელფასტს ასეთი შემადგენლობით მიემგზავრებიან:

*მეკარეები: დავით გვარამაძე (1), ზვიად სტურუა (16)*

*მცველები: მიხეილ მაზვილაძე (3), გივი დიდავა (4), სევასტი თოდუა (5), რევაზ ქემოკლიძე (6), ვალერი აბრამიძე (12), ვახტანგ აკოფიანი (21), ლაშა ჭელიძე (22), ვახტანგ ზვადაგიანი (24)*

*ნახევარმცველები და თავდამსხმელები: კახა კვეტენაძე (7), ზვიად ქუთათელაძე (9), მიხეილ აშვეთია (10), პაატა გვირჯიშვილი (11), რომან ახალკაცი (15), შალვა ისიანი (17), ბორის გონჩაროვი (18), ანდრეი პოროშინი (19), მალხაზ ასათიანი (20)*

არ არის გამორიცხული ამ სიას ბოლო მომენტში დაემატოს დიმიტრი პარამონოვი (25). უეფაში წარდგენილი განაცხადიდან „ტორპედოს" ჩრდილოეთ ირლანდიაში არ მიჰყვებიან — მეკარე ოთარ ბობოხიძე, ზურაბ იონანიძე, შოთა ბაბუნაშვილი, ვალტერ გუჩუა (სამივე ტრავმირებულია) და გიორგი შენგელია, რომლის ტრანსფერი, „ლოკომოტივიდან" „ტორპედოში", ჯერ ყოვნდება.

**იუზა ძაძიტაძე ქუთაისიდან**

# ქართულმა ტრიომ გააღწია, მუჯირი კი სკამზე დარჩა

**სიმფეროპოლის „ტავრიამ"** კურიოზულად გააღწია ინტერტოტოს თასის გათამაშების მესამე რაუნდში. გოჩა ტრაპაიძის, ვასილ გიგიაძის და შოთა ჩომახიძის გუნდმა მეორე ეტაპის პირველი მატჩი პირწმინდად დათმო ვარნის „სპარტაკთან" — 0:2, მაგრამ ბულგარელებმა ბავშური შეცდომა დაუშვეს, განაცხადში შეუყვანელი ფეხბურთელი ათამაშეს და უეფასგან სასჯელად ტექნიკური მარცხი — 0:3 მიიღეს.

აქედან გამომდინარე, საპასუხო მატჩისას ტავრიელებს იოლი ამოცანა ჰქონდათ გადასაჭრელი — არ წაეგოთ ოთხი და მეტი ბურთის სხვაობით.

საკუთარ კედლებში „ტავრიამ" გაცილებით უკეთ ითამაშა და მესამე რაუნდში გამსვლელ ფრეს გამოჰკრა ხელი. ქართველებიდან მთელი მატჩი სრულად ჩაატარეს ტრაპაიძემ და ვასილ გიგიაძემ, ჩომახიძე კი სათადარიგოთა შორის იჯდა. მასპინძელთაგან ქართველები საუკეთესონი იყვნენ მოედანზე. ანგარიში გიგიაძემ გახსნა მოჭრილი დარტყმით. ტრაპაიძემ კი ლომის წილი დაიდო მეორე გოლისას. უკრაინელი ჟურნალისტები გამორჩევით აღნიშნავენ იმ ეფექტურ პასს, დამაგვირგვინებელი დარტყმის წინ გოჩამ ქუსლით რომ გაუჭრა ხომენკოს.

ქართველების გუნდს მესამე რაუნდში დიდი გამოცდა ელის. „ტავრიას" მეტოქედ „პარი სენ ჟერმენი" ერგო.

თასისთვის გათამაშებას ჩამოშორდა დავით მუჯირის „შტურმი". ავსტრიელებმა „ლოზანასთან" სტუმრად ფრეს კი გამოჰკრეს ხელი, მაგრამ საშინაო მატჩი წაგებული ჰქონდათ. მუჯირს კვლავაც არ უთამაშია. ავსტრიულის მსგავსად, შვეიცარულ მატჩშიც სტატისტის როლში იყო — სათადარიგოთა სკამზე იჯდა. აქედან გამომდინარე, „შტურმში" მუჯირის დებიუტს ავსტრიის ჩემპიონატში უნდა ველოდოთ.

**ბაატა ძმანტალიანი**



საკუთარ კარში დუბლის გამტანი ჩელიკელი ეკრემ ბრადარიჩი (№6)

REUTERS

### ინტერტოტოს თასი. მეორე შესარჩევი ეტაპი
საპასუხო მატჩები

**რიზესპორი (თურქეთი) 0:2 პობედა (მაკედონია) (1:2)**
0:1 კრსტევი (6), 0:2 ანგელოვსკი (16)

**ჰაპოელი (ჰაიფა, ისრაელი) 0:1 დინამო (მინსკი, ბელარუსი) (0:2)**
0:1 კაჩურა (17)

**ლოზანა (შვეიცარია) 3:3 შტურმი (ავსტრია) (1:0)**
1:0 მასუდი (34), 1:1 ვასტიჩი (40), 2:1 მაგალაეშ და სილვა (61), 3:1 კუცბა (69), 3:2 მაასი (77), 3:3 მაელიხა (86)
შტურმი: სიდორჩუკი, ნოიკირხნერი, როხასი, ფერნანდესი, მაელიხი, რაინმაიერი (მაასი 59), ვასტიჩი, კორსოში, ფელდჰოფერი, პრეგელი (მელდტი 48), საბიჩი (ამოა 59)
დავით მუჯირი სათადარიგო იყო; მწვრთნელი: ივიცა ოსიმი; 1 600 მაყურებელი

**გენტი (ბელგია) 2:0 ჩელიკი (ბოსნია) (0:1)**
1:0, 2:0 ბრადარიჩი (22ს.კ., 82ს.კ.)

**სარტიდი (იუგოსლავია) 2:3 მიუნხენ 1860 (გერმანია) (1:3)**
0:1 მაქსი (9), 1:1 ბოგდანოვიჩი (29), 2:1 მუდრინიჩი (48), 2:2 იმუა (72), 2:3 ჩერნი (87)

**აიკ (შვედეთი) 2:0 ოდენსე (დანია) (2:2)**
1:0 ჰოხი (28), 2:0 ვანსტრანდ-ბიორკი (71)

**უნივერსიტატია (რუმინეთი) 2:2 სინოტი (ჩეხეთი) (2:3)**
0:1 მალარი (9), 0:2 პლაულეტი (40), 1:2 სავუ (60), 2:2 გრიგორიე (83)

**ლოკერენი (ბელგია) 2:1 ზაგლებე (პოლონეთი) (2:2)**
1:0 გრეტარსონი (41), 2:0 კომოტო (52), 2:1 რაძიუსი (65)

**ჯაზი (ფინეთი) 1:4 პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი) (0:3)**
0:1 ოკოჩა (10), 0:2 რობერი (32), 1:2 იუნტუნენი (53), 1:3 ოკოჩა (60), 1:4 იროუ (72)

**პეტრჟალკა (სლოვაკეთი) 1:1 ცელიე (სლოვენია) (0:5)**
1:0 ბედი (31), 1:1 ბოგატინოვი (36)

**ჰერენვენი (ჰოლანდია) 6:1 მეტალურგსი (ლატვია) (2:3)**
0:1 დობრეცოვსი (5), 1:1 იენსენი (7), 2:1 ლურლინგი (11), 3:1, 4:1, 5:1 ოლბოკი (52, 75, 82), 6:1 ლურლინგი (86)

**ტატაბანია (უნგრეთი) 4:0 ტილიგული (მოლდოვა) (1:1)**
1:0 პეკოვიჩი (63), 2:0 ლეტენიეი (71), 3:0 ნადი (80), 4:0 ტიუსკე (90)
ტატაბანია: ბალოგი, ობრადოვიჩი, ე. ფარკაში, შუცი, დ. ფარკაში, ვებერი, ტიუსკე, კისი (მორნიაკი 60), შაფრანეკი (ზივოცკი 53), ლეტენიეი, პეკოვიჩი (ნადი 72)
ვალერი ზირაძაძე განაცხადში ვერ მოხვდა; მწვრთნელი: ფერენც ებედლი; 400 მაყურებელი

**ტავრია (უკრაინა) 2:2 სპარტაკი (ვარნა, ბულგარეთი) (3:0)**
1:0 გიგიაძე (21), 1:1 სტანჩევი (26), 2:1 ხომენკო (45), 2:2 ადეკუნლე (83)
ტავრია: ვალიჩკო, ნაზაროვი, პოლიაკოვი, მიტროფანოვი, დონიუშკინი, ბოიცანი (ვოინაროვსკი 73), კრავჩენკო (მოჩულიაკი 51), ვ. გიგიაძე, ტრაპაიძე, ფოკინი (კუნდიენოკი 63), ხომენკო
შოთა ჩომახიძე განაცხადში ვერ მოხვდა; მწვრთნელი: ვალერი პეტროვი; 10 000 მაყურებელი

**ბასტია (საფრანგეთი) 0:1 სლავენი (ხორვატია) (0:1)**
0:1 დოდიკი (11)

**გრინდავიკი (ისლანდია) 0:2 ბაზელი (შვეიცარია) (0:3)**
0:1, 0:2 მუფი (15, 80)

# მეგოლეს კოჭს მაგიდაზე გაუგორებენ

## დინამო ფრაიბურგის ფორმაში

**ბაკურიანიდან** ჩამოსვლის შემდეგ თბილისის „დინამომ" ვიტალი დარასელია უმცროსის გარდა კიდევ ერთი ფეხბურთელი დაიმატა — ათგზის ჩემპიონებს ქუთაისის „ტორპედოდან" 25 წლის მცველი ირაკლი ვაშაკიძე დაუბრუნდათ.

დინამოელთა დამრიგებელმა გივი ნოდიამ ახლა ის 24 ფეხბურთელი უნდა შეარჩიოს, რომლებიც 11 ივლისიდან გერმანიაში გააგრძელებენ შეკრებას. სიაში ვერ მოხვდება „დინამოს" მეგოლე ზაზა ზირაქიშვილი — მას ერთობ გაურთულდა კოჭის ტრავმა. რენტგენური გამოკვლევით დადგინდა, რომ კოჭზე ძვლოვანი წამონაზარდებია და ქირურგიული ჩარევაა აუცილებელი. თუმც ეს ზუსტი დიაგნოზი არ არის, საბოლოო სურათი ოპერაციის დროს გამოჩნდება. ექიმთა ვარაუდით, ფეხბურთელი ოპერაციის შემდეგ სამ კვირაში შეძლებს ვარჯიშის დაწყებას, რაც იმას ნიშნავს, რომ 9 აგვისტოს უეფას თასზე „ბატესთან" პირველ მატჩში ზირაქიშვილი ვერ ითამაშებს. ზაზა თბილისში გაიკეთებს ოპერაციას ლოკალური ანესთეზიით.

„დინამოს" ამბებზე ერთსაც გეტყვით. ადრე გაუწყეთ, რომ გუნდი „ადიდასის" ნაწარმით შეიმოსებოდა. სათამაშო ფორმის ნიმუშებიც ჩამოიტანეს თბილისში, მაგრამ ბოლო მომენტში გარიგება არ შედგა, ახლა კი გადაწყდა — „დინამო" გერმანული ფირმა „იაკოს" (JAKO) პროდუქციას შეიძენს. ფორმის დიზაინი საგანგებოდ „დინამოსთვის" შექმნილი არ იქნება, ნიმუშები კატალოგიდანაა აღებული. ოთხ ფორმას იყიდის „დინამო", სამი მათგანი არაკომბინირებულია — ლურჯი, თეთრი და შავი (სათადარიგო), კომბინირებული ფორმა კი, რა თქმა უნდა, გუნდის ტრადიციული ლურჯ-თეთრი ფერებით გაიწყობა. ცნობისთვის, „იაკოს" ნაწარმით ბუნდესლიგის სამი გუნდი სარგებლობს — „კოტბუსი", „ჰანზა" და „ფრაიბურგი".

**დავით თაგართქილაძე**



ზაზა ზირაქიშვილი

# ციურიხს ყაველაშვილმა დააწყებინა



მიხეილ ყაველაშვილი

**წინა** ოთხშაბათს დაწყებული შვეიცარიის ჩემპიონატის პირველი ტური შაბათს მიხეილ ყაველაშვილისა და გოჩა ჯამარაულის „ციურიხმა" „სერვეტთან" სტუმრობით ჩაამთავრა.

„ციურიხმა" პირველი სამი ქულა მიითვალა, მიხეილ ყაველაშვილმა კი გუნდისთვის სეზონის პირველი გოლი. „სერვეტთთან" გოჩა ჯამარაულს არ უთამაშია, მას წინა ჩემპიონატში მიღებული ოთხი ყვითელი ბარათის გამო მოუხდა ამ მატჩის გამოტოვება. მიხეილ ყაველაშვილმა კი, როგორც ვთქვით, გოლიც შეაგდო, 90 წუთს ითამაშა, გუნდის ახალი მწვრთნელ ჯორჯ ბრეგისგან შექება და სხვა სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

— პირველი მატჩი იყო და, ცხადია, ძალიან გაგვიჭირდა — გვითხრა მიხეილ ყაველაშვილმა — გუნდში ახალი მწვრთნელი და სამი ფეხბურთელი მოვიდა. ორმა „სერვეტთანაც" ითამაშა, მესამემ კი, არგენტინელმა, კონტრაქტი გუშინ გააფორმა. ვფიქრობ, ნორმალურად ვითამაშეთ და დამსახურებულად მოვიგეთ. ყოველ შემთხვევაში, მწვრთნელი და გუნდის ხელმძღვანელები კმაყოფილნი დარჩნენ. კარგია და სასიამოვნო, პირველივე მატჩი რომ მოივგეთ, თანაც სტუმრად.

**— „ციურიხს" მოსამზადებელი პერიოდის შუაში შეუერთდი და თან ახალი მწვრთნელი დაგხვდა. ამ ეტაპზე შენი სათამაშო ფორმით კმაყოფილი ხარ?**

— ფაქტობრივად ერთი კვირა დავისვენე. შვეიცარიის ჩემპიონატი რომ დამთავრდა, მერე საქართველოს ნაკრებს ჰქონდა ორი მატჩი. ახლანდელი ჩემპიონატიც ჩვეულებრივზე ადრე დაიწყო და ისე გამოვიდა, რომ „სერვეტთან" მატჩამდე მზადება 10 დღის განახლებული მქონდა. არ გამჭირვებია, ეს 10 დღეც საკმარისი გამოდგა ფორმის აღსადგენად

**— გოლის გატანაც მოასწარი...**

— პარტნიორმა ჩინებული პასი მომცა და მეკარესთან პირისპირ დავრჩი. ეს მე-6 წუთზე მოხდა და ამის შემდეგაც, თითქმის მთელი მატჩი ჩვენი უპირატესობით მიმდინარეობდა, თუმც მეორე გოლი ბოლოსწინა წუთზე გავიტანეთ. რა ვიცი, კარგად დავიწყეთ და, ალბათ, ასევე გავაგრძელებთ, მით უმეტეს, გოჩა ჯამარაულიც შემოგვიერთდება. ჯორჯ ბრეგს მისი დიდი იმედი აქვს და წლეულს რომელიმე ევროტურნირზე თამაში დაგვიგეგმეს.

**კობა ინასარიძე**

### ინტერტოტოს თასი. მესამე შესარჩევი ეტაპი
პირველი მატჩები

ლოკერენი (ბელგია) — ნიუკასლი (ინგლისი)
ბლშანი (ჩეხეთი) — პობედა (მაკედონია)
რენი (საფრანგეთი) — სინოტი (ჩეხეთი)
სლავენი (ხორვატია) — ასტონ ვილა (ინგლისი)
ვალვაიკი (ჰოლანდია) — მიუნხენ 1860 (გერმანია)
ვოლფსბურგი (გერმანია) — დინამო (მინსკი, ბელარუსი)
ვერდერი (გერმანია) — გენტი (ბელგია)
ბრეშა (იტალია) — ტატაბანია (უნგრეთი)
ტრუა (საფრანგეთი) — აიკ (შვედეთი)
ტავრია (უკრაინა) — პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი)
ბაზელი (შვეიცარია) — ჰერენვენი (ჰოლანდია)
ცელიე (სლოვენია) — ლოზანა (შვეიცარია)

პირველი მატჩები — 14-15 ივლისი, საპასუხოები — 21 ივლისი

# დაშტერება და ფოკუს-მოკუსი

ინტერტოტოს თასი 2001. მეორე შესარჩევი ეტაპი. საპასუხო მატჩი

**ვიტ ჯორჯია 1:1 ტრუა estac**

თბილისი. „ეროვნული". 3 000 (ტევადობა 70 900) 8 ივლისი. 20 საათი.

0:1 გუსე (81), 1:1 მელქაძე (89)

ვიტ ჯორჯია: მერლანი, არეშიძე, ჭანკოტაძე, ინწკირველი, დ. დოლიძე (საჯაია 56), ყიფიანი, ლ. ნოზაძე (ფეიქრიშვილი 67), დილმელაშვილი, ადამია (ზ. მეტრეველი 58), გოგობერიშვილი, მელქაძე
სათადარიგონი: ქურიძე, გოჩაშვილი, ლ. კვარაცხელია, სულთანიშვილი
მწვრთნელი: ჯანი კარნევალი

ტრუა: ერბესი (სეკლი 46), ბრაჯა, სელესტინი, მენირი, აშედი, სეფი, ბუტალი, ჟუკიჩი (ო. ტომასი 63), როტენი (გუსე 73), ზამბერნარდი, გაზი
სათადარიგონი: ნიანგი, ა. ტომასი
მწვრთნელი: ალენ პერენი

გაფრთხილება: მენირი (69), ყიფიანი (69)

მსაჯები: დიმიტარ დიმიტროვი; იჩკო ლოზევი, ივან ვაწევი (სამივე ბულგარეთი); დრაგოსტინ პოლიაკი (ხორვატია)



გიორგი ყიფიანი ფრანგთა მეკარე სეკლიმ არ გაატარა

**დავით თავართქილაძე**

**ივლისის** ჩახუთულ, თბილისურ საღამოს ფრანგთა თავკაც ალენ პერენს ჰალსტუხის გაკეთება არ უთაკილია, გაკვირვებული იყურებოდა ზევით, ხან აღმოსავლეთ, ხან დასავლეთ ტრიბუნისკენ, განათების ნათურებს აკვირდებოდა, რომლებიც პირველი ტაიმის შუაგულში კანტიკუნტად აბდღვრიალეს „ეროვნულზე". დაშტერებამ წუთნახევარს თუ ორ წუთს გასტანა და ამან, ალბათ, ერთობ უარყოფითად იმოქმედა მწვრთნელის შეგირდებზე — „ვიტ ჯორჯია" პირწმინდად დაეუფლა უპირატესობას, სახიფათო მომენტების ჯერი მიიტანა ფრანგებზე, ოღონდ ვერაფერს გამორჩა...

„ვიტ ჯორჯიამ" ითამაშა ის, რაც იცის, რასაც საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში თამაშობს და ეს ყველაფერი კარგად გააკეთა. რა გაეწყობა, სხვანაირად ჩვენ გუნდებს არ შეუძლიათ და არც „ვიტ ჯორჯია" გამოდგა გამონაკლისი. თუმც ის კია, რომ ჯანი კარნევალიმ ახლებური განლაგებითა და სტრატეგიით ათამაშა გუნდი. დაცვის ცენტრი ჭანკოტაძესა და ინწკირველს ჩააბარა. ამათ საყრდენებად გამწესებულნი ნოზაძე და დილმელაშვილი ეხმარებოდნენ, ფლანგებიდან არეშიძე და დოლიძე. ერთი სიტყვით, „ვიტ ჯორჯიას" დაცვით ეშელონში ექვსი კაცი შედიოდა, ექვსი კაცი მოედნის მეორე მხარეს არ ადადიოდა. შემტევი არსენალიც ახლებური იყო, რადგან ფორვარდებს, ადამიასა და მელქაძეს ზურგს ყიფიანი და გოგობერიშვილი უმაგრებდნენ. თუმც გოგობერიშვილს მარცხენა ფლანგზე დოლიძის დახმარებაც ევალებოდა და ცენტრისკენ უკან დახევაც. შეიძლება ითქვას, კარნევალიმ მიზანში ზუსტად მოარტყა, გუნდის ხერხემალსა და ლიდერ ალეკო გოგობერიშვილს მოქმედების დიაპაზონი რომ გაუფართოვა. შედეგად ფრანგთა კარისკენ შეტრიალებული ყიფიანი ბურთს დაუბრკოლებლად იღებდა და 15-20 მეტრიან გამოზომილ პასებს, რაც მშვენივრად ეხერხება, უხვად ურიგებდა მელქაძესა და ადამიას — აი, ეს იყო „ვიტ ჯორჯიას" ფოკუს-მოკუსი, რასაც ოდენ გამოუყენებელი საგოლე მომენტები მოჰყვა.

პირველი სახიფათო იერიშიც მასპინძლების იყო. მელქაძემ მარჯვენა ფლანგზე იბრძოლა, ბუთრი გოგობერიშვილს დაუგორა, რომელმაც 20-22 მეტრიდან მცირედით აცილა „ცხრიანს". მერე „ტრუას" ჯერი დადგა. ბურთი გააგორეს ფრანგებმა, კარგად, მოხდენილად მოძრაობდნენ პერენის ბიჭები, სისწრაფეს დროულად ჩართავდნენ და „ვიტ ჯორჯიაც" მყისვე მძიმე მდგომარეობაში ვარდებოდა. ჩვენებმა არ იცოდნენ, რა ექნათ, როგორ აელოთ ალღო მეტოქის დინამიური თამაშისთვის („ვიტ ჯორჯიასთან" შედარებით „ტრუა" მართლაც ასე ირჯებოდა). არადა, ფრანგები განსაკუთრებულს არაფერს აკეთებდნენ, სისხარტის და სწორი მოძრაობის ხარჯზე გვაბრუებდნენ. საუკეთესო შანსი რაფიკ სეფის ჰქონდა, რომელმაც მთელი თამაში აიკლო „ვიტ ჯორჯიას" მარცხენა ფლანგი, მაგრამ საჯარიმოს ხაზიდან მიზანი ვერ გაისწორა.

მერე კი მოხდა ის, რაც ზემოთ უკვე გაუწყეთ — ალენ პერენმა თავი და თვალები ზემოთ აატრიალა და ვიტელებმაც თამაში შემოატრიალეს. ყიფიანის პასით მელქაძე სტუმართა საჯარიმოში შეიჭრა, მცველთა „დახმარებით" წაიქცა, მაგრამ დიმიტარ დიმიტროვმა პენალტი არ დანიშნა, თუმც მეორე ტაიმში ბულგარელმა არბიტრმა ნაღდად ინამუსა, როცა უკვე ფრანგებს ბუტალის წაქცევისთვის არ დაუნიშნა აშკარა თერთმეტმეტრიანი „ვიტ ჯორჯიას" კარში.

გიორგი ყიფიანმა მორიგი გადაცემა ადამიას მიაშველა. ვიტელთა ფორვარდი ფაქტობრივად პირისპირ აღმოჩნდა კარიდან საჯარიმოს გარეთ გამოსულ ერტებისთან, მაგრამ ჯერაც დაუხვეწავმა ოსტატობამ არ მისცა საშუალება, მოხდენილად და ზუსტად გადაეგდო ბურთი მეკარისთვის. შემდეგ მელქაძეს გაუჭრა პასი ყიფიანმა, თუმც ბურთს ვერც მელქაძე დაეუფლა, ვერც კვლავ კარმიტოვებულ ერტები. მალე ლევან მელქაძეს ასპროცენტიანი შანსიც მიეცა, როცა გოგობერიშვილ-ყიფიანის პასაობის შედეგად ოდნავ მახვილი კუთხით ფრანგთა საჯარიმოში პირისპირ შეატოვეს მეკარეს. მელქაძეს მცველებიც ვერ უშლიდნენ, მაგრამ გაუცუდდა დარტყმა ლევანს, შორეულ ძელს აცილა ბურთი.

თავი ვერც ფრანგთა ფორვარდმა გაზიმ გამოიჩინა, თუმც მას გაცილებით უფრო მახვილი კუთხიდან მოუხდა მსგავსი მომენტის გაცუდება.

რახან ახლოდან ვერ დაჯაბნეს ერტები, ვიტელებმა შორეულ დარტყმებს უხშირეს. გოგობერიშვილმა ოციოდე მეტრიდან გაისროლა და მეკარე ადგილზე დახვდა ბურთს. ალეკომ ჯარიმიდანაც სცადა ბედი — საჯარიმოს გვერდით ხაზთან დადებული ბურთი ღონივრად მოჭრილით მისგან ახლო ძელისკენ ჩაახვია, მაგრამ ერტებიმ მუშტებით რის ვაი-ვაგლახით უკუაგდო. უიშვიათესი ფლანგური იერიშიც განახორციელა „ვიტ ჯორჯიამ", მარჯვნიდან ჩააწოდა არეშიძემ და მელქაძემ 7-8 მეტრიდან მცრედით აცილა კარს, ერტები არც კი განძრეულა. ტაიმის ბოლოს კი ოციოდე მეტრიდან ადამიამ ვერ ივარგა.

მეორე ტაიმის პირველი წუთებიდან შებოჭეს ვიტელები, „ტრუა" გასაქანს აღარ აძლევდა მასპინძლებს. რა თქმა უნდა, ფრანები იმისთვის არ ჩამოვიდონენ, რომ 6:0-ის შემდეგ თავი შეეკლათ მეტოქისთვის, მაგრამ არც არაფრის დათმობას აპირებდნენ. არ გამოდგა მეორე ტაიმი პირველივით თვალსასეირო, მაგრამ ბოლო ათ წუთში ორი გოლი კი ვიხილეთ.

66-ე წუთზე გამოცოცხლდა მაყურებელი. „ტრუას" ერთ-ერთმა მცველმა ბურთი მეკარეს უხეიროდ დაუგორა, რომლისთვისაც ზურაბ მეტრეველი გაქანდა, მაგრამ სისწრაფეში ვერ დაჯაბნა სეკლი, ორთაბრძოლის შემდეგ ჰაერში აიჭრა ბურთი გოგობერიშვილისკენ, რომელმაც ვარდნაში, დაახლოებით 40 მეტრიდან კარისკენ გაგზავნა ის. ყველას გასცდა ბურთი, ოღონდ კაში არ შეგორდა, ძელმა აისხლიტა.

თამაში მშვიდად გრძელდებოდა. „ვიტ ჯორჯია" ველარ ამწვავებდა ვითარებას და „ტრუას" ჯერიც დადგა. ფრანგთაგან საუკეთესომ, საფიმ მარჯვნიდან ჩააწოდა, რასაც ბუტალმა არაზუსტი თავური მიაყოლა. კარნევილიმ მეორე ტაიმში საჯაიას კი უხმო მინდორზე, მაგრამ ვერც მან შეძლო საფის გამოთიშვა. და ისევ საფი, სისწრაფეების კვლავ მყისიერი ჩართვა, ბუტალის თავით დაგდებული ბურთი, საპირისპირო სვლაზე გამოჭრილი მერლანი და ნიკოლა გუსეს გოლი.

„ვიტ ჯორჯიამ" ბოლომდე იბრძოლა. კუთხურის შემდეგ „ტრუას" საჯარიმოდან უკუგდებულ ბურთს გიორგი ჭანკოტაძე დაეუფლა, ფრანგები ამოიწივნენ, თამაშგარეში დატოვეს რამდენიმე მეტოქე, მაგრამ ვიტელთა კაპიტანი არ დაიბნა, თავისთვის გაიგდო ბურთი, შეჰყვა მას, მარჯვნივ გაიჭრა და კარის გასწვრივ ჩააწოდა. არეულობა, რამდენიმე რიკოშეტი და მელქაძემ იყოჩაღა, ახლოდან ცოტა უხერხული მოძრაობით ცაციათი გაათანაბრა ანგარიში. გაიხარეს ვიტელებმა და „ეროვნულზე" მისულმა ქომაგობამ, საფრანგეთის მეშვიდე გუნდს თბილისში აღარ დავანებეთ გამარჯვება. „ვიტ ჯორჯიას" მეტიც მოუნდა, შმაგადაც ეკვეთა „ტრუას" და... სულ ეს იყო.



საკინკლაო რაღა იყო, მაგრამ ამ თამაშში მაბურებელმა ესეც ნახა

# თვრამეტი წლის შემდეგ... ვიტალი დარასელია დინამოელია

**18 წელია** მას აქეთ... თვრამეტი წლის წინ თბილისის „დინამოს" მარცხენა ფლანგი ვიტალი დარასელიას ებარა და თითქმის გაუვალი იყო. მაშინდელი „დინამოს" მარცხენა ფრთას ბევრი რამ შეეძლო. ინგრეოდა მეტოქის დაცვითი ზღუდეები, გაჰქონდა ვიტალი დარასელიას რიგითი და ოქროს გოლები.

მერე მარცხენა ფლანგი დაობლდა. ვერავინ ზიდა უმძიმესი ტვირთი. დროც შეუმჩნევლად გარბოდა და დღეს, 18 წლის შემდეგ, თბილსის „დინამოს" მარცხანა ფრთას, ამასთანავე მეექვსენომრიან მაისურას ისევ ვიტალი დარასელია ჩაიბარებს. დიდი მამის შვილი ერთ კვირაში ოფიციალურად დინამოელი გახდება.

— მოლაპარაკებები დამთავრებულია, პირობები — შეთანხმებული. კონტრაქტს „დინამოსთან", ალბათ, ერთ კვირაში გავაფორმებ და გუნდს გერმანიაში გავყვები შეკრებაზე.

ჩემი ყოფილი კლუბისგან პრობლემები არ მექნება. კიეველ არმიელებთან ხელშეკრულება დამიმთავრდა და ამიერიდან ერთი წლით დინამოელი ვიქნები. მერე კი ვნახოთ.

უმცროსმა დარასელიამ ტრავმა მოიშუშა. წელის ტკივილმა შეაფერხა მისი კარიერა და შეიძლება ითქვას, „დინამოსკენ" მოაბრუნა. რომ არა ის ტრავმა, დარასელია უმცროსი რუსეთის ჩემპიონატში ითამაშებდა...

...მას უფრო მეტი მოეთხოვება, ვიდრე სხვას. საქართველოში დღესაც ძალიან ბევრია ისეთი ქომაგი, რომელთაც მამამისის ფეხბურთი ახსოვთ. იქნებ გაუჭირდეს კიდეც, მაგრამ უკან დასახევი გზაც აღარ არსებობს. უკრაინული ცსკა-სა და ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ვიტალი დარასელია თბილისის „დინამოში" დაბრუნდა.

**მამუკა ქვანტალიანი**



ვიტალი დარასელია

# ტრიავნაში სამ-სამი

**უკვე** ათი დღეა, საქართველოს ვიცე-ჩემპიონი თბილისის „ლოკომოტივი" ბულგარეთშია შეკრებაზე. ქალაქ ტრიავნაში გუნდის მწვრთნელმა კახა ცხადაძემ მოსამზადებლად 24 ფეხბურთელი იახლა და როგორც „ლოკომოტივის" უფროსებმა გვითხრეს, სავარჯიშოდ ჩინებული პირობები აქვს.

ცხადაძის ხელმძღვანელობით თბილისელებმა ტრიავნაში ორი საწვრთნელი მატჩის ჩატარებაც მოასწრეს. „ლოკომოტივი" ბულგარეთის მეორე ლიგის გუნდებს გაეჯიბრა და ორჯერვე მოგებული დარჩა. რკინიგზელებს პირველ შეხვედრაში ბალაშვილის, სირბილაძისა და გილაურის გოლებით მასპინძლები 3:0 დაუჩაგრავთ, შემდეგ კი გოგიჩაიშვილის, ბალაშვილისა და ქორიძის გოლებისთვის მეტოქეს ერთით უპასუხია. სხვათა შორის, გასული სეზონის დამთავრების შემდეგ „ბათუმიდან" აბარგებულმა გელა ქორიძემ „ლოკომოტივთან" ერთად თბილისში კი განაახლა მზადება, მაგრამ ბულგარეთში გუნდთან ერთად გამგზავრებას არ აპირებდა. ახლა, როგორც ჩანს, გადაუფიქრებია და რკინიგზელებთან ვარჯიშობს.

19 ივლისამდე „ლოკომოტივს" რამდენიმე ამხანაგური მატჩიც აქვს დაგეგმილი, 20-ში კი თბილისში დაბრუნდება და „ტორპედოსთან" სეზონის პირველი მატჩისთვის მზადებას აქ გააგრძელებს.

**კობა ინასარიძე**

# მილანი: ახალი მწვრთნელი, ახალი სტადიონი, ძველი მიზანი

**1998-99 წლების** საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეორე ჯგუფში გამარჯვებული ძველი ანაგის „ლარწყალი" პირველ ჯგუფში გადასასვლელად მაშინდელი სისტემის თანახმად პლეი ოფში მოხვდა, თუმცა დედაქალაქის „დინამო 2"-თან და „თსუ"-თან დამარცხებით მიზნის განხორციელება ვერ შეძლო.

წინა სეზონში ბოლო ტურებამდე ლიდერებში მყოფ წნორის „მილანს" ერთი ნაბიჯიღა დააკლდა იგივე ამოცანის შესრულებამდე. ამ ორ კლუბს შორის საერთო კი ავთანდილ მანგოშვილი და ძველ ანაგაში აშენებული კოხტა საფეხბურთო სტადიონია, სადაც ორივე გუნდი საშინაო მატჩებს ატარებდა.

მომავალი ჩემპიონატისთვის მზადებასა და სამომავლო გეგმებზე სასაუბროდ სწორედ წნორის „მილანის" პრეზიდენტ *ავთანდილ მანგოშვილს* მივმართეთ:

— მომავალი სეზონისთვის სერიოზულად ვემზადებით. გუნდი შეძლებისდაგვარად გადავახალისეთ. კლუბი დატოვეს ჭყონიამ, სომხიშვილმა, სოსელიამ, ღუდუშაურმა და ლეკიშვილმა. გვყავს რამდენიმე ახალწვეულიც. ვცდილობთ, აქცენტი ახალგაზრდებზე გადავიტანოთ. გუნდს ახალი მთავარი მწვრთნელი დავუნიშნეთ — სოსო ბარამიძე. ჩვენს გუნდში ის მოთამაშე-მწვრთნელის ფუნქციას იკისრებს. მისი ძალიან მეიმედება. შეკრებას ჯერჯერობით ადგილზე გავდივართ, 15-ში კი რაჭაში მივდივართ მოსამზადებლად.

გარდა ამისა, ვაპირებ წნორში ახალი სტადიონის აშენებას, რომელიც თავიდან ხუთი ათას კაცზე იქნება გათვლილი, მომავალში მისი ტევადობა 30 ათასამდე გაიზრდება. ჩვენი მიზანი ძველებურია: უმაღლეს ლიგაში გადასვლა.

**კახა ზალამბერიძე**

**წინა** კვირის ბოლოს თბილისურმა „მერანმა" საკონტროლო შეხვედრაში თანაქალაქელი თსუ 3:2 დაამარცხა და ათდღიან შეკრებაზე ლაგოდეხს მიაშურა. ოთარ გაბელიას გუნდი იქ სამ ამხანაგურ მატჩს ითამაშებს წნორის „მილანთან", „ჭაბუკიანთან" და „ლოკომოტივი 3"-თან. თბილისში 18 ივლისს დაბრუნდება, 19-ში ერთ საკონტროლო მატჩსაც ჩაატარებს და 20 ივლისს ყვავილნარისკენ აიღებს გეზს. ზღვისპირეთიდანვე ეწვევიან ავჭალელები ლანჩხუთს, სადაც ჩემპიონატის სადებიუტო თამაშში „გურია" ელით.

გაბელიამ ლაგოდეხში 25 ფეხბურთელი იახლა. მწვრთნელს საუკეთესოების ამორჩევა ამათგან მოუწევს:

*მეკარეები: ნაჭყეპია, გაბელია, თოდუა; მცველები: ცქიფურიშვილი, გ. ილურიძე, გუჯაბიძე, გოგიტაძე, ზ. კვეკვესკირი, გ. ხიზანიშვილი, თ. ჩხაიძე; ნახევარმცველები: რევაზიშვილი, ბაჯელიძე, ბოლქვაძე, კოშკაძე, გაგუა, ავალიანი, კრავეიშვილი, როსტიაშვილი, ნათობაძე, მინჯია; თავდამსხმელები: ი. შენგელია, დავითაშვილი, მუშკუდიანი, ფურცელაძე, დათუნაშვილი;*

ჯერაც დავობენ ავჭალელები და რკინიგზელები ერთმანეთში. დავის მიზეზი იოსებ დევიძეა — სწორედ ახალგაზრდა მარჯვენაფლანგელის გამო ვერ შეთანხმებულან. „მერანი" თავის ფეხბურთელს არ უშვებს, „ლოკომოტივი" კი დევიძის გადაბირებისთვის თითქმის ყველაფერს აკეთებს, მაგრამ... ჩვენც ვერაფერი გავარკვიეთ — რკინიგზელთა ინფორმაციით, დევიძე ბულგარეთში გვეგონა შეკრებაზე. ავჭალელთა თქმით კი, სოსო თბილისშია და ხვალ-ზეგ „მერანს" ლაგოდეხში შეუერთდება.

ჯერაც არ დაბრუნებულა ნახევარმცველი ანდრეი მუხინი, ხოლო აკაკი დევაძეს უკრაინაში ელიან გასინჯვებზე. ჯერჯერობით სიახლე სხვა არაფერია, თუ რა თქმა უნდა, სულიკო დავითაშვილის ყოფილ კლუბში დაბრუნებას არ ჩავთვლით.

**გაგუკა ძგანტალიანი**

# ავჭალელები კახეთში

## აქა ხარ, ჩემო სულიკო



მიშა ახალაძის ფოტო

სულიკო დავითაშვილი „მერანში" დაბრუნდა

# საზაფხულო მიდი-მოდი

| | გასხვისებულები | ახალწვეულები | სეზონთშორისი |
|---|---|---|---|
| **ტორპედო** *რევაზ ძოძუაშვილი* | ახვლედიანი (კოლხეთი), ვაშაკიძე, მ. ბობოხიძე (დინამო), პ. ჯინჭარაძე (სოკოლი, სარატოვი, რუსეთი), იმედაძე (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), ა. შეყრილაძე (სამგურალი), კ. ჩხეტიანი (დებრეცენი, უნგრეთი), ვაჩიბერაძე (ბათუმი), დ. ჯანაშია (ტრანსფერზეა), ტოგონიძე, არჩვაძე, ლევან სილაგაძე (?) | სტურუა (თსუ), აკოფიანი (დილა), ლ. ქელიძე (ინტერი), ზ. ქუთათელაძე, ო. ბობოხიძე (სამგურალი), გ. შენგელია, პარამონოვი (ლოკომოტივი), ისიანი (სიონი), პოროშინი (შერიფი, მოლდოვა) | სამგურალი 0:0, 2:1, გურია 5:0, ბათუმი 4:2, მეტალურგი 6:1, 1:0, 8:1 |
| **ლოკომოტივი** *კახა ცხადაძე* | გ. შენგელია, პარამონოვი (ტორპედო), გივი კვარაცხელია (სკონტო, რიგა, ლატვია), ასლანაძე (გურია); გივი ნოდია (მთავარი მწვრთნელი, დინამო) | დ. გოდერძიშვილი, დავითნიძე (მერანი), ძოძუაშვილი (ერზერუმსფორი 2, თურქეთი), ნერეთელი (ტრავმის გამო არ თამაშობდა), კობერიძე, ხურცილავა (ლოკომოტივი 3), სირბილაძე (თბილისი), ქადაგიძე (?); კახა ცხადაძე (მთავარი მწვრთნელი) | გორდა 1:1 |
| **დინამო** *გივი ნოდია* | ი. შენგელია (მერანი); გოჩა ტყებუჩავა (ყოფილი მთავარი მწვრთნელი, ამჟამად ნოდიას თანაშემწეა) | შალამბერიძე, შავგულიძე (კოლხეთი), ხუციშვილი (მერანი), ვაშაკიძე, მ. ბობოხიძე (ტორპედო), ამისულაშვილი (იბერია), დარასელია (ცსკა, კიევი, უკრაინა), მამალაძე (ინტერი), ბ. შელია (დინამო 2), მიქავა (ტრაბზონსფორი 2, თურქეთი), ვ. ქუთათელაძე (?); გივი ნოდია (მთავარი მწვრთნელი, ლოკომოტივი) | |
| **ვიტ ჯორჯია** *ჯანი კარნევალი* | | ლ. კვარაცხელია (ზოოვეტი), მამარდაშვილი, არეშიძე, ზ. მეტრეველი, ბეროშვილი (თსუ), ფეიქრიშვილი (ვიტ ჯორჯია 2) | რიდი (ავსტრია) 1:0, 1:2, ტრუა (საფრანგეთი) 0:6, 1:1 |
| **კოლხეთი** *სოსო ფილია* | შალამბერიძე, შავგულიძე (დინამო), ხუჭუა (მეტალურგი), ლალანიძე (მეტალურგი, კრასნოიარსკი, რუსეთი) | ივეჩიანი (იბერია), მიქელთაძე (იბერია), ახვლედიანი (ტორპედო), ქუტიძე (მუქურა), გიორგი კვარაცხელია, მ. ფილია (კოლხეთი 2) | სამგურალი 1:0, ბათუმი 2:1, ქობულეთი 2:1, 2:0 |
| **მერანი** *ოთარ გაბელია* | დ. გოდერძიშვილი, დავითნიძე (ლოკომოტივი), ხუციშვილი (დინამო), კოროშინაძე (გორდა), გ. ჩხაიძე (ბათუმი), დევაძე, დევიძე, მ. მინაშვილი, თოლორდავა, ხუჯაძე, ივანიშვილი, ოდიშარია (?) | რევაზიშვილი (დილა), ი. შენგელია (დინამო), დავითაშვილი (სიონი), გაგუა, ხიზანიშვილი (იბერია), თ. ჩხაიძე, ?. თოდუა, ავალიანი, ნათობაძე, ფურცელაძე (ამირანი), მინჯია (თსუ), დათუნაშვილი (თბილისი), გაბელია (არ თამაშობდა), მუშკუდიანი (?, ბულგარეთი) | თსუ 3:2 |
| **ბათუმი** *ასლან ბალაძე* | მჟავანაძე (სპარტაკი, მოსკოვი, რუსეთი), თედორაძე (ტავრია, უკრაინა), კაკაბაძე (ტორპედო მაზ, მინსკი, ბელარუსი), პაპიძე, მახარაძე, გელა ქორიძე, ელონტი, ა. მუჯირი, ყულეჯიშვილი (?) | თურმანიძე (სამგურალი), ოლგესაშვილი (დილა), გ. ჩხაიძე (მერანი), გვიანიძე (ბოტევი, პლოვდივი, ბულგარეთი), სიხარულიძე (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), შ. ლაცაბიძე (იბერია), ზ. გვაზავა (თსუ), გალოგრე (ინტერი), ვაჩიბერაძე (ტორპედო), ჭითანავა (ბათუმი 2) | კოლხეთი 1:2, გურია 1:1, ტორპედო 2:4 |
| **სიონი** *ფირუზ რეხვიაშვილი* | ისიანი (ტორპედო), ასპინძელაშვილი (მილანი), დავითაშვილი (მერანი), კ. მეტრეველი (?); სპარტაკ არჩვაძე (მთავარი მწვრთნელი) | ფირუზ რეხვიაშვილი (მთავარი მწვრთნელი) | |
| **გორდა** *იასონ ალადაშვილი* | თ. მეტრეველი, გელაძე, ბაჩილავა, გუგუნავა, მჭედლიძე, სოხაძე (?); გია გეგუჩაძე (მთავარი მწვრთნელი) | ვ. კილასონია, გ. კილასონია (თაუზი, თურანი, აზერბაიჯანი), კოროშინაძე (მერანი), ზვ. ლაბაძე (თსუ), ნ. ლობჟანიძე (უეფასაგან დისკვალიფიცირებულია); იასონ ალადაშვილი (მთავარი მწვრთნელი) | ლოკომოტივი 1:1 |
| **გურია** *ზაზა გურიელიძე* | დ. მინაშვილი, ძნელაძე (?), კირკიტაძე (?, გერმანია) | ასლანაძე (ლოკომოტივი), მარლიშვილი (ცხინვალი), ნინუა (იბერია), ცუცქარაძე, ტაბატაძე, ნ. ბაქრაძე, სიამაშვილი (ლოკომოტივი 3), მგელაძე (მერცხალი) | ბათუმი 1:1, ტორპედო 0:5 |
| **მეტალურგი** *ვასილ ჭეიშვილი* | | ხუჭუა (კოლხეთი), თავბერიძე (ინტერი), ქყონია (მილანი), სანიკიძე (იბერია), ჩალაძე (ზოოვეტი), სუხიაშვილი (თორი), გედენიძე (ზუგდიდი) | ტორპედო 1:6, 0:1, სამგურალი 1:2 |
| **სამგურალი** *გია გიგატაძე* | კვერნაძე (დებრეცენი, უნგრეთი), ზ. ქუთათელაძე, ო. ბობოხიძე (ტორპედო), თურმანიძე (ბათუმი), ვადაჭკორია (?) | ა. შეყრილაძე (ტორპედო), ო. ფხაკაძე (ოკეანე), ნებიერიძე (მეტალურგი, პერნიკი, ბულგარეთი), კ. ჯანაშია (თორი), ხუნდაძე (ქაფაზი, განჯა, აზერბაიჯანი), ნაროუშვილი (ინტერი) | კოლხეთი 0:1, ტორპედო 0:0, 1:2, მეტალურგი 2:1 |

**შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია**

# ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატი

## ფინალი. 8 ივლისი. ბუენოს აირესი
## არგენტინა 3:0 განა

1:0 კოლოტო (6), 2:0 სავიოლა (14), 3:0 როდრიგესი (73)
იბრაჰიმმა ვერ გაიტანა პენალტი (90, ააცილა)
არგენტინა: კაბალიერო, ბურდისო, არკა, სეტო, მედინა (სელცერი 90), კოლოტო, პონციო, დალესანდრო (ერერა 80), სავიოლა, რომანიოლი (როსალესი 70), როდრიგესი
მწვრთნელი: ხოსე პეკერმანი
განა: ბანაშენი, მუნტარი, ესიენი, ვილარსი, პაპოე, იბრაჰიმი, პიმპონგი (ოსეი 75), ბოატენგი, მენსა, პანცილი, დუა (ტომპსონი 68)
მწვრთნელი: ემანუელ აფრანი
გაფრთხილება: მენსა, მუნტარი, პონციო
მსაჯი: მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)
32 000 მაყურებელი

# არგენტინამ საკუთარი მომავალი იხილა

**შვიდი მატჩი**, შვიდი მოგება, ბურთების საუცხოო შეფარდება 27:4 და, რა თქმა უნდა, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული.

ალალიაო, ამაზე ვიტყვით ქართველები.

არგენტინის ნაკრები არათუ უძლიერესი, არამედ შეუდარებელიც იყო.

ჭაბუკთა მე-13 მსოფლიოს ჩემპიონატზე ამომავალ ვარსკვლავად შერაცხულთაგან უმეტესნიც არგენტინელები იყვნენ. მათგან საუკეთესომ, ჩემპიონატის 11-გოლიანმა ბომბარდირმა, აწ უკვე ბარსელონელმა ხავიერ სავიოლამ განელებთან ფინალური მატჩის წინ თქვა: „ჩვენ ჩემპიონები უნდა გავხდეთ, ამ აზრისაა მთელი გუნდი და ეს რწმენა მთელი ჩემპიონატის მანძილზე არ გვტოვებდა. ექვს თამაშში ათი გოლი უკვე გავიტანე, საუკეთესო კი ის იქნება, დღეს განელებს რომ გავუტან."

ფინალამდე უიმედო, ყოველ შემთხვევაში, სიტყვებით, არც განელთა მწვრთნელი ემანუელ აფრანი გახლდათ: „წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე არ გაგვიმართლა, მომავალ ჩემპიონებთან, ესპანელებთან პენალტების სერიაში დავმარცხდით. ეს მწარე გამოცდილება გავითვალისწინეთ, ძალას უფრო გონივრულად ვანაწილებთ, ვცდილობთ, შეხვედრის ბოლოსაც სწრაფად შევუტიოთ. ამან ორჯერ უკვე მოგვიტანა სასურველი შედეგი. ამ პრინციპს არც ფინალში ვუღალატებთ, მატჩის ბოლომდე თავდადებით ვიბრძოლებთ".

განელებმა დანაქადნი კი შეასრულეს, ბოლომდე ხისტად იბრძოლეს, მაგრამ ხოსე პეკერმანის ბიჭებთან დიდი ანგარიშით მარცხს მაინც ვერ გადაურჩნენ. რადგან ხისტობა ვახსენეთ, აქვე ბარემ ისიც ვთქვათ, რომ, რამდენიმე ეპიზოდს თუ არ ჩავთვლით, თამაში მთლიანად კორექტული იყო.

ამ მატჩის ბედი კი არგენტინამ საწყის თხუთმეტ წუთში გატანილი ორი გოლით გადაწყვიტა. აფრიკელები ბედს არ შეგუებიან, ვითარების სათავისოდ შემოტრიალებას გულდაგულ ეცადნენ, მაგრამ მაქსიმილიანო როდრიგესის მესამე გოლმა განელებს იმედი გადაუწურა. ერთ-ერთი შეტევისას განელებმა პენალტიც დაიმსახურეს, მაგრამ აბდულ იბრაჰიმმა ეს შესაძლებლობა ვერ გამოიყენა.

აი, რა განაცხადეს მატჩის შემდეგ გუნდების მწვრთნელებმა:

ხოსე პეკერმანი: „ჩვენი მიზანი თავიდანვე ერთი იყო — მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონობა. ეს ბუნებრივიც არის: ჩემპიონატმა დაადასტურა, რომ არგენტინის ჭაბუკთა ნაკრები მსოფლიოში საუკეთესო გუნდია".

ემანუელ აფრანი: „მთელი ძალა კი მოვიკრიბეთ, მაგრამ ისეთ გუნდთან, როგორიც არგენტინაა, მერწმუნეთ, ვერავინ ვერაფერს გახდება. არგენტინა უდავოდ საუკეთესო იყო ამ ჩემპიონატზე. ფინალში მარცხის მიუხედავად, ვფიქრობ, არგენტინაში კარგად ვითამაშეთ".



REUTERS ბუენოს აირესიდან

ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე ხავიერ სავიოლა



REUTERS ბუენოს აირესიდან

არგენტინელმა ბიჭებმა კაცურად ითამაშეს და კაცურადაც გაიხარეს

## მესამე ადგილისთვის. 8 ივლისი. ბუენოს აირესი
## პარაგვაი 0
## ეგვიპტე 1

0:1 ელ იამანი (64)
პარაგვაი: კასერესი, ვილალბა, დევაკა, მარტინესი, ბენიტესი, ფრეტესი, ესკოველი, ესტიგარიბია (დიასი 66), ბარეირო, ფატეჩა (და სილვა 71), სოსა ტალავერა
მწვრთნელი: კრისტობალ მალდონადო
ეგვიპტე: სობჰი, აბუ ელ ამაიემი, ამინი, მაჰმუდი, ელ ატრავი, შავკი, რეიადი, შეჰატა, ელ იამანი (ამირი 90), აბუ მოსლემი (აბდელვაჰედი 52), ჰამზა
მწვრთნელი: შავკი ჯარიბი
გაფრთხილება: ესკოველი, ფრეტესი, მარტინესი, შავკი, ბარეირო, ჰამზა
მსაჯი: ტორუ კამიკავა (იაპონია)
10 000 მაყურებელი

**მესამე** ადგილისთვის მატჩი ხშირად უინტერესოა, თუმცა ეგვიპტე — პარაგვაის თამაშზე ეს არ ითქმოდა.

ეგვიპტელებმა აქტიურად დაიწყეს და მთელი ნახევარი საათი მწვავედ უტევდნენ მეტოქეს. პარაგვაელები ტრადიციულად უხეშობდნენ,განსაკუთრებით ეგვიპტელთა თავდამსხმელი ჯამალ ჰამზა გაამწარეს.

ტაიმის ბოლოს პარაგვაელები გააქტიურდნენ, რამდენჯერმე სახიფათოდ შეუტიეს, თუმც უშედეგოდ.

მეორე ტაიმი ისევ ეგვიპტელთა იერიშებით დაიწყო, რასაც პარაგვაელ მცველთა პოზიციური შეცდომა და ელ იამანის გოლი მოჰყვა. სამხრეთამერიკელები კვლავაც ბოლოსლა გამოცოცხლდნენ, თუმცა შედეგს ვერც ამჯერად მიაღწიეს და ეგვიპტელებმა ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს.

**გაშუკა ნაცვალაძე**

# ევროპის ქალთა ჩემპიონატი

# სველი ფინალი

### ფინალი
**გერმანია 1:0დ. დ. (0:0) შვედეთი**
1:0 კლაუდია მიულერი (98, ოქროს გოლი)

**ორკვირიანი** დარის შემდეგ ქალაქ ულმში კოკისპირულად დასცხო. იმ დღეს კი ქალთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩი გაიმართა. 18 ათასი მაყურებელი მივიდა სტადიონზე მატჩის სანახავად. „წვიმიანი" ფინალის ძირითადი დრო უგოლოდ დასრულდა, დამატებითი კი 8 წუთს გაგრძელდა, ვიდრე გერმანელმა კლაუდია მიულერმა ლამაზი „ოქროს გოლით" თავისი გუნდი არ გააჩემპიონა. თამაშის განმავლობაში შვედი ქალები მცირე უპირატესობას ფლობდნენ, 54-ე წუთზე სვენსონმა ძელსაც გაარტყა ბურთი, მაგრამ სველ მინდორზე მეტი დიდად დასამახსოვრებელი მომენტი არ ყოფილა.

შეგახსენებთ, რომ ეს ნაკრებები ერთ ქვეჯგუფში იყვნენ, სადაც გერმანელებმა 3:1 მოიგეს. ამ თამაშში ორი გოლი კლაუდია მიულერმა გაიტანა. საერთოდ ტურნირის ხუთივე თამაში, დიდებულად ჩაატარეს გერმანელებმა, თორმეტი გოლი გაიტანეს და საკუთარ კარში ერთი გაუშვეს. ფინალამდე ოლიმპიური ჩემპიონები ნორვეგია დაამარცხეს 1:0.

შვედთა დამრიგებელმა მარიკა დომანსკი-ლიფომ აღიარა, ფინალში ჩვენ უკეთესად გამოვიყურებოდით, მაგრამ ანგარიში ვერ გავხსენით, რადგან გერმანიას საუკეთესო დაცვა და ნახევარდაცვა ჰყავდაო. გერმანელები მეოთხედ გახდნენ ჩემპიონები. ადრე 1991, 1995 და 1997 წლებში მოიგეს (1995 წელს ფინალში შვედები დაამარცხეს). ამ გამარჯვებისთვის თითოეული გერმანელი ფეხბურთელი ცხრა ათასი მარკით დასაჩუქრდება.

**ლუბა გეგეჭკორი**



REUTERS ულმიდან



ოქროს გოლის გამტანმა გერმანელმა კლაუდია მიულერმა ჯერ გაიხარა, მერე გაიხადა

# ზიდანის მისვლამ მაკმანამანი ვერ შეაშინა

**გასული** წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი, ფრანგი ზინედინ ზიდანი, კვირას მადრიდის შორიახლო მდებარე „ტორეხონის" სამხედრო აეროპორტში ჩაფრინდა — საკუთარი თვითმფრინავით! გუშინ დილით იგი „რეალის" ექიმებმა შეამოწმეს.

მადრიდული კლუბი წამებს ითვლიდა, ისე ეჩქარებოდა ზიდანთან კონტრაქტის ოფიციალურად გაფორმება. საქმე კი ის გახლავთ, რომ ხუთშაბათს ფრანგი ვარსკვლავი მოსკოვს მიეშურება, სადაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ბობოლათა წინაშე სარეკლამო საქმიანობა უნდა გასწიოს, რათა მათ 2008 წლის ზაფხულის ოლიმპიადა პარიზს ჩააბარონ.

ასე და ამგვარად, 1998 წლის მსოფლიოსა და 2000 წლის ევროპის ჩემპიონი ოთხი წლით მადრიდელი გახდა, იგი „რეალის" თავკაცებმა საზოგადოებას წარუდგინეს და ხუთნომრიანი მაისურაც მოარგეს. ზიდანი ყოველ წელიწადს გასამრჯელოდ ერთ მილიარდ პესეტას, უფრო გასაგებად კი 6 მილიონზე ცოტა ნაკლებ დოლარს მიიღებს.

ხელფასი ხელფასად და ზიდანის სანაცვლოდ „რეალმა" „იუვენტუსს" 64,4 მილიონი დოლარი გადაუხადა, რაც სატრანსფერო ბაზრის რეკორდია. ამბობენ, ამ თანხის ასე თუ ისე ასანაზღაურებლად მადრიდელები ახლა ფეხბურთელთა გაყიდვას შეუდგებიან და „ტრადიციისამებრ" დახლზე პირველს სტივ მაკმანამანს გაიტანენო. „ტრადიციაა" ისიც, რომ ინგლისელი თავგანწირულ წინააღმდეგობას გასწევს:

„აქ თავს ძალიან ბედნიერად ვგრძნობ და სულაც არ ვფიქრობ, რომ ვინმეს მოყვანა ჩემს გაშვებას უნდა ნიშნავდეს. თუნდაც იმით ვიმსჯელოთ, რომ ჩემი ამპლუის კაცი არ შეუძენიათ, ესე იგი, კლუბის სამომავლო გეგმებში შევდივარ. თანაც, თუ, ვისაც ასახელებენ, ყველა შეიძინეს, ძალიან საინტერესო და ამაღელვებელი გუნდი გვეყოლება".

სხვათა შორის, მაკმანამანის მადრიდიდან წასვლაზე, იმიტომაც ალაპარაკდნენ, რომ რამდენიმე ინგლისურმა კლუბმა და მათ შორის „არსენალმა" იმედი გამოთქვა, რომ „რეალის" ნახევარმცველი სამშობლოში დაბრუნდება.

მაგრამ მაკმანამანი ამბობს: „ჩვენ ევროპაში ისედაც ყველაზე შემტევი გუნდი ვიყავით და თუ ზიდანიც დაგვემატა, კიდევ უფრო სახიფათოდ შევუტევთ. ჰოდა, ბუნებრივია, ჩემი სურვილია ვიყო იმ გუნდის ფეხბურთელი, რომელშიც ფიგუ, ზიდანი და რაული ითამაშებენ".

ვინმე ხომ არ გამორჩა ინგლისელს? ვფიქრობთ, არა. ჯერჯერობით...

არადა, დადის ხმები, რომ ეს სატრანსფერო ურჩხული, „რეალი", „ვალენსიას" გაისკა მენდიეტას თაობაზე შეუჩდა.

თავად 27 წლი მოთამაშე, რომელიც ამჟამად ანდორაშია და ბავშვთა სკოლის მასწავლებლებს ეხმარება, პრესკონფერენციაზე ბუნდოვანი პასუხით დაიხსნა თავი:

„ფეხბურთში ძალიან ძნელია იმის თქმა, როგორ განვითარდება შენი კარიერა. ყვითელი სეზონის ბოლოს იმდენი სიახლე და ცვლილებაა, რომ კაცმა არასდროს იცი, სად ამოჰყოფს თავს".

მენდიეტას თაობაზე „ვალენსიას" პრეზიდენტმა პედრო კორტესმა უფრო კონკრეტულად განაცხადა, რომ ამ ფეხბურთელს იყიდის მხოლოდ ის კლუბი, რომელსაც 50,53 მილიონი დოლარი არ დაენანება. თანხა არ გეუცნაუროთ, ის ესპანურ ვალუტაში გადაყვანით მრგვალი, ოღონდ შთამბეჭდავი რიცხვია: 10 მილიარდი პესეტა.

„მენდიეტა „ვალენსიას" ნაწილია. მას ძალიან უყვარს კლუბი, თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ მდიდარი გუნდები მაცდურ ჯამაგირებს სთავაზობდნენ. მაგრამ, რაც უნდათ, ის შესთავაზონ. სანამ რომელიმე მათგანი მენდიეტას გამოსასყიდ, დათქმულ თანხას არ გადაიხდის, ფეხბურთელი არ გაიყიდება" — ბრძანა პედრო კორტესმა.


REUTERS მარჯვენა
ზინედინ ზიდანი, აწ უკვე რეალელი

ოღონდ, ხომ იცით, საფეხბურთო ქორ-ვაჭარნი როგორი მოფიქრებული ხალხია — ამბობენ, „რეალი" მენდიეტას გამოსასყიდი თანხის ფულად გადახდას არც აპირებს, ნატურალურ გაცვლაზე ფიქრობსო. კერძოდ, ბრაზილიელ ფლავიო კონსეისაოს პლუს 4 მილიონი დოლარი — ასეთია მადრიდელთა პრეზიდენტის, ფლორენტინო პერესის იდეა.

**ბაბუნა ძიდია**




# კოპა ამერიკა კოსტა რიკას და ჰონდურასს შეცვლაზე ათამაშებს

**სამხრეთ ამერიკის** ფეხბურთის კონფედერაცია თავისავე არეულ-დარეული საქმის გამოსწორებას ცდილობს. ამ უწყების მიერ კოპა ამერიკის ჩატარება-არჩატარებაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა უსწრაფესმა ცვლამ ტურნირის ორგანიზატორებსა და თვით კონფედერაციასაც დიდი პრობლემები შეუქმნა. კონტინენტის ჩემპიონის ვინაობა გეგმით თორმეტ ეროვნულ გუნდს შორის უნდა გარკვეულიყო, მაგრამ ფეხბურთის მამების თავმოუბმელობამ კოპა ამერიკაზე წამსვლელთა რიგები შეამცირა. კანადის ნაკრებმა, რომელსაც ჩემპიონატზე სტუმრის სტატუსით უნდა ებურთავა, კოლუმბიელთა მასპინძლობაზე უარი თქვა. მათ არგენტინელთა მსგავსად, მცირე ხანში გუნდის შეკვრის შეუძლებლობა დაასახელეს. კოპა ამერიკა ათი გუნდის ამარა რჩებოდა. თანაც C ჯგუფში, სადაც კოლუმბიაში გამგზავრებაზე უარის მთქმელ ორ ნაკრებს უნდა ეთამაშა, მხოლოდ ბოლივიისა და ურუგვაის ნაკრებების შეხვედრა უნდა გამართულიყო. ისინი შემდეგ ეტაპზე უპრობლემოდ გადიოდნენ. ამიტომაც სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციამ ფაქსი ფაქსზე აფრინა და ცენტრალური ამერიკის პატარ-პატარა ქვეყნებს ლამის დაუჩოქა, იქნებ კოლუმბიაში ჩამოხვიდეთ და კოპა ამერიკის გათამაშებაში მიიღოთ მონაწილეობაო.

სამხრეთელებს ცენტრალური ამერიკიდან უმალ გამოეხმაურნენ. უკვე გადაწყვეტილია, რომ კანადის ადგილს კოსტა რიკის ნაკრები დაიკავებს, ხოლო არგენტინელთა შემცვლელად კონფედერაციას ჰონდურასი ჰყავს შეგულებული.

არგენტინელებს კი ვერაფერს გაუგებს კაცი, არც „ჰოს" ამბობენ და არც „არას". ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ხულიო გრონდონამ ერთობ გაუგებარი რამ ბრძანა: „მოვლენების განვითარებას დავაკვირდებით, სამშაბათამდე დავიცდით და საბოლოო პასუხსაც გეტყვით. მაგრამ სამ დღეში გუნდის გაკეთება ფედერაციის ძალებს აღემატება, ტურნირამდე სამი დღით ადრე შეკოწიწებული ნაკრები კოპა ამერიკას ვერ მოიგებს".


კოლუმბიის ჯარს ახალი თავსატეხი გაუჩნდა

როგორც ხედავთ, კოლუმბიაში არსებულმა ურთულესმა მდგომარეობამ, რომელმაც ფეხბურთის კონფედერაციას თავგზა აუბნია, ტურნირის პრესტიჟი მის დაწყებამდე გვარიანად შელახა. არგენტინელებმა თავიანთი ვარსკვლავების შინ დატოვება ადრევე გადაწყვიტეს. ასეთივე დამოკიდებულება ჰქონდათ ტურნირისადმი ბრაზილიელებს, ურუგვაელებს და თვით კოლუმბიელებს.

არგენტინელებისა და კანადელების გარდა კოლუმბიაში წასვლაზე უარი სხვას არავის უთქვამს, მაგრამ ჯერჯერობით მექსიკის, ურუგვაის, ვენესუელას, ჩილესა და პერუს ნაკრებებს ოფიციალური განაცხადი ტურნირის ორგანიზატორებისთვის არ გაუგზავნიათ. თუმცა პერუელთა მწვრთნელ ხულიო სეზარ ურაიბეს ჟურნალისტებისთვის ერთი სიახლე არ დაუმალავს: „კოპა ამერიკის გათამაშების დროს ჩემს ცხრამეტი წლის ვაჟისაც გამოვცდი, შესაძლოა, იგი ძირითადშიც ვათამაშო".

ეს ცხრამეტი წლის ბიჭი კი ურუგვაის რომელიღაც გუნდის სათადარიგოთა სკამის ერთობ ხშირი სტუმარია.

ასეთ დროს რა გასაკვირია, რომ მავანმა ევროპელმა, კერძოდ კი, მიუნხენის „ბაიერნის" ვიცე პრეზიდენტმა კარლ ჰაინც რუმენიგემ ასეთი რამ თქვას: „ჩვენ ფეხბურთელებს პიზაროსა და ელბერს ჩაკუთარ ნაკრებებში ვერ გავუშვებთ, ვერ გავრისკავთ, კოლუმბიაში მათი უსაფრთხოების სრული გარანტია არ არსებობს".

არ სჯერა მიუნხენის „ბაიერნის" ხელმძღვანელობას კოლუმბიის პრეზიდენტისა, რომელიც სიტყვას იძლევა, კოპა ამერიკაზე ყველაფერი მშვიდობიანად ჩამთავრდებაო. არადა, პასტრანამ ქვეყნის შეიარაღებული ძალები, დაზვერვა უკვე ფეხზე დააყენა და თერთმეტიდან ოცდაცხრა ივლისამდე კოპა ამერიკის მსვლელობისას კოლუმბიელებსა და მათ სტუმრებს უღრუბლო, მშვიდობიან ცას ჰპირდება.

**გიორგი მამარდაშვილი**




**იტალიელმა** მცველმა ფაბიო კანავარომ „პარმასთან" 2006 წლამდე გააგრძელა კონტრაქტი. იგი ერთ სეზონში 3 მილიონ გირვანქას მიიღებს. 27 წლის ფეხბურთელთან ბოლო ხანს რამდენიმე კლუბი აწარმოებდა მოლაპარაკებებს, ყველაზე ხშირად „რომას", „იუვენტუსს" და „ლაციოს" ახსენებდნენ. იტალიის ნაკრების მოთამაშემ კი განაცხადა: „მართალია, რეალური შემოთავაზებები მქონდა, მაგრამ „პარმაში" დარჩენა ვარჩიე და ვთვლი, რომ ეს საუკეთესო გადაწყვეტილება იყო. ხელფასი კი გამიზარდეს, თუმცა ეს ნაბიჯი მარტო ფულის გამო არ გადამიდგამს."

**კამერუნის ნაკრების მწვრთნელი რობერ კორფუ თანამდებობიდან გაათავისუფლეს. აღსანიშნავია, რომ ფრანგმა გუნდს აქამდე მხოლოდ ერთ შეხვედრაში უხელმძღვანელა, იგი პოსტზე დაახლოებით ერთი თვის წინ მივიდა და კამერუნელებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ტოგოსთან 2:0 მოაგებინა, თუმცა ფედერაციამ მაინც დაითხოვა. მათი განცხადებით, უკვე ეძებენ ისეთ შემცვლელს, ვისაც ნაკრებს ხანგრძლივი დროით ჩააბარებენ. არ გამორიცხავენ, კლოდ ლერუა დააბრუნონ, რომელიც კამერუნს 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე თავკაცობდა.**

**პერუელი** რობერტო სილვა „ვერდერმა" შეიძინა. ამისათვის „სპორტინგ კრისტალმა" 1,5 მილიონი გირვანქა მიიღო, ხოლო ფეხბურთელმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 25 წლის მოთამაშემ ბრემენულ კლუბში კლაუდიო პიზარო უნდა შეცვალოს, რომელიც ცოტა ხნის წინ მიუნხენის „ბაიერნში" გადაბარგდა. „მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ლიგაში თამაშის შანსი მომემატა, ეს ჩემთვის დიდი პატივია. ვეცდები, ახალ კლუბში თავი მაქსიმალურად გამოვიჩინო" — განაცხადა სილვამ.

**იუგოსლაველმა რადომის ანტიჩმა ესპანეთის მეორე დივიზიონში დაქვეითებული „ოვიედოს" მწვრთნელის პოსტი დატოვა. იგი ერთი სეზონი ხელმძღვანელობდა გუნდს, სადაც მადრიდის „ატლეტიკოდან" მივიდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ „ოვიედოს" ადრეც წვრთნიდა 1992-დან 95 წლამდე. კლუბს ანტიჩის შემცვლელი ჯერჯერობით არ დაუსახელებია, თუმცა ვარაუდობენ, რომ კიკე მარინილს დანიშნავენ, რომელიც აქამდე იუგოსლაველის ასისტენტადაც მუშაობდა.**

## ნორვეგია

მე-14 ტური: ბოდიო გლიმტი — მოლდე 3:2; ბრინი — ლილესტრიომი 0:5; მოსი — ბრანი 2:3; როსენბორგი — ვიკინგი 1:1; სოგნდალი — ოდ გრენლანდი 3:3; სტრიომსგოდსეტი — ლინი 3:3; ტრომსიო — სტაბეკი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილესტრიომი | 14 | 9 | 2 | 3 | 33:17 | 29 |
| როსენბორგი | 14 | 8 | 4 | 2 | 36:19 | 28 |
| ვიკინგი | 14 | 8 | 4 | 2 | 28:16 | 28 |
| სტაბეკი | 14 | 9 | 1 | 4 | 25:21 | 28 |
| ოდ გრენლანდი | 14 | 8 | 3 | 3 | 30:15 | 27 |
| ბრანი | 14 | 7 | 4 | 3 | 35:22 | 25 |
| მოლდე | 14 | 6 | 3 | 5 | 27:23 | 21 |
| სოგნდალი | 14 | 5 | 2 | 7 | 22:31 | 17 |
| მოსი | 14 | 5 | 1 | 8 | 19:26 | 16 |
| ლინი | 14 | 3 | 5 | 6 | 22:23 | 14 |
| ბოდიო გლიმტი | 14 | 2 | 6 | 6 | 17:26 | 12 |
| სტრიომსგოდსეტი | 14 | 2 | 5 | 7 | 20:36 | 11 |
| ტრომსიო | 14 | 3 | 0 | 11 | 8:27 | 9 |
| ბრინი | 14 | 2 | 2 | 10 | 14:34 | 8 |

## ფინეთი

მე-17 ტური: ატლანტისი — ტამპერე 1:3; ჰაკა — ლაჰტი 0:1; კუოპიო — ინტერი 1:2; როვანიემი — ჯაზი 1:0; ვაასა — იოკერიტი 2:3; მიუპა — ატლანტისი 5:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტამპერე | 14 | 9 | 3 | 2 | 23:15 | 30 |
| მიუპა | 14 | 7 | 6 | 1 | 26:13 | 27 |
| ჰაკა | 17 | 7 | 5 | 5 | 24:15 | 26 |
| ჰიკ | 14 | 6 | 6 | 2 | 21:10 | 24 |
| ინტერი | 14 | 6 | 4 | 4 | 23:20 | 22 |
| ატლანტისი | 15 | 5 | 5 | 5 | 21:22 | 20 |
| ვაასა | 14 | 5 | 1 | 8 | 16:21 | 16 |
| იოკერიტი | 15 | 4 | 4 | 7 | 18:25 | 16 |
| ლაჰტი | 13 | 4 | 3 | 6 | 11:15 | 15 |
| კუოპიო | 14 | 3 | 6 | 5 | 8:14 | 15 |
| როვანიემი | 13 | 3 | 4 | 6 | 11:17 | 13 |
| ჯაზი | 13 | 1 | 3 | 9 | 7:22 | 6 |

## შვედეთი

მე-13 ტური: აიკ — ელფსბორგი 3:1; იორებრო — სუნდსვალი 1:1; ნორჩიოპინგი — იურგორდენი 2:0; იორგრიტე — მალმიო 1:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გიოტებორგი | 12 | 6 | 4 | 2 | 22:12 | 22 |
| მალმიო | 13 | 7 | 1 | 5 | 22:16 | 22 |
| ჰამარბი | 12 | 5 | 5 | 2 | 16:11 | 20 |
| იორგრიტე | 13 | 5 | 5 | 3 | 20:16 | 20 |
| იურგორდენი | 13 | 5 | 5 | 3 | 14:14 | 20 |
| ჰელსინგბორგი | 12 | 5 | 4 | 3 | 18:12 | 19 |
| აიკ | 13 | 5 | 4 | 4 | 17:15 | 19 |
| ჰალმსტადი | 12 | 5 | 3 | 4 | 25:15 | 18 |
| ელფსბორგი | 13 | 5 | 2 | 6 | 20:24 | 17 |
| იორებრო | 13 | 3 | 7 | 3 | 20:19 | 16 |
| ნორჩიოპინგი | 13 | 3 | 5 | 5 | 11:21 | 14 |
| ჰეკენი | 12 | 2 | 5 | 5 | 12:19 | 11 |
| სუნდსვალი | 13 | 2 | 4 | 7 | 8:17 | 10 |
| ტრელებორგი | 12 | 2 | 2 | 8 | 14:28 | 8 |

## უკრაინა

I-ლი ტური: დინამო (კიევი) — პოლიგრაფტექნიკა (ოლექსანდრია) 5:0; შახტარი (დონეცკი) — ზაკარპატია (უჟგოროდი) 5:1; კრივბასი (კრივოი როგი) — მეტალურგი (მარიუპოლი) 1:1; ვორსკლა (პოლტავა) — დნიპრო (დნეპროპეტროვსკი) 1:2; მეტალურგი (ზაპოროჟიე) — მეტალურგი (დონეცკი) 0:3; მეტალისტი (ხარკოვი) — ცსკა (კიევი) 2:1; ტავრია (სიმფეროპოლი) — კარპატი (ლვოვი) 11 ივლისს გაიმართება

## შვეიცარია

I ტური

**სიონი 8:1 ბაზელი**

1:0 მორეირა (5), 2:0 დურუზი (29), 2:1 კუმანტარაკისი (48), 3:1, 4:1, 5:1 ბუესი (55, 59, 63), 6:1, 7:1, 8:1 ოიონგი (79, 81, 86)

**სენტ გალენი 3:0 ლოზანა**

1:0 ჯეფერსონი (6), 2:0 მიულერი (45), 3:0 ჯენი (54)

**გრასჰოპერი 1:0 არაუ**

1:0 დიოპი (3)

არაუ: ბენიტო, სკრუიჩაკი, შენკერი (შმიდი 79), ფიხტერი, ეგიმენი, ოკპალა (მანუელ კალვო 79), მელუნოვიჩი, ტარონე, გიგაქსი, დე ნაპოლი, ფრიდლი (პეიჯი 85)

6 300 მაყურებელი

**ლუცერნი 0:0 ქსამაქსი**

**სერვეტი 0:2 ციურიხი**

0:1 ყაველაშვილი (6), 0:2 შასო (89)

ციურიხი: პასკოლო, ჯანინი, ფურერი (შტოკლასა 32), მაგრო (ჩინაბი 82), ბაუმანი (ჰელდმანი 46), ბიულმანი, ჰელინგა, ფიშერი, კვენტინი, ყაველაშვილი, შასო

3 578 მაყურებელი

**იანგ ბოიზი 1:1 ლუგანო**

0:1 ჟ. როსი (18), 1:1 ბური (69)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 1 | 1 | 0 | 0 | 8:1 | 3 |
| სენტ გალენი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ციურიხი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| გრასჰოპერი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| იანგ ბოიზი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ლუგანო | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ქსამაქსი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ლუცერნი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| არაუ | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| სერვეტი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ლოზანა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| ბაზელი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:8 | 0 |

## ბელარუსი

მე-12 ტური: შახტიორი — ბატე 1:0; მოლოდეჩნო — ნემანი 0:3; ნაფტან დევონი — ვედრიკი 2:0; დინამო (ბრესტი) — ლოკომოტივი 96 3:1; გომელი — ტორპედო მაზი 2:3; სლავია — დნეპრ-ტრანსმაში 4:2; დინამო (მინსკი) — ბელშინა გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბატე | 12 | 9 | 2 | 1 | 31:14 | 29 |
| ბელშინა | 11 | 7 | 2 | 2 | 16:6 | 23 |
| ნემანი | 12 | 6 | 4 | 2 | 21:7 | 22 |
| შახტიორი | 12 | 6 | 4 | 2 | 17:10 | 22 |
| სლავია | 12 | 6 | 2 | 4 | 22:12 | 20 |
| გომელი | 12 | 6 | 2 | 4 | 13:10 | 20 |
| დინამო (მინსკი) | 10 | 6 | 1 | 3 | 22:10 | 19 |
| დნეპრტრანსმაში | 12 | 5 | 1 | 6 | 16:19 | 16 |
| დინამო (ბრესტი) | 12 | 5 | 1 | 6 | 13:18 | 16 |
| ტორპედო მაზი | 11 | 4 | 3 | 4 | 12:15 | 15 |
| მოლოდეჩნო | 12 | 3 | 3 | 6 | 9:20 | 12 |
| ვედრიკი | 12 | 2 | 1 | 9 | 9:24 | 7 |
| ლოკომოტივი 96 | 12 | 2 | 1 | 9 | 6:26 | 7 |
| ნაფტან დევონი | 12 | 1 | 1 | 10 | 5:21 | 4 |


რეკლამა -ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ცხოვრება სექტემბრიდან დაიწყება

## დეტალები მერე დაზუსტდება



ზეპ ბლატერმა ლენარტ იუჰანსონი გაიხუმა

*ევროპაში საინტერესო ამბები ხდება. მცირე დროში იმდენი ტრანსფერი შედგა, თუ შენიშნეთ, მხოლოდ ბოლოლა ჩემპიონატების კლუბების ნასულ-მოსულთა ჩამონათვალს გაზეთის ერთი გვერდი არ ჰყოფნის.*

*ნვრილ ტრანსფერებს თავი დავანებოთ და ხმაურიანი გადასვლებიც ბევრია. რომელი ერთი ვახსენოთ: ვერონი და „მანჩესტერი“, ბუფონი და „იუვენტუსი“, რუი კოშტა და „ინტერი“, რა თქმა უნდა, ზიდანი და „რეალი“.*

*თუმცა, რაც ვთქვით, მაინც უფრო კერძო შემთხვევებია, ხოლო რაც შეეხება ფეხბურთის სამომავლო განვითარების საკითხებს, ეს დედამიწის სხვა ნახევარსფეროზე, სამხრეთ ამერიკაში ნყდებოდა. 6-7 ივლისს ბუენოს აირესში ფიფას საგანგებო კონგრესი გაიმართა. საგანგებო კონგრესებზე კი საგანგებო საკითხებზე მსჯელობენ.*

**ბევრი რამ ითქვა**: ზეპ ბლატერის ნდობის საკითხზე, საერთაშორისო კალენდრის ჰარმონიზაციაზე, რასიზმზე, მსოფლიოს ჩემპიონატთა მასპინძლობის წესსა და პერიოდულობაზე, თუმცა მთავარი მაინც ახალი სატრანსფერო სისტემის დამტკიცება გახლდათ. გავიხსენოთ, როგორი ხმაური მოჰყვა ევროკავშირის სურვილს, უფრო სწორად კი მოთხოვნას, რომ ფეხბურთელები სხვა პროფესიის ადამიანებთან გათანაბრებულიყვნენ და მათი ყიდვა-გაყიდვა მათივე უფლებების დარღვევის გარეშე მომხდარიყო.

ამ მოთხოვნამ ისეთივე აჟიოტაჟი გამოიწვია, როგორიც თავის დროზე „ბოსმანის საქმემ“, ფიფა, უეფა, ევროკავშირი და საფეხბურთო პროფკავშირები ერთმანეთს გადაჰკიდა და საბოლოოდ, მრავალთვიანი დავის შემდეგ, იმის გამარჯვებით დასრულდა, ვინც უფრო ძლიერი იყო — ევროკავშირმა თავისი გაიტანა.

ფიფა-უეფამ ბრძოლა წააგეს და ისღა დარჩენოდათ, ახალი სატრანსფერო სისტემა მსოფლიოს ფეხბურთის საგანგებო კონგრესზე დასამტკიცებლად გაეტანათ. ფაქტობრივად, ეს მხოლოდ ფორმალობა იყო. იმთავითვე ცხადი იყო, რომ ევროკავშირთან დამარცხებულ ფიფას სხვა გზა აღარ ჰქონდა, მაგრამ თავად ფაქტი, ახალი სისტემის დამტკიცება, უაღრესად მნიშვნელოვანია.

აქ კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ამ სისტემის ძირითადი დებულებები:

*1. 23-წლამდელ ფეხბურთელთა სხვა კლუბში გადასვლისას გადაიხდება კომპენსაცია, რომლითაც ძველი კლუბი ფეხბურთელის აღზრდისთვის უნდა დაჯილდოვდეს.*

*2. შეიქმნება „სოლიდარობის მექანიზმი“, რომლითაც ფეხბურთელით მიღებული შემოსავალი გადანაწილდება ყველა იმ კლუბზე, რომლებიც მის აღზრდაში მონაწილეობდნენ (სამოყვარულო გუნდების ჩათვლით)*

*3. 18-წლამდელთა საერთაშორისო ტრანსფერები უმკაცრესად გაკონტროლდება და დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კლუბი ფეხბურთელის ზოგადსაგანმანათლებლო მომზადებასაც უზრუნველყოფს და ნორმალური ცხოვრების პირობებსაც შეუქმნის.*

*4. დაწესდება ორი ხანმოკლე სატრანსფერო ფანჯარა — ზამთარსა და ზაფხულში. ფეხბურთელები წელიწადში მხოლოდ ერთხელ შეძლებენ კლუბის გამოცვლას.*

*5. კონტრაქტის მინიმალური ვადა ერთი წელი იქნება, მაქსიმალური — ხუთი.*

*6. 28-წლამდელთათვის პირველი სამი წელი (თუ კონტრაქტი უფრო ხანგრძლივია) „დაცული პერიოდია“, რომლის დროსაც კონტრაქტის ცალმხრივად გაწყვეტა არ შეიძლება. უფრო ასაკოვან ფეხბურთელთათვის „დაცული პერიოდი“ ორი წელი იქნება.*

*7. „დაცულ პერიოდში“ კონტრაქტის ცალმხრივად გაწყვეტისთვის ფეხბურთელი ოთხთვიანი დისკვალიფიკაციით დაისჯება. თუ იმავეს მეორედაც გააკეთებს — ექვსთვიანი დისკვალიფიკაციით.*

*8. ფეხბურთელის ან კლუბის მიერ კონტრაქტის ცალმხრივად გაწყვეტის შემთხვევაში შრომის კოდექსით გათვალისწინებული თანხა გადაიხდება.*

*9. შეიქმნება არბიტრაჟი, რომელიც ყველა სადავო საკითხს გადაწყვეტს. მასში კლუბებისა და ფეხბურთელთა წარმომადგენლები თანაბარი რაოდენობით იქნებიან, ხოლო თავმჯდომარე დამოუკიდებელი პიროვნება იქნება.*

*10. არბიტრაჟის გადაწყვეტილება საბოლოო არ იქნება და მხარეებს მისი სასამართლოში გასაჩივრება შეეძლებათ.*

ახალი სისტემის დამტკიცებისას კამათი გამოიწვია მხოლოდ მისმა ბოლო პუნქტმა, რომელშიც არბიტრაჟზეა ლაპარაკი. გერმანიის დელეგაციამ მოითხოვა, რომ არბიტრაჟის გადაწყვეტილება საბოლოო უნდა ყოფილიყო და უკმაყოფილო მხარეს სამოქალაქო სასამართლოში გასაჩივრება აკრძალვოდა. მაგრამ 174 ხმით რვის წინააღმდეგ გერმანელთა მოთხოვნა უსაფუძვლოდ ცნეს. ფიფას აღმასკომის ერთმა წევრმა აღნიშნა, გერმანიის დელეგაციას არავისგან ჰქონია მხარდაჭერაო.

ახალი სატრანსფერო სისტემის დებულებებიც ზემოთ წარმოდგენილი ფორმით დამტკიცდა და სექტემბრიდან ამოქმედდება. თუმცა შენიშნავდით და ადრეც გვითქვამს, რომ მასში გასარკვევ-დასაზუსტებელი ჯერაც ბევრი რამაა. მთავარი ისაა, რომ ჯერაც უცნობია საკომპენსაციო და საჯარიმო თანხების განსაზღვრის წესი. სექტემბრამდე კი ცოტა დროა დარჩენილი.

კონგრესის მეორე უმნიშვნელოვანესი საკითხი საერთაშორისო კალენდრის ჰარმონიზაცია იყო. მუდმივად ასეა: ტურნირი ტურნირს ემთხვევა და ფეხბურთელიც დილემის წინაშე დგას — კლუბში თამაში ირჩიოს თუ ნაკრებში. ხშირად ოფიციალურ პირთა დაპირისპირება სასამართლოს გასარჩევი ხდება. ან ასეთი ვარიანტია — მომქანცველი სეზონის მერე ფეხბურთელს ნაკრებში თამაშის თავი აღარ აქვს და კალენდარიც ისეა შედგენილი, უშვებულებოდ რჩება. გვახსენდება, რომ რამდენიმე თვის წინ კანში, „ფუტბოლექსპოზე“, ამ პრობლემასთან დაკავშირებით თავისი პროგრამა მიშელ პლატინიმაც წარადგინა.

ახლა ფიფამ დაამტკიცა, რომ წელიწადში თორმეტი დღე გამოიყოფა სანაკრებო მატჩებისთვის, თექვსმეტი დღე— საერთაშორისო საკლუბო ტურნირებისთვის და 46 დღე — ეროვნული ჩემპიონატებისა და თასებისთვის.

აღნიშნული დღეები თვეების მიხედვით ამგვარად განაწილდება: ეროვნული ჩემპიონატების ერთი წრე თებერვლიდან ივნისამდე ჩატარდება, ხოლო მეორე წრე — აგვისტოდან დეკემბრამდე. კონფედერაციათა ჩემპიონატები (ევროპის ჩემპიონატი, კოპა ამერიკა, აფრიკისა და აზიის თასები) ერთსა და იმავე დროს, ივნის-ივლისში გაიმართება. ამავე პერიოდისთვისაა დაგეგმილი მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ჩატარებაც (არასანაკრებო ჩემპიონატების წლებში), თუმც მეორე ვერსიით ის შესაძლოა იანვრის ბოლოს — თებერვლის დასაწყისში შედგეს.

აქაც ბევრი რამაა დასაზუსტებელი, თუმცა ეს კალენდარი მხოლოდ ერთი წლის მერე ამოქმედდება და ფიფას აღმასკომი მასში რაღაც-რაღაცეებს კიდევ შეცვლის. აღნიშნული გრაფიკის თანახმად, მოთამაშეებს იანვარსა და ივლისში 15-15 დღიანი შვებულებები ექნებათ. კონგრესზე ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა აღნიშნა, ერთი მხრივ, ფეხბურთელები გადაღლილობისგან უნდა დავიცვათ და საერთაშორისო ტურნირების რეპუტაციასაც უნდა გავუფრთხილდეთ, ამიტომაც არის საჭირო მთელი მსოფლიოსთვის ერთიანი კალენდარიო.

2006 წელს მსოფლიოს ჩემპიონატს გერმანია მასპინძლობს, შემდეგ? ფაქტობრივად გადაწყდა, რომ მომდევნო მასპინძელი აფრიკული ქვეყანა იქნება. ადრე ითქვა, რომ კონტინენტებმა რიგრიგობით უნდა მიიღონ მსოფლიოს პირველობა, ანუ ძალაში შევა ეგრეთ წოდებული როტაციის მეთოდი და პირველი მასპინძელი აფრიკელი იქნება. ახლა კონგრესზე ბლატერმა დაადასტურა, რომ აღნიშნული მეთოდი აუცილებლად ამოქმედდება და პირველ მასპინძლად აფრიკული ქვეყანა მოგვევლინება, სავარაუდოდ, მაროკო ან სამხრეთ აფრიკა.

ამ მეთოდის წინააღმდეგია ევროპა, უფრო სწორად კი, ევროპელებს პროექტში თავიანთი შესწორების შეტანა სურთ. უსამართლობაა, ევროპასაც და ოკეანეთსაც ჩემპიონატის მასპინძლობის თანაბარი უფლება ჰქონდეთო, ამბობენ ისინი და ითხოვენ, რომ ევროპაში ყოველი მესამე, უკიდურეს შემთხვევაში, მეოთხე ჩემპიონატი გაიმართოს.

ევროპა, ალბათ, თავისას გაიტანს, ამ საკითხზე საბოლოოდ გაისად იმსჯელებენ.

ვთქვით, აფრიკაო, ოღონდ არ დაგვიზუსტებია, როდის. 2010 წელს? წესით, ასე უნდა იყოს, მაგრამ ზეპ ბლატერი ისევ იმას იმეორებს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ოთხწლიანი შუალედი ძალიან ბევრია და ორ-სამ წლიან პერიოდს მოითხოვს. თუმცა ეს საკითხი კონგრესზე სერიოზული მსჯელობის საგანი არ გამხდარა.

კონგრესზე განხილულ ნაკლებეპოქალურ საკითხებზეც ვთქვათ.

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია ფიფასგან ერთ მილიონ დოლარს მიიღებს. ეს არის კომპენსაცია ამ ქვეყნისათვის, რომელსაც წლეულს, აგვისტოში მსოფლიოს მეორე საკლუბო ჩემპიონატისთვის უნდა ემასპინძლა, მაგრამ შეჯიბრი ჩაიშალა. 750 ათას დოლარს კი ის გუნდები მიიღებენ, რომლებსაც მადრიდისა და ლა კორუნიას სტადიონებზე უნდა გაეგორებინათ ბურთი.

თავად ჩემპიონატის ჩაშლა კი მარკეტინგული კომპანია ISL-ის გაკოტრებამ განაპირობა, რომელსაც ტურნირის ჩატარება უნდა უზრუნველეყო.

ამ თემის გაგრძელება გახლდათ ზეპ ბლატერის მოხსენებაც. შეგახსენებთ, რომ ფიფას პარტნიორი კომპანიის გაკოტრებით ისარგებლა უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა და ფიფას პრეზიდენტს ISL-თან საეჭვო ფინანსურ გარიგებებში დასდო ბრალი.

კონგრესზე ბლატერის გამოსვლა საკმაოდ დამაჯერებელი გახლდათ, ყოველ შემთხვევაში, დარბაზში არავის გასჩენია სურვილი, მისთვის უნდობლობა გამოეცხადებინა, რისი იმედიც იუჰანსონს ჰქონდა და საერთო განწყობის გათვალისწინებით, ევროპული ფეხბურთის მეთაურმაც გაჩუმება არჩია.

ფიფამ თავისი რიგებიდან მოკვეთა ლიბანის ფეხბურთის ფედერაცია. საქმე ისაა, რომ ამ ქვეყნის სპორტის მინისტრ სეპუხ ოვნანიანს იქაური ფეხბურთის მაღალჩინოსნები კორუფციაში დაუდანაშაულებია და თანამდებობიდან მოუხსნია. ფიფა, მოგეხსენებათ, ამგვარ რამეებს კრძალავს და თავისიანებს, რაგინდ დამნაშავენიც იყვნენ, ხელს აფარებს. ჰოდა, ხელისუფლების მხრიდან ფეხბურთის ფედერაციის საქმეებში ჩარევის გამო ლიბანი მოიკვეთა.

კონგრესზე კიდევ ითქვა, რომ სტადიონებზე რასისტულ გამოხდომებს ბოლო უნდა მოეღოს. რასისტი გულშემატკივრები უნდა გამოააშკარავონ და სტადიონზე ფეხის შედგმა აუკრძალონ. თუ ასეთ საქციელში ფეხბურთელებს ამხელენ, ისინი დიდძალ ჯარიმას გადაიხდიან. ამგვარი მეთოდის დანერგვის აუცილებლობაზე საუბრისას კი უპირველესად რომის „ლაციოს“ მაგალითი მოჰყავდათ.

ფიფას საგანგებო კონგრესი დასრულდა.

**გიორგი დარჯანია**



# რა ვიეირა აგიტყდათ!

**ათიოდ დღის** წინ იყო, ფლორიდის მზეს მიფიცხებულმა პატრიკ ვიეირამ რომ უთხრა ჟურნალისტებს, „არსენალში“ დამრჩენი აღარ ვარო. მაშინ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა ფრანგმა ათასი მიზეზი მოიყვანა თავისი გადაწყვეტილების გასამართლებლად, მაგრამ ყველა მიხვდა, რომ ზანგსა და ლონდონელებს შორის ჩამომავალ წყალს მისი აგენტი ამღვრევდა.

ასე იყო თუ სხვა რამ, პრემიერლიგის ერთ-ერთ საუკეთესო ნახევარმცველზე, ბუნებრივია, დიდი ტაციაობა ატყდა. ყველაზე მეტად, როგორც ამბობენ, „მანჩესტერ იუნაიტედი“ დაფაცურდა, მაგრამ კვირას ინგლისის ვიცე-ჩემპიონმა ოფიციალურად განაცხადა: ვიეირა არ იყიდება. „პატრიკი „არსენალის“ მოთამაშეა და კონტრაქტის გასვლამდე ასეთად დარჩება. ვისაც არ გჯერათ, 18 აგვისტოს (პრემიერლიგის მორიგი სეზონის პირველი დღე.) „ჰაიბერიზე“ შემოიარეთ და ვიეირას „არსენალის“ ფორმაში იხილავთ“ — თქვა „მეთოფეთა“ ვიცე-პრეზიდენტმა დევიდ დინმა და დაამატა: „ჩვენ არ გავიმეორებთ იმ შეცდომას, ანელკას შემთხვევაში რომ მოგვივიდა. თანამედროვე ფეხბურთში დიდი თანხები ტრიალებს, ბევრს კი ეს ფული აფუჭებს. სწორედ ამასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ვიმეორებ — ვიეირა არ იყიდება და ამაზე ლაპარაკიც კი არ ღირს“.

ხარბი აგენტებისგან თავის დასაცავად „არსენალი“ აწი არათუ ახალ მოთამაშეებთან, არამედ მათ წარმომადგენლებთანაც კი კონტრაქტის დადებას აპირებს. ამიერიდან ფეხბურთელთა აგენტები წერილობით დაპირდებიან ჩრდილოლონდონელებს, რომ მათთან შეთანხმების გარეშე არცერთ მოლაპარაკებას არ წამოიწყებენ.

„არსებობს ბევრი რამ, რაც კლუბისთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ შინაგანი სტაბილურობა უპირველესი საზრუნავია. თუ ჩვენ დავთანხმდით, რომ მოთამაშეებს ნებისმიერ წუთს შეეძლებათ გუნდის მიტოვება, იმასაც უნდა შევეგუოთ, რომ ერთ სეზონში გაჩემპიონებას მომავალში შესაძლოა მე-15 ადგილზე ჩაქვეითება მოჰყვეს“ — განაცხადა „არსენალის“ მწვრთნელმა არსენ ვენგერმა, რომელიც სწორედ ახლა კლუბის თავკაცებთან ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე მართავს მოლაპარაკებას. „მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და იმედი მაქვს, რომ ვენგერი ჩვენთან მუშაობას გააგრძელებს. რაც მე ფეხბურთში ხალხი შემხვედრია, მათგან არსენი ყველაზე დიდი პატივისცემის ღირსია. მე მას კლუბის უკანასკნელ პენსსაც კი ვანდობდი“ — აღიარა დევიდ დინმა და ისიც დაადასტურა, რომ ოქტომბერში „არსენალი“ ახალი სტადიონის მშენებლობას იწყებს: „ის 60 ათას მაყურებელზე იქნება გათვლილი და ამდენი ხალხი რომ მოვიზიდოთ, მართლაც მსოფლიო დონის გუნდი უნდა შევქმნათ“.

ასეთი დონის გუნდს კი სწორედ პატრიკ ვიეირა და მისთანები სჭირდება. ასეა ეს.

**გიგა კოგახიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპული ტრანსფერები

## ინგლისი

**არსენალი:** ნელსონ ვივასი (ინტერი, იტალია), შტეფან მალცი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია); **ფრენსის ჯეფერსი (ევერტონი), ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), სოლ კემპბელი (ტოტენჰემი), რიჩარდ რაიტი (იფსვიჩი).**

**ასტონ ვილა:** ჯულიან ჯოუჩიმი (ქოვენთრი); **ჰასან კაჩლული (საუთჰემპტონი), მუსტაფა ჰაჯი (ქოვენთრი).**

**ბლექბერნი:** ლი ჰარდი (ოლდემი), მაიკლ ბინგემი (მენსფილდი); **გორდონ გრეერი (კლაიდბანკი, შოტლანდია), კორადო გრაბი (ტერნანა, იტალია), თუგაი ქერიმოღლუ (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), ალან მაჰონი (სპორტინგი, პორტუგალია), ნათან ბლეიქი (ქოვენთრი).**

**ბოლტონი:** მეთიუ გლენონი (ჰალი), ჯონ ოკენი (ბლექპული), რობი ელიოტი (ნიუკასლი), მეტ კლარკი (ფულემი); **ნიკი საუთჰოლი (ჯილინგემი), ჯიბრილ დიავარა (ტორინო, იტალია), ჰენრიკ პედერსენი (სილკებორგი, დანია), მეტ კლარკი (ბრედფორდი).**

**ჩარლტონი:** ენდი ჰანტი (თამაში მიატოვა); **შონ ბარტლეტი (ციურიხი, შვეიცარია), ჯეისონ იუელი (უიმბლდონი).**

**ჩელსი:** სტივენ ბროდი (საუთენდი), გუსტავო პოიეტი (ტოტენჰემი), დენის უაიზი (ლესტერი), ბერნარ ლამბური (ბასტია, საფრანგეთი), ნილ ბარეტი (პორტსმუთი); **უილიამ გალასი (მარსელი, საფრანგეთი), ფრენკ ლამპარდი (ვესტ ჰემი), ემანუელ პეტი (ბარსელონა, ესპანეთი), ლეონ ნაითი (ქუინზ პარკი), სემ პარკინი, რობერტ უოლესტონი (ორივე ნორთჰემპტონი).**

**ევერტონი:** ფრენსის ჯეფერსი (არსენალი); **ტომაშ რაძინსკი (ანდერლეხტი, ბელგია), ალან სტაბსი (სელტიკი, შოტლანდია).**

**დერბი ქაუნთი:** რორი დელაპი (საუთჰემპტონი); **ანდრეს სვენსონი (ელფსბორგი, შვედეთი), ფაბრიციო რავანელი (ლაციო, იტალია).**

**ფულემი:** საიმონ მორგანი (ბრაიტონი); **ლუიშ ბოა მორტე (საუთჰემპტონი), აბდელსალიმ უადუ (ნანსი, საფრანგეთი), მეტ კლარკი (ბოლტონი).**

**იფსვიჩი:** რიჩარდ რაიტი (არსენალი); **პაბლო გონსალეს კუნაგო (სელტა, ესპანეთი), კრის ჰოგი (იორკი), ენდი მარშალი (ნორვიჩი).**

**ლიდსი:** ჯორენ ფინი (ბორნმუთი); **რობი კინი (ინტერი, იტალია).**

**ლესტერი:** სტიუარტ კემპბელი (გრიმსბი), ლოური დადფილდი (ჰალი); **დენის უაიზი (ჩელსი).**

**ლივერპული:** იან არმსტრონგი (პორტვეილი); **იონ არნე რიისე (მონაკო, საფრანგეთი).**

**მიდლსბრო:** **შილარდ ნემეტი (ინტერი, სლოვაკეთი).**

**მანჩესტერ იუნაიტედი:** როდრი ჯოუნსი (როტერჰემი), ეშლი დოდი (პორტვეილი), ჯოშ უოქერი (შრიუსბერი), ტედი შერინგემი (ტოტენჰემი), მარკ უაიტმენი (ბარი); **რუუდ ვან ნისტელროი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), ხუან სებასტიან ვერონი (ლაციო, იტალია).**

**ნიუკასლი:** დეს ჰამილტონი (კარდიფ სიტი, უელსი), სტივენ გლასი (უოტფორდი); **რობი ელიოტი (ბოლტონი), კრეიგ ბელამი (ქოვენთრი).**

**საუთჰემპტონი:** ფილ უორნერი (კემბრიჯი), ლუიშ ბოა მორტე (ფულემი), ჰასან კაჩლული (ასტონ ვილა); **რორი დელაპი (დერბი ქაუნთი).**

**სანდერლენდი:** კარსტენ ფრიდგაარდი (კოპენჰაგენი, დანია), მილტონ ნუნიეში (ნასიონალი, ურუგვაი); **ნიკოლას მედინა (არგენტინოს ხუნიორსი, არგენტინა), ბაკი მერჩიმეკი (ჰაარლემი, ჰოლანდია), ლილიან ლასლანდი (ბორდო, საფრანგეთი), დავიდ ბელონი (კანი, საფრანგეთი).**

**ტოტენჰემი:** ნილ ფინი (პიტერბრო), რამონ ვეგა (სელტიკი, შოტლანდია), სოლ კემპბელი (არსენალი); **ტედი შერინგემი (მანჩესტერ იუნაიტედი), გუსტავო პოიეტი (ჩელსი), შონ ჯალალი (ჰასტინგსი), გორან ბუნიევჩევიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია).**

**ვესტ ჰემი:** მარკ კელერი (სტრასბური, საფრანგეთი), ფრენკ ლამპარდი (ჩელსი), სტიუარტ პირსი (მანჩესტერ სიტი), ტომი უილიამსი (პიტერბრო); **სებასტიან შემელი (მეცი, საფრანგეთი).**

## იტალია

**ატალანტა:** ივან პელიცოლი (რომა), მასიმო დონატი (მილანი), კრისტიან ძენონი (მილანი), დომენიკო მორფეო (ფიორენტინა), სტეფანო გალო (ტერნანა), მარკო ნაპი (ტერნანა), ნიკოლა ვენტოლა (ინტერი), ნილ სივილია (რომა), მაურიციო განცი (თამაში მიატოვა); **ლუკა საუდატი (მილანი), პიერლუიჯი ორლანდინი (მილანი), ჯანი კომანდინი (მილანი), ლუიჯი სალა (მილანი), მასიმო ტაიბი (რეჯინა), ალესანდრო რინალდი (რომა), ფაბიანო (ბაია, ბრაზილია), კორადო კოლომბო (ინტერი), პიეტრო ფოლიო (ვენეცია), უსმან დაბო (მონაკო, საფრანგეთი), ანტონიო კალდერონი (მონცა), ლუკა ძინი (პისტოიეზე), დავიდე ნატალი (მონცა).**

**ბოლონია:** ფრანსისკო ლიმა (რომა), ჯონათან ბინოტო (ინტერი), ენცო მარესკა (იუვენტუსი), მარკო როკატი (ნაპოლი), სტეფანო ბია (სენტ ეტიენი, საფრანგეთი); **ფაბიო მაჩელარი (ინტერი), ანტონიო ბელუჩი (ნაპოლი), სტეფანო გორეტი (პერუჯა), პიერპაოლო ძაკარდო (სპეცია), ნიკოლა კოპოლა (ნაპოლი), მატეო ბრიგი (იუვენტუსი), მარკო როკატი (დანდი, შოტლანდია).**

**ბრეშა:** მასიმილიანო კაპუტო (ლივინგსტონი, შოტლანდია), სტეფანო ბიზოლი (პისტოიეზე), ფილიპო გალი (თამაში მიატოვა), ანტონიო მარინო (თამაში მიატოვა), ჯონათან ბაკინი (იუვენტუსი), ანდრეა პირლო (ინტერი), პიერლუიჯი ორლანდინი (მილანი), დარიო უბნერი (პიაჩენცა); ანტონიო პიზანო (ასკოლი), აურელიო (კოზენცა); **მელვინ ბრაუნი (დერტონა, ავსტრალია), ფრანკო კარაჩიოლო (პრო ვერჩელი), ხორხე სალგადო (დეპორტივო უაჩიპატო, მექსიკა), ნიკოლა გრანდე (ფროზინონე), კარლო მერო (ტერნანა), დავორ იავორჩიჩი (კროტონე), ჯუზეპე ტინონზინი (კოდონო), მარკო ბრონოლი (სან ანჯელო), დარიო დაინელი (ლეჩე), მარკუს შოპი (შტურმი, ავსტრია).**

**კიევო:** სტეფანო კარბონე (პისტოიეზე), კრისტიანო გარძონი (პავია), ჯუზეპე მარკონი (ტერნანა), დავიდე ფრანჩესკინი (რეჯინა), პიეტრო მარკონი (ტერნანა), გაუჩო ბალდი (პესკარა), კარლო ფრეცოლინი (ლეჩე), ნიკოლა ჩიოპრიზი (ლოდიჯანი); **მარკო ძანკეტა (რეჯინა), სტეფანო მარაცინა (რეჯინა), კრისტიანო ლუპატელი (რომა), პიერო რეგროტალიე (მოდენა), კრისტიანო კავალი (კარარეზე), ანჯელო ბრუნო (ნაპოლი), ფრანკო როსი (ფაზანო).**

**ფიორენტინა:** მაურო ბრესანი (ვენეცია), სალიუ ლასისი (პარმა), დანიელე ბონორა (პისტოიეზე), მანუელ რუი კოშტა (მილანი), ფრანჩესკო ტოლდო (ინტერი), ენცო ტავანო (ემპოლი); ლუიჯი აგოსტინი (ტერნანა), ენცო ტავანო (რონდინელა); **დანიელ ანდერსონი (ბარი), დეიან სტანკოვიჩი (ლაციო), რობერტო კასანო (ვოგერა), ეზექელ გონსალესი (როსარიო სენტრალი, არგენტინა), არის ვაკუფცისი (რავენა), დომენიკო მორფეო (ატალანტა), ლუიჯი ბენინი (ტერნანა), გორან დრულიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია).**

**ინტერი:** ფაბიო მაჩელარი (ბოლონია), ჯანლუკა ლიძორი (ტერნანა), კორადო კოლომბო (ატალანტა), სტეფანო ფისორე (ტორინო), ადრიან მუტუ (ვერონა), სებასტიან ფრეი (პარმა), ანდრეა პირლო (მილანი), მატეო ფერარი (პარმა), მარკო ფერანტე (ტორინო); **კორადო კოლომბო (ტორინო), ემრე ბელოზოღლუ (გალათასარაი, თურქეთი), სტეფანო ფისორე (ლეჩე), სალვატორე ფრეზი (ნაპოლი), სტეფანო ლომბარდი (პერუჯა), კრისტიან მენეზესი (ნასიონალი, ურუგვაი), ოკან ბურუქი (გალათასარაი, თურქეთი), სიქსტო პერალტა (ტორინო), მარტინ რივასი (მალაგა, ესპანეთი), ანსელმო რობიატი (პერუჯა), ნიკოლა ვენტოლა (ატალანტა), ნელსონ ვივასი (არსენალი, ინგლისი), ალბერტო ფონტანა (ნაპოლი), კრისტიანო ძანეტი (რომა), ჯონათან ბინოტო (ბოლონია), მოჰამედ კალონი (ვიჩენცა), მარკო მატერაცი (პერუჯა), დიეგო კანეირა (რეჯინა), ანდრეს გულიელმინპიეტრო (მილანი), სერჟიუ კონსეისაუ (პარმა), ფრანჩესკო ტოლდო (ფიორენტინა), ნიკოლა ფრაუ (რომა).**

**იუვენტუსი:** რაფაელე ამეტრანო (ნაპოლი), მატეო ბრიგი (ბოლონია), ფილიპო ინძაგი (მილანი), სიმონე პეროტა (ბარი), დარკო კოვაჩევიჩი (ვალენსია, ესპანეთი), ჯონათან ბაკინი (პარმა), მარკო ძანკი (პერუჯა), ფაბიო პეკია (ნაპოლი), ზინედინ ზიდანი (რეალი, ესპანეთი); **ლილიან ტურამი (პარმა), მარკო ძანკი (ვიჩენცა), რაფაელე ამეტრანო (კროტონე), ჯონათან ბაკინი (ბრეშა), ენცო მარესკა (ბოლონია), ფაბიო პეკია (ნაპოლი), მასიმო პეროტა (ბარი), ნიკოლა ამორუზო (ნაპოლი), პაოლო სკული (კროტონე), მასიმილიანო ვიერი (ანკონა), კრისტიან ძენონი (მილანი), ჯანლუიჯი ბუფონი (პარმა), პაველ ნედვედი (ლაციო), ფაბიო ლივერანი (პერუჯა), დავიდე ბაიოკო (პერუჯა).**

**ლაციო:** დეიან სტანკოვიჩი (ფიორენტინა), სტეფანო დომიცი (მილანი), ფაბრიციო რავანელი (დერბი ქაუნთი, ინგლისი), ხუან სებასტიან ვერონი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), პაველ ნედვედი (იუვენტუსი); **სეზარ როდრიგესი (სან კაეტანო, ბრაზილია), სტეფანო ფიორე (უდინეზე), ჯულიანო ჯანიკედა (უდინეზე), ანდრეა კომაცი (მილანი), ივან დე ლა პენია (ბარსელონა, ესპანეთი), მატიას ალმეიდა (პარმა).**

**ლეჩე:** დარიო დაინელი (ბრეშა), სტეფანო ფისორე (ინტერი), დიეგო ლოტი (აველინო), ანტონიო კონვერნსანო (დი სანგრო), ფილიპო მანიტა (მესინა), ედუსეი (კოზენცა), ნიკოლა ვაზარი (სამპდორია), კრისტიანო ლუკარელი (ტორინო); **დიურიკ ვინკლაარი (ჰერენვენი, ჰოლანდია), ანსელმო ბილოტი (რავენა), კარლო ფრეცოლინი (კიევო).**

**მილანი:** ნასიმენტუ ლეონარდო (სან პაულუ, ბრაზილია), ლუიჯი სალა (ატალანტა), ანდრეს გულიელმინპიეტრო (ინტერი), ჯანი კომანდინი (ატალანტა), ლუკა საუდატი (ატალანტა), პიერლუიჯი ორლანდინი (ატალანტა), მასიმო მაკარონე (ემპოლი), ანდრეა რაბიტო (მოდენა), სტეფანო დომიცი (მოდენა), ანდრეა კომაცი (ლაციო), მირკო სადოტი (პესკარა), კარლო ტეოდორანი (ვერონა), კრისტიან ძენონი (იუვენტუსი), მარკო ტოპიჩი (კოტბუსი, გერმანია), მატია გრაფიედი (ნაპოლი); **კოზმინ კონტრა (ალავესი, ესპანეთი), ხავი მორენო (ალავესი, ესპანეთი), მასიმო დონატი (ატალანტა), კრისტიან ძენონი (ატალანტა), ფაბრიციო კოლოჩინი (სან ლორენსო, არგენტინა), სირილ დომორო (ბასტია, საფრანგეთი), ნიკოლა კორენტი (სიენა), დრაჟენ ბრნჩიჩი (ვიჩენცა), ფილიპო ინძაგი (იუვენტუსი), მანუელ რუი კოშტა (ფიორენტინა), ანდრეა პირლო (ინტერი), მასიმო მაკარონე (ემპოლი), ნიკოლა დომიცი (ლაციო), ნემანია ვუჩიცევიჩი (ოფკ, იუგოსლავია), მატია გრაფიედი (ჩეზენა), ლუიჯი დე ძერბი (სალერნიტანა).**

**პარმა:** ლილიან ტურამი (იუვენტუსი), ანდრეა დიმპორძანო (უდინეზე), მატეო გუარდალბენი (პიაჩენცა), ადაილტონი (ვერონა), ანტონ სერიჩი (ვერონა), დიეგო ფუზერი (რომა), სალიუ ლასისი (რომა), რაფაელე ლონგო (რომა), ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი), მარსიო ამოროზო (დორტმუნდი, გერმანია), სერჟიუ კონსეისაუ (ინტერი), მატიას ალმეიდა (ლაციო), ნიკოლა მორა (პიაჩენცა), პაოლო პოჯი (პიაჩენცა); **ემილიანო ბონაცოლი (ვერონა), პაოლო პოჯი (რომა), მარტინ ლაურსენი (ვერონა), ჯოვანი გრიეკო (ჯენოა), სალიუ ლასისი (ფიორენტინა), ჯამპიერო მაინი (ვენეცია), კრისტიანო მორა (ტორინო), ჯუზეპე კარდონე (ვიჩეცა), მაურო მილანეზე (პერუჯა), სერგეი გურენკო (რომა), ამადეო მანგონე (რომა), ჯონათან ბაკინი (იუვენტუსი), სებასტიან ფრეი (ინტერი), ჰიდეტოში ნაკატა (რომა), მატეო ფერარი (ინტერი), მარკო მარკიონი (ემპოლი), კლაუდიო ტაფარელი (გალათასარია, თურქეთი).**

**პერუჯა:** მარკო მატერაცი (ინტერი), ლუკა საუდატი (მილანი), მიროსლავ ზაკეი (ემპოლი), სტეფანო გორეტი (ბოლონია), სტეფანო ლომბარდი (ინტერი), ანსელმო რობიატი (ინტერი), მარკო რივალტა (ვიჩენცა), მაურო მილანეზე (პარმა), ფაბიო ლივერანი (იუვენტუსი), დავიდე ბაიოკო (იუვენტუსი), ფაბიან გინაზუ (გვადალახარა, მექსიკა), ალესანდრო პიერი (უდინეზე); **ჯონ მაური (სტანდარდი, ბელგია), შაბონე სპანი (კონექტი, ტრინიდადი და ტობაგო), სტეფანო გროსო (კიეტი), ჟაკემინი (სტანდარდი, ბელგია), ჟან გალერი (ანდერლეხტი, ბელგია), ანტონიო კინალი (ვენტელა), რობერტო დი ფრანჩესკო (ინდიპენდიენტე, არგენტინა), ანტონიო ფუზანი (ბრეშელო), მარკო ძანკი (იუვენტუსი), ანდრეა სონჩინი (ვიჯევანო), სეად მუსლიმოვიჩი (უდინეზე).**

**პიაჩენცა:** ფლავიო რომა (მონაკო, საფრანგეთი), პაოლო კრისტალინი (ვიჩენცა), ნიკოლა არტიკო (პესკარა), დავიდე ზიტოლო (პიზა), ფაბიო მატეასი (ვერონა); **პალმიერი (სალერნიტანა), ფაბიო მატეასი (ბრეშელო), ეუსებიო დი ფრანჩესკო (რომა), მატეო გუარდალბენი (პარმა), ანტონიო ნიკოლეტი (რეჯანა), ჯუზეპე კრისტანე (რავენა), პაოლო ორლანდონი (რეჯინა), პაოლო პოჯი (პარმა), ნიკოლა მორა (ტორინო), დარო უბნერი (ბრეშა).**

**რომა:** ეუსებიო დი ფრანჩესკო (პიაჩენცა), ალესანდრო რინალდი (ატალანტა), კრისტიანო ძანეტი (ინტერი), პაოლო პოჯი (პარმა), ვინჩენცო დაგოსტინო (ბარი), კრისტიანო ლუპატელი (კიევო), ამადეო მანგონე (პარმა), სერგეი გურენკო (პარმა), რაფაელე ლონგო (პალერმო), ჰიდეტოში ნაკატა (რომა), ნიკოლა ფრაუ (ინტერი); **ფრანსისკო ლიმა (ბოლონია), ივან პელიცოლი (ატალანტა), ანტონიო კასანო (ბარი), ნილ სივილია (ატალანტა), ივან ტომიჩი (ალავესი, ესპანეთი), პაოლო პოჯი (ბარი), დიეგო ფუზერი (პარმა), სერგეი გურენკო (სარაგოსა, ესპანეთი), სალიუ ლასისი (პარმა), რაფაელე ლონგო (პარმა), დავიდე ფრეცა (სავოია).**

**ტორინო:** ჯიბრილ დიავარა (ბოლტონი, ინგლისი), კორადო კოლომბო (ინტერი), სიქსტო პერალტა (ინტერი), ნიკოლა მორა (პარმა); **პიერლუიჯი პაოლეტი (აკილა), ანტონიო ბალძარეტი (ვარეზე), ფრანკო (პენიაროლი, ურუგვაი), ეუჯენიო სორენტინო (ვარეზე), სტეფანო ფისორე (ინტერი), მარკო ტირიბოკი (სიენა), ფაბიენ ასტა (ნაპოლი), კრისტიანო ლუკარელი (ლეჩე), დანიელე კომოტო (ვიჩენცა), ფაბიო პეკია (იუვენტუსი), მარკო ფერანტე (ინტერი), სტეფანო ტურკეტი (ანკონა).**

**უდინეზე:** სტეფანო ფიორე (ლაციო), ჯულიანო ჯანიკედა (ლაციო), მორტენ ბისგაარდი (კოპენჰაგენი, დანია), სეად მუსლიმოვიჩი (პერუჯა); **ანდრეა დიმპორძანო (პარმა), ნიკოლა ელი (სალერნიტანა), მარტინ კროლდრუპი (აკადემისკი, დანია), ფაბიან მარტინესი (ტოლუკა, მექსიკა), დიკ მეერდინკი (გრააფსხაპი, ჰოლანდია), მაურისიო პინედა (ნაპოლი), ანტონიო სკარლატო (რავენა), ხუან პავონი (ატლეტიკო მორეილა, კოლუმბია), ნიკოლა ბედინი (სამპდორია), სიაბონგა ნომვეტე (კაიზერ ჩიფსი, სამხრეთ აფრიკა), ალესანდრო პიერი (პერუჯა).**

**ვენეცია:** ჯამპიერო მაინი (პარმა), ანტონიო მაზიოლო (ლუმეცანე), მარკო ლუპი (თამაში მიატოვა), პიეტრო ფოლიო (ატალანტა), სტეფანო პედონე (კომო), ანჯელო ტოფანინი (პადოვა), კლაუს იბერტსბერგერი (ტიროლი, ავსტრია); **მაურო ბრესანი (ფიორენტინა), ხუან მანულ კარერი (ალიანსე, პერუ), მირკო ცვიტანოვიჩი (ვერონა), სტეფან ბუდანი (ბელინცონა), ჯუზეპე ჯიოკინი (სავოია), ჯიმი ალჟერინო (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი), სამუელ დე ფრანჩესკი (სალერნიტანა), პაოლო კულო (ასკოლი), მეტ ბიანკი (პისტოიეზე).**

**ვერონა:** მარტინ ლაურსენი (პარმა), ემილიანო ბონაცოლი (პარმა), სტეფანო სგრინა (ვიჩენცა), ემანუელე ფერარეზე (ჩიტადელა), მირკო ცვიტანოვიჩი (ვენეცია); **ანტონიო დილიზო (კალიარი), ადაილტონი (პარმა), ადრიან მუტუ (ინტერი), ჯოვანი ალიეტი (პისტოიეზე), კარლო ტეოდორანი (მილანი), ფაბიო მატეასი (ვერონა), ჯანლუკა კოსუ (ლუმეცანე), ანტონიო პიოვანელი (ჩიტადელა), ლუიჯი ფილიპინი (ნიცა, საფრანგეთი).**

**შენიშვნა: მუქი შრიფტით ახალწვეულნი. ღია შრიფტით გასხვისებულნი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტურ დე ფრანსი

# ტური ბელგიის მეფემ დააფასა

REUTERS



პელოტონი ბელგიის ერთ-ერთი ციხესიმაგრის მისადგომებთან

**პროლოგი** „ფესტინას“ ფრანგმა კრისტოფ მორომ მოიგო.

ასე დაიწყო საუკუნის პირველი, რიგით კი 88-ე „ტურ დე ფრანსი“ და ჩვენც სამი კვირის განმავლობაში ვეცდებით, რაც შეიძლება მეტი საინტერესო ინფორმაცია მოგაწოდოთ უპრესტიჟულესი ველოტურნირის შესახებ.

მაშ ასე, პროლოგი მორომ მოიგო. 30 წლის ბელფორტენელმა, რომელიც შარშან საბოლოოდ მეოთხე ადგილზე გავიდა, 8,2 კილომეტრი 52,714 კმ/სთ საშუალო სიჩქარით განვლო, რაც ყვითელი მაისურის მოსაპოვებლად საკმარისი აღმოჩნდა.

„ძალიან მინდოდა, კარგად მერბოლა. თითქოს სიზმარში ვარ. ადრე დედაჩემს ველაპარაკე ყვითელ მაისურაზე, რომელსაც ერთ დღეს აუცილებლად ჩავიცვამდი. ახლა კი პროლოგიც მოვიგე. ეს ფანტასტიკური დასაწყისია“ — აღფრთოვანებული საუბრობდა მორო, რომელიც 1998 წელს „ფესტინას“ დოპინგ-სკანდალის გამო ექვსი თვით დისკვალიფიცირებული იყო.

„არ მეგონა, თუ მოვიგებდი, რადგან არსებობს მრბოლთა კატეგორია, რომლებიც ყველაფერს გაიღებენ პროლოგში გასამარჯვებლად, როგორიც მაგალითად კრის ბორდმანი იყო“ — დაამატა მორომ. აღსანიშნავია, რომ 1995 წლისა და ჟაკი დიურანის შემდეგ „ტურ დე ფრანსი“ პირველად დაიწყო ფრანგის წარმატებით.

ისე, მორო ალბათ ვერ გაიმარჯვებდა, შარშანდელი პროლოგის მომგები დიდბრიტანელი დევიდ მილარი რომ არ წაქცეულიყო. მას ბოლოსწინა მოსახვევში ველომ უმტყუნა და მარცხენა ფეხიც გვარიანად გადაიტყავა.

პირველი ეტაპი კვირას გაიმართა სენტ-ომერსა და ბულონ-სიურ-მერს შორის. წინა დღეს დიუნკერკში 31 წლის იუბილეგადახდილი ერიკ ზაბელი ჯგუფურ სპრინტში უძლიერესი აღმოჩნდა და გამორჩეული პეპელასთვის განკუთვნილ მწვანე მაისურასაც დაეუფლა. გერმანელს მისი პარიზამდე შენარჩუნება სწადია და თუ მოახერხა, ზედიზედ მეექვსედ გახდება „ტურის“ საუკეთესო სპრინტერი.

„ეს უდიდესი გამარჯვებაა“ — აღნიშნა ზაბელმა მეცხრე ტურული ეტაპის მოგების შემდეგ, რაც გერმანელთათვის რეკორდია — „ფანინის გარეშე წლეულს ძალიან გამიჭირდება. „ტელეკომი“ იან ულრიხისთვის იბრძვის“ — თქვა მთელი თავისი პროფესიული კარიერის მანძილზე „ტელეკომის“ ერთგულმა. ჯანმატეო ფანინი ზაბელს სპრინტების მომზადებაში ეხმარება ხოლმე, მაგრამ მას ამჯერად ულრიხისთვის უფრო გამოსადეგი ხალხი ამჯობინა „ტელეკომის“ სპორტულმა დირექტორმა რუდი პავენაჟმა.

სტარტზე 188 მრბოლი გამოვიდა, რადგან პროლოგის მზადებისას წაქცეულმა ბელგიელმა ფაბიენ დე ვალემ, რომელმაც შაბათს ფინიშის მერე საავადმყოფოს მიაშურა, „ტური“ მიატოვა. „ტურის“ პირველი შეტევა 32-ე კილომეტრზე განხორციელდა. ჰოლანდიელი ბრამ დე გროოტი, ბელგიელი ლუდო დირქსენსი და ფრანგი ფრედერიკ გესდონი ცოტა ხნით დაწინაურდნენ. მერე დიურანმაც გაინავარდა, ბოლოს კი ლორან ბროშარმა სცადა ბედი, მაგრამ მას ფინიშამდე 350 მეტრით ადრე დაეწივნენ და უფანინო ზაბელმაც იმარჯვა.

გუშინ „ტურის“ პელოტონი ბელგიაში გადაბრგდა. ყველა ელოდა, რომ რომელიმე სპრინტერი, ვინც მოროს დიდად არ ჩამორჩებოდა, პრემიალური წამების ხარჯზე მას ყვითელ მაისურას გახდიდა. ასეთებად ხალხს იან კირსიპუუ ანდა სტიუარტ ოგრედი ესახებოდათ. თუმცა მარკ ვოუტერსმა ეს მოლოდინი გააწბილა.

პარიზი-ტურის ადრინდელმა გამარჯვებულმა, 32 წლის ბელგიელმა სიურპრიზი მოახდინა. პირველი საშუალედო სპრინტის შემდეგ კირსიპუუმ მოროსთან ჩამორჩენა 1 წამამდე დაიყვანა და თითქოს ისევე, როგორც 1999 წელს უნდა გაყვითლებულიყო ესტონელი, მაგრამ ამჯერად მისმა „პრევუაიანსმა“ რბოლა ბოლომდე ვერ გააკონტროლა და ფინიშამდე 30 კილომეტრით ადრე შეტევაც ვერ ჩაშალა, რომელშიც ოგრედიც მონაწილეობდა.

16 კაცს შორის ავსტრალიელს სამი თანაგუნდელი (მორენი, ვოიგტი, ჯულიჩი) ჰყავდა და ყვითელი მაისურაც თითქმის თავისი ეგონა, მაგრამ ვოუტერსი და ერიკ დეკერი ასე არ ფიქრობდნენ. ბელგიელის საბოლოო იერიში ჰოლანდიელმა ჩინებულად დააზღვია და ყვითელი მაისურაც „რაბობანკს“ დარჩა.

წარმატება ქვეშევრდომს თვით ბელგიის მეფე ალბერ II-მ მიულოცა.

**ბაჩი ბურული**

### პროლოგი

დიუნკერკი, 8,2 კმ

1. კრისტოფ მორო (საფრანგეთი, ფესტინა) 9წთ 20წმ
2. იგორ გონსალეს დე გალდეანო (ესპანეთი, ონსე) +3წმ
3. ლენს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი) +4
4. იან ულრიხი (გერმანია, ტელეკომი) +7
5. ფლორან ბრარი (საფრანგეთი, ფესტინა) +7

### პირველი ეტაპი

სენტ-ომერი — ბულონ-სიურ-მერი, 194 კმ

1. ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი) 4სთ 55წთ 15წმ
2. რომანს ვაინსტეინსი (ლატვია, დომო)
3. ჟიმი კასპერი (საფრანგეთი, ფრანსეზი)
4. ტორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, კრედი აგრიკოლი)
5. იან კირსიპუუ (ესტონეთი, პრევუაიანსი) ყველას იგივე დრო

### მეორე ეტაპი

კალე — ანტვერპენი (ბელგია), 218 კმ

1. მარკ ვოუტერსი (ბელგია, რაბობანკი) 4სთ 35წთ 47წმ
2. არნო პრეტო (საფრანგეთი, ფესტინა)
3. რობერტ ჰანტერი (სამხრეთ აფრიკა, ლამპრე)
4. სერვე კნავენი (ჰოლანდია, დომო)
5. სტიუარტ ოგრედი (ავსტრალია, კრედი აგრიკოლი) ყველას იგივე დრო

### საერთო ჩათვლა

1. მარკ ვოუტერსი (ბელგია, რაბობანკი) 9სთ 40წთ 17წმ
2. სტიუარტ ოგრედი (ავსტრალია, კრედი აგრიკოლი) +12
3. სერვე კნავენი (ჰოლანდია, დომო) +27
4. კრისტოფ მორო (საფრანგეთი, ფესტინა) +27
5. იან კირსიპუუ (ესტონეთი, პრევუაიანსი) +28

## ერთი დღის ისტორია

**1948 წლის 7 ივლისს** „ტურმა“ პირველად გაიარა ლურდში. და საერთოდ, ეს პირველი პირინეული ეტაპი იყო. პელოტონში სხვა ფავორიტებთან ერთად იტალიელი ჯინო ბარტალიც იყო, რომელსაც სამაგალითო მორწმუნეობისთვის „ჯინო დიაკვანს“ ეძახდნენ. მას მაისურის ჯიბეში წმინდა ტერეზას ხატი ედო და, რა თქმა უნდა, ეტაპის მოგებაც გულით ეწადა. ასეც მოხდა, ბარტალიმ სპრინტში რობიკი დაამარცხა და გამარჯვებაც იზეიმა. საღამოთი მან რომის პაპს დეპეშა გაუგზავნა, სადაც თავისიანების კურთხევას სთხოვდა. შემდეგ ტარბისა და ლურდის წინამძღვარმა მამა ტეასმა იქადაგა და თქვა, რომ ცხოვრებაში სულ მაღლა და მაღლა უნდა ვიაროთ. ამაზე ჟურნალისტმა რაულ რემიმ მახვილგონივრულად შენიშნა: „რელიგიაშიც კი გამარჯვება მხოლოდ მთიელებისთვისაა“.

**1953 წლის 8 ივლისს** „ტურის“ მეხუთე ეტაპი იმართებოდა დიეპსა და კაენს შორის. დღის მთავარი შეტევა რვაკაციანი აღმოჩნდა, რომელთა შორის იყვნენ ბრეტონელი მალეჟაკი, ბელგიელი დებრუინი და ფანტასტიკური ალზასელი როჟე ასანფორდე. რბოლის ბოლოს მალეჟაკი კომპანიონებსაც დაუსხლტა და გაიმარჯვა, საერთო ჩათვლის ლიდერის ყვითელი მაისურა კი ასანფორდემ დაისაკუთრა, რამაც სიხარულით გააგიჟა. ალზასელმა ერთი ოცჯერ გადაკოცნა პოდიუმზე მის გვერდით მდგომი გოგონები, საპატიო წრე ველოსიპედზე უკუღმა ამხედრებულმა დაარტყა, სასტუმროშიც ყვითელი მაისურით დაბრუნდა და არც გაუხდია, ისე დაიძინა. იმ საღამოს „ტურის“ პატრონმა ჟაკ გოდემ, რომელიც ახლახან გარდაიცვალა, თქვა: „ამ ბიჭს ტვინის მაგივრად რობოტი რომ ჰქონდეს, „ტურს“ ცალი ფეხით მოიგებდაო“.

**1955 წლის 9 ივლისს** „ტურის“ მეორე ეტაპი გაიმართა. გზაზე მრბოლებს ბევრი ქვაფენილიანი მონაკვეთი შეხვდათ. წარმატებული იერიში ფრანგ ანტონენ როლანისა და ჰოლანდიელი ვოუტ ვაგმანტსის გამოდგა. ამ დუეტმა სპრინტი რუბეს ველოდრომზე გამართა და ის ფრანგის გამარჯვებით დასრულდა, ჰოლანდიელი კი გაყვითლდა. როლანისთვის, რომელსაც „ტურის“ ეტაპი 1952 წელსაც მოეგო „პარკ დე პრენსზე“, ეს ერთ-ერთი ყველაზე დიდი წარმატება იყო, რადგან ორ დღეში ყვითელი მაისურის მოპოვებაში დაეხმარა. არადა, მას საერთო ჩათვლაში დაწინაურება არც უნდოდა, რადგან საფრანგეთის გუნდს ახლა მისთვის უნდა ემუშავა, გუნდის ლიდერი კი ბობე იყო. თუმცა საბოლოოდ ყველაფერი კარგად დამთავრდა. როლანმა კარგა ხანი გაძლო და ყვითელი მაისურა ფინიშამდე მხოლოდ რამდენიმე დღით ადრე დაუთმო... ბობეს.

## ცოტაოდენი ისტორია და გეოგრაფია



**საფრანგეთის** უპირველესი პორტი ჩრდილოეთის ზღვაზე დიუნკერკი 220 ათას მაცხოვრებელს ითვლის. იგი ტრადიციულად ინდუსტრიული ქალაქი იყო, რომელშიც წამყვან ადგილს პორტთან მიბმული დარგები იკავებდნენ. აქ არის ახლახან დაარსებული ოპალის სანაპიროს ლიტერატურული უნივერსიტეტი. გარდა ამისა, აქ არის განთქმული ქვიშის პლაჟები, რომლებიც ფლანდრიის დიუნების სახელითაა ცნობილი. „ტურ დე ფრანსის“ ეტაპი პირველად დიუნკერკში 1911 წელს ჩატარდა და გარიგუს გამარჯვებით დასრულდა, უკანასკნელად კი 1995 წელს ბლიილევენსმა იმარჯვა. ყოველწლიური ველოშეჯიბრი „დიუნკერკის ოთხი დღე“ საკმაოდ პრესტიჟულია და ბევრ ძლიერ მრბოლსაც იზიდავს. წლეულს აქ ახალგაზრდა დიდიე რუმ მიაღწია წარმატებას, მეორე ადგილი კი ლორან ჟალაბერს დარჩა.



პა-დე-კალეს ქვე-პრეფექტურაში შემავალ სენტ-ომერს ხელოვნებისა და ისტორიის ქალაქსაც ეძახიან მრავალი სხვა ფრანგული ქალაქის მსგავსად. იგი, შეიძლება ითქვას, თავისი გოთური კათედრალის ჩრდილში ცხოვრობს და თავისი არქიტექტურული მემკვიდრეობით ამაყობს. ამ მშვენიერ დაბას სუფრის მოწყობილობების წარმოებაში მსოფლიოს ლიდერობა უპყრია. აგრეთვე განვითარებულია ქაღალდის წარმოება და ყვავილოვანი კომბოსტოს მოყვანა. „ტურ დე ფრანსის“ ეტაპი სენტ-ომერში პირველად გაიმართა.



ოპალის სანაპიროს ადმინისტრაციული ცენტრი ბულონ-სიურ-მერი რეგიონის ნაკრძალის გვერდით მდებარეობს. ლა მანშის სრუტეს ქვეშ გაყვანილი გვირაბი, რომელიც დიდი ბრიტანეთის კუნძულს კონტინენტურ ევროპასთან აერთებს, აქედან სულ თხუთმეტიოდე წუთის სავალზეა. სენტ-ომერის დარად მასაც დამსახურებული აქვს ხელოვნებისა და ისტორიის ქალაქის საპატიო ტიტული, რაც XIII საუკუნის ბრწყინვალე ნაგებობებით, უმშვენიერესი კათედრალით, ციხე-სიმაგრით, რომელშიც მუზეუმია განთავსებული და ნაპოლეონისადმი მიძღვნილი კოლონით, რომელიც საფრანგეთში უმაღლესია, მოუპოვებია. დღეს ბულონ-სიურ-მერი პირველი თევზსარეწი პორტია საფრანგეთში და თავს ზღვის ეროვნული ცენტრითაც იწონებს.



პა-დე-კალეს დეპარტამენტში ყველაზე მრავალრიცხოვანი მოსახლეობა კალეშია, რომელიც თავისი ისტორიითა და აწმყოთი სამართლიანად იწონებს თავს. იგი ზღვისა და ოგიუსტ როდენის „ექვსი ბურჟუის“ ქალაქია. ხელსაყრელი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გამო (ინგლისი ხომ ერთ ნაბიჯზეა, „პა-დე-კალე“ კი კალედან ერთ ნაბიჯს ნიშნავს), კალე მეორე ადგილზეა მსოფლიოს პორტებს შორის მოგზაურთა რაოდენობით. გარდა ამისა ლა მანშის გვირაბის გამო კალეში საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის ვაჭრობის 80 პროცენტია თავმოყრილი.



ანტვერპენი, ანუ ანვერი, როგორც მას ფრანგები და ფრანგულენოვანი ბელგიელები უწოდებენ, 450 ათას მაცხოვრებელს ითვლის და მნიშვნელობით ბელგიის მეორე ქალაქად ითვლება. მას ძალიან მდიდარი ისტორია აქვს. არქიტექტურული ქმნილებებიდან გამოსარჩევია უამრავი ეკლესია ბაროკოსა და გოთური სტილების, ფლამანდურ-იტალიური რენესანსის ქალაქის მერიის შენობა... ანტვერპენთანაა დაკავშირებული ისეთი გრანდიოზული მხატვრების სახელები, როგორებიც არიან რუბენსი და ვან დეიკი, რომელთა უამრავი ნამუშევარი სწორედ აქაურ მუზეუმებშია გამოფენილი. ველოსპორტი ამ რეგიონშია ძალიან უყვართ და „ტურს“ მეორედ უმასპინძლეს. შორეულ 1954 წელს ანტვერპენში ჰოლანდიელმა ვაგმანტსმა იმარჯვა.


**იყიდება**

4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა დინამოს სტადიონთან ქურდიანზე, მაღალ ბელეტაჟზე I (8). საერთო ფართი 160კვ/მ. ბუნებრივი აირით, გამაცხელებლით, აიეტით, ტელეფონით, 2 სარდაფით, 2 შესასვლელით, ავტოსადგომით, აბაზანა, აუზით კაფელში, სუფთა მდგომარეობაში, ფასი 35 000$

ტელ: 99-73-52 მარინა, 78-28-77 ნანა



# ნიუ იორკი სარეკორდოს გასცემს



ალან ჰიუსტონი უმდიდრესი ნიუიორკელი გახდება

**ზაფხული** პროფესიული სპორტის სამყაროში შესვენების დროა. ეს ის პერიოდია, როდესაც მთავარი ამბები კაბინეტებში ხდება და არა მოედნებსა და სტადიონებზე. ამიტომ სეზონებს შორის ცხელი დღეები პლაჟზე მზეს მიფიცხებულ სპორტსმენებზე მეტად მათ აგენტებსა და კლუბების პრეზიდენტ-გენერალურ მენეჯერებს უდგათ. ბევრ ევროპაში მიმდინარე ტრანსფერგარიგებები მსოფლიოს ფეხბურთის აზანზარებს, ხოლო ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია ასევე დიდმასშტაბურ საკონტრაქტო ციებ-ცხელებას მოუცავს. მართალია, ნბა-ს წესდება 18 ივლისამდე კრძალავს კლუბსა და კალათბურთელს შორის რაგინდარა ხელშეკრულების დადებას, მაგრამ მხარეები დროს არ კარგავენ, წინასწარ ურიგდებიან ერთმანეთს და სანამ 18 ივლისი დადგება, არაერთ საქმესაც მოაკვარახჭინებენ.

უდიდესი აჟიოტაჟი გამოიწვია ამ უქმეებზე „ნიუ იორკ ნიქსსა“ და მის მოთამაშეს, ამჟამად თავისუფალ აგენტ ალან ჰიუსტონს შორის წარმოებულმა მოლაპარაკებამ. ბოლო სამი წლის განმავლობაში „ნიქსის“ მეტულე ჰიუსტონს კლუბთან კონტრაქტი გასული კვირის დასაწყისში გაუთავდა, მისმა აგენტმა კი ნბა-ს კლუბებს ხარბი თვალი მოავლო, რათა რომელიმე მათგანისთვის ყველაზე სარფიანი ხელშეკრულება დაეცინცლა თავისი კლიენტისთვის. „ნიუ იორკს“, ცხადია, არ სურს ბომბარდირის, ბოლო ორი „ოლ სტარის“ მონაწილისა და სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონის გაშვება, ამიტომაც „ნიქსის“ მამებმა ჯიბეები მოიქექეს და ჰიუსტონის აგენტ ბილ სტრიკლენდს წინ დაუდეს კონტრაქტი, რომლის თანახმადაც კალათბურთელი ვალდებული იქნება, კიდევ ექვსი წლის განმავლობაში ატაროს „ნიუ იორკის“ მაისურა, სამაგიეროდ, იგი ამისთვის 99 მილიონს, უფრო ზუსტად, ამდენს და კიდევ მეოთხედ მილიონ დოლარს მიიღებს. ზღაპრული თანხაა, ამდენს ჰიუსტონს, ალბათ, ვერც ერთი კლუბი ვერ შესთავაზებს, კალათბურთელიც ფაქტობრივად დათანხმდა კარიერის ნიუ იორკში გაგრძელებას. ახლა მხარეები მხოლოდ 18 ივლისის დადგომას ელიან, რათა სიტყვიერი შეთანხმება ოფიციალური ხელმოწერითაც დაადასტურონ.

უკეთ რომ გავიაზროთ ამ ხელშეკრულების მნიშვნელობა, ვთქვათ, რომ ეს კონტრაქტი ალან ჰიუსტონს კლუბის ისტორიაში ყველაზე მაღალანაზღაურებად კალათბურთელად აქცევს. მართალია, მას ექვსი წლის განმავლობაში ყოველწლიურად საშუალოდ 16,5 მილიონს გადაუხდიან, რაც ნახევარი მილიონით ნაკლებია „ნიქსის“ ოდინდელი ვარსკვლავის, პატრიკ იუინგის მონაგარზე (1997 წელს იუინგმა „ნიქსთან“ გააფორმა ოთხწლიანი და 68-მილიონიანი ხელშეკრულება), მაგრამ საქმე ისაა, რომ ჰიუსტონს გათვალისწინებული ექვსი წლის ბოლო ორ წელიწადში 21-21 მილიონს მიიღებს და სწორედ ეს ხდის მას „ნიქსის“ ისტორიაში ყველაზე დიდხელფასიან მოთამაშედ. აქვე აღვნიშნოთ, რომ ეს ცნობა გაზეთმა „ნიუ იორკ დეილი ნიუზმა“ გაავრცელა. რაც შეეხება თავად კონტრაქტში მონაწილე ორ მხარეს, ისინი ჯერჯერობით დუმან.

ხსენებული გაზეთის რწმუნებით, ამ საქმეში გამოირიცხება გაცვლა, რომელსაც მთელი ნბა ელოდა. ჰიუსტონი „ნიუ იორკში“ დარჩება და კონტრაქტის გაფორმების შემდეგ არ გაიცვლება საკრამენტოელ კრის ვებერში, როგორც ამას ვარაუდობდნენ. ასე რომ, „დეილი ნიუზის“ ცნობით, ვებერის „ნიუ იორკში“, ხოლო ჰიუსტონის „საკრამენტოში“ ხილვა პრაქტიკულად გამოირიცხა.

ამასობაში კი, როცა ჰიუსტონს თავი ქუდში აქვს და მომავალში ასალები მილიონებით ტკბება, კრის ვებერი ჭოჭმანობს, დათანხმდეს თუ არა ძველი გუნდის, „საკრამენტოს“ საკმაოდ სარფიან წინადადებას — 120 მილიონს შვიდ წელიწადში. ვებერი, ისევე როგორც ჰიუსტონი, თავისუფალი აგენტია, თუმცა ძველ კლუბთან მოლაპარაკებას ჯერ არ ჩქარობს და სხვათა წინადადებებს წონის. „საკრამენტოს“ ოდენობის თანხა ნბა-ს დანარჩენი 28 გუნდიდან მხოლოდ „ჩიკაგოსა“ და „ჰიუსტონს“ აქვთ, თუმცა ამ ორზე მეტად „დეტროიტი“ აქტიურობს. ვებერი ამ პარასკევს „დეტროიტის“ პრეზიდენტ ჯო დუმარსს შეხვდა და მასთან ორი საათი ისაუბრა. „მე ვუთხარი მას, რომ ძალიან გვჭირდება“ — თქვა დუმარსმა, რომელსაც ვებერთან შეხვედრის შემდეგ კიდევ უფრო გაუღრმავდა მისი „დეტროიტში“ ხილვის იმედი.

კრის ვებერისთვის მაცდუნებელია „ჰისტონზი“, რადგან მიჩიგანის შტატში, სწორედ იქ, სადაც ქალაქი დეტროიტია, შობილ-გაზრდილია და ჯეელობაში ამ შტატის უნივერსიტეტს ორჯერ მოაგებინა სტუდენტური ჩემპიონატი.

**ირაკლი ფირცხილი**

# ქალები მიწას ვერ ასცდნენ

**მაშინ,** როდესაც ნბა-ს ვარსკვლავი-თავისუფალი აგენტები ცდილობდნენ, ვინმეს ასტრონომიული ხელფასი დასტყუონ, კალათბურთს დანატრებული ოკეანგაღმელი ქომაგები დიაცთა ნბა-ს სანახავად დაიარებიან. ვნბა ანუ ქალთა ნბა არასდროს უჩიოდა მაყურებელთა სიმცირეს, რადგან ყოჩაღ მანდილოსანთა სანახავად მისულ გულშემატკივარს ხშირად უნახავს თამაშები, რომლებიც სილამაზითა და დაძაბულობით კაცთა პაექრობას არ ჩამოუვარდებოდა.

ამ კვირას „ლოს ანჯელეს სპარქსი“ „მინესოტა ლინქსს“ მასპინძლობდა და პირველი ნახევრის შემდეგ დიდი სხვაობითაც იგებდა. მეორე ნახევარში სტუმართა პირველმა მეტულემ კეტი სმიტმა, რომელიც ამავდროულად ლიგის ბომბარდირიც გახლავთ, აიწყვიტა, 26 ქულა ჩააგდო და შეძლო ანგარიშის გათანაბრება. მართალია, „მინესოტამ“ ის მატჩი ოვერტაიმში წააგო, მაგრამ სმიტს სულ თამაშში 46 ქულა მოუგროვდა. ამაში განსაკუთრებული კი ისაა, რომ ეს 46 ქულა ლიგის ყველა დროის რეკორდია. სმიტის მიღწევა ორი ქულით აღემატება 1997 წელს ჰიუსტონელი სინტია კუპერის შედეგს.

ქალთა ნბა პოპულარობით, აბა, როგორ მივა ნამდვილთან, მაგრამ, სამაგიეროდ, ის უფრო მიწიერია. 39 წლის წინ უილტ ჩემბერლენის მიერ დამყარებულ ნბა-ს, ალბათ, უკვდავ რეკორდს, ერთ თამაშში გაკეთებულ 100 ქულას, 27 ქულაზე ახლოს ვერავინ მიახლოებია. ქალები კი, როგორც ყოველთვის, ზომიერების გრძნობას არ კარგავენ და დაუპყრობელ სიმაღლეებს არ (ვერ) ეპოტინებიან. არც კეტი სმიტის 46 ქულა ჩანს მიუწვდომლად. ასე რომ, გწამდეთ, ქალბატონ კეტისაც გამოუჩნდება მჯობნი.

**ივანე ძობიაშვილი**



ლოს ანჯელესი — მინესოტა. კეტი სმიტმა (№30) ქალთათვის სარეკორდო, 46 ქულა ჩააგდო



## ტესტ მატჩები

**ბრიტანელი ლომები ავსტრალიაში**
მელბურნი. 7 ივლისი

**ავსტრალია 35:14 ბრიტანელი ლომები**

ავსტრალია: ბერკი, უოლკერი (ლეითემი 46), ჰერბერტი, გრეი, როფი, ლარკემი (ფლეტლი 75), გრეგანი; სტაილზი, ფოლი (ქენონი 78), მური, გიფინი (კოკბეინი 68), ილზი (კაპ.), ფინეგანი, სმიტი, კეფუ

3ლ: როფი (2), ბერკი; 1გ. და 6ს: ბერკი

ბრიტანელი ლომები: პერი (ინგლისი) (ბოლშოუ 50, ინგლისი), ჯეიმსი (უელსი), ოდრისკოლი (ირლანდია), ჰენდერსონი (ირლანდია), რობინსონი (ინგლისი), უილკინსონი (ინგლისი) (ჯენკინსი 69, უელსი), ჰაული (უელსი) (დოუსონი 78, ინგლისი); სმიტი (შოტლანდია), ვუდი (ირლანდია), ვიკერი (ინგლისი) (ლენარდი 74, ინგლისი), ჯონსონი (ინგლისი) (კაპ.), გრიუკოკი (ინგლისი), რ. ჰილი (ინგლისი), ბეკი (ინგლისი), ქვინელი (უელსი)

1ლ: ბეკი; 3ს: უილკინსონი

მსაჯი: ჯონათან კაპლანი (სამხრეთ აფრიკა)

**მონტევიდეო. 8 ივლისი**

**ურუგვაი 3:14 იტალია**

ურუგვაი: 1ს: აგირე

იტალია: 1ლ: პერძიანო; 3ს: მაძარიოლი (2), პოძებონი



REUTERS მელბურნიდან

ავსტრალია — ბრიტანელი ლომები. ავსტრალიელებმა თანაგუნდელი დევიდ გიფინი მაღლა ასწიეს და აუტი მოაგებინეს

სარბიელელები ვწუხვართ ვეტერანი ძიუდოისტის, ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის, მსოფლიოს პრიზიორის

**აკაკი კიბორძალიძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია მწუხარებას გამოთქვამს ძიუდოში ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის, მსოფლიოს პრიზიორის

**აკაკი კიბორძალიძის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

გორის გამგეობა და გორის სპორტკომიტეტი მწუხარებას გამოთქვამენ ძიუდოში ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის, მსოფლიოს პრიზიორის

**აკაკი კიბორძალიძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

გამოიწერეთ
გაზეთი
სარბიელი
თავის ფასში
ტელეფონით!
ნებისმიერი ვადით 1 თვით, 2 თვით, 3 თვით, 6 თვით, 12 თვით.
98-89-09, 26-10-80, (899) 55-30-97
ფოსტის ყუთები და დამონტაჟება უფასოა!
„პრეს-მობილი“

IAAF GOLDEN LEAGUE

## ოქროს ლიგა. II ეტაპი (პარიზი)

GAZ DE FRANCE PARIS SAINT-DENIS

# შეგვიძლია! აგვირჩიეთ!

## ფრანგებმა ოქროს ლიგა ოლიმპიური მიზნებისთვის გამოიყენეს




გამარჯვებული მარიონ ჯონსის მორიგი ფართო ღიმილი

**ალარაფერი** დარჩა იმ დღემდე, როცა მოსკოვში 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძელს გამოაცხადებენ. ფავორიტი პეკინია, მისი მთავარი კონკურენტი — პარიზი. ფრანგები გულმოდგინედ ცდილობენ საქმის ისე წარმოჩენას, რომ მათ სატახტო ქალაქში ოლიმპიადის გამართვა ყველაზე უპრიანია, რადგან საფრანგეთში დემოკრატია ყვავის და ადამიანის უფლებები დაცულია (არ დავასახელებთ და ზოგი ქვეყნისგან განსხვავებით) და რადგან ფრანგებს გრანდიოზული ღონისძიებების გამართვის შნო ოდითგან მოსდგამთ.

ამ საფუძვლიანი არგუმენტების ილუსტრაცია პარასკევის „ოქროს ლიგის" ეტაპი იყო, რიგით მეორე, რომელშიც შოუს ელემენტები ბლომად ერია და მაყურებელიც სარეკორდოდ ბევრი, 58 ათასი მოგროვდა. ეს ფაქტიც, ალბათ, ოლიმპიური შეფერილობისაა.

გარბოდა, ხტოდა, ტყორცნიდა უამრავი ელიტარული მძლეოსანი, რომლებმაც მოსამკელი მოიმკეს. სენსაციები თითქმის არ ყოფილა, გაბრიელა საბოს მეორე ჩავარდნას თუ არ ჩავთვლით და კიდევ ლოურენს ჯონსონის მეორე ადგილს ჭოკით ხტომაში.



ჯენი ადამსმა (მარცხნივ) 100 მეტრზე თარჯრბენი მოიგო, იამაიკელი დელორიენ ენის-ლონდონი კი დაეცა და მშრალზე დარჩა

საბო ჩაფლავდა რომის „ოქროს გალაზე", სადაც რუსულმა ტრიომ გაუსწრო. სცენარი არ შეცვლილა პარიზშიც. ის საბო, რომელსაც ატლანტის ოლიმპიადის შემდეგ შეჯიბრი არ დაუტოვებია უპოდიუმოდ, ახლა კარგად ვერ გამოიყურება, თუმცა სულით არ ეცემა. „ედმონტონში ვნახოთ — თქვა მან 3000 მეტრის წაგებისთანავე, სადაც გამარჯვებულს 3,5 წამით ჩამორჩა — იქ 5 კილომეტრს ვირბენ".

არსებითად, საბოს ჰქონდა პარიზში უკეთესი შედეგის შანსი. 800 მეტრის შემდეგ მის წინ რუსი ტატიანა ტომაშოვა და „კურდღელი" მირბოდნენ, უკან კი მაროკოელი ასმა ლეგზაუი მისდევდა. 2000 მეტრის ამოწურვისთანავე მიმყოლმა რუსებმა, ოლგა ეგოროვამ და ელენა ზადოროჟნაიამ, ტემპს უმატეს. საბო და სხვები კიდევ ცოტა ხანს გაძალიანდნენ, ფინიშამდე 200 მეტრით ადრე რუსებმა ისინი გატეხეს. ეგოროვამ რბოლა სპრინტით დაასრულა და დამაჯერებლად გაიმარჯვა, მას მიჰყვნენ ზადოროჟნაია და ტომაშოვა. საბომ მეოთხე ადგილი დაიკავა და ეწყინა. შესაბამისად მე-5, მე-6 და მე-7 იყვნენ ბულგარელი დანიელა იორდანოვა, უნგრელი კატალინ ზენტგორგი და ბელარუსი ალესია ტუროვა — მათ საბოს საპირისპირო ემოცია გამოხატეს, რადგან უგვანი ადგილების მიუხედავად სამივეს ეროვნული რეკორდი დაუმყარებია, როგორც მე-6 ადგილოსან გლოდი დუბეს ბოტსვანისა 800 მეტრზე სირბილში, სადაც ანდრე ბუხერისა და იური ბორზაკოვსკის მორიგი დუელი შედგა.

ისე ჩანს, რომ შვეიცარიელმა რუსი თინეიჯერის ტაქტიკას კონტრარგუმენტი მოუძებნა. ბოლო ტურნირებია, ვეღარ ჭრის რუსის რაკეტული სტილი — თავიდან ჩამორჩენა და ბოლოს აჩქარება. ბორზაკოვსკიმ პარიზშიც აიწყვიტა, მე-7 ადგილზე იყო და მეორემდე ავიდა, მაგრამ ბუხერმა ფინიშთან ტემპი არამცთუ დააგდო, უმატა კიდეც და თუ რომში პირველობას ფოტოფინიშს უმადლის, ამჯერად ტექნიკის ჩარევა ზედმეტი იყო, ბორზაკოვსკი თითქმის ნახევარი წამით ჩამორჩა.

„დღეს ყველაფერი დიდებულად მიდის — განუცხადა მარიონ ჯონსმა მასმედიას, როცა 100 მეტრი სეზონის რეკორდით მოიგო და წლეულს ვინ იცის, მერამდენედ, ნაფოტა კბილები გამოყარა — სტადიონზე დამუხტული ატმოსფერო სუფევდა და ამან მეტი ძალა შემძინა. ყველაფრით გახარებული ვარ".

ჯონსმა სტარტი ისე კარგად აიღო, ცხადი გახდა: შედეგი გამორჩეული იქნებოდა. გვარიანად უკან დარჩნენ უკრაინელი ჟანა პინტუსევიჩი და ბაჰამელი ჩანდრა სტარაპი, ოღონდ შექება ამათიც შეიძლება, 11 წამი არც ერთმა დახარჯა, გამარჯვებულის სეზონის რეკორდი კი 10,84 წამში გამოიხატა, რაც იმ პროგნოზს ამყარებს, რომ თუ ქვეყანა არ დაიქცა, ჯონსი მსოფლიოს ჩემპიონიც გახდება.

ამავე აზრით მორის გრინის უხსენებლობა არ იქნება. იგი პარიზში ვაჟთა 100 მეტრის პოდიუმის ამერიკელთაგან სრულად დაპყრობის საქმეს თავკაცობდა. მსოფლიოს პირველი სპრინტერის პარიზული 9,96 მისსავე წლევანდელ მიღწევებს ჩამოუვარდება, მაგრამ პირველ ადგილს ეყო. მეორე იყო ტიმ მონტგომერი, ბერნარდ უილიამსმა სამეული დაასრულა. ჟურნალისტებთან მორისმა ყურადღება თავის მარცხენა მუხლზე გაამახვილა, რომელიც თურმე თითქმის აღარ აწუხებს. „იგი თავს უკვე აღარ მახსენებს" — აღნიშნა გრინმა და დაუმატა, მსოფლიოს პირველობაზე სრულიად ჯანმრთელი ვირბენო.

ბუხერის, ჯონსის და ეგოროვას გარდა სეზონის რეკორდები დაამყარეს — ჰიშამ ელ გერუჯმა, ალენ ჯონსონმა და უილსონ ბოიტ-კიპკეტერმა. ბოლო ორმა ეს საქმე ოლიმპიურ ჩემპიონთა ხარჯზე მოახერხა. ჯონსონის გვერდით 110 მეტრზე გარბოდნენ და თარჯებზე ხტებოდნენ კუბელი ანიერ გარსია, კიდევ მსოფლიოს რეკორდსმენი კოლინ ჯეკსონი და ქებული ამერიკელები — ტერენს ტრამელი და დადლი დორივალი. ჯონსონმა კარგი სტარტი აიღო, მაგრამ სხვებიც არ ჩამორჩნენ და მისი ლიდერობა შუაგზის მერელა გამოიკვეთა, როცა მან სამიოდე თარჯი სრულიად უნაკლოდ გადალახა. ტექნიკური სირბილის წყალობით ჯონსონის დრო 13,15 წამი დაფიქსირდა, სეზონის რეკორდი, როგორც მაღლა მოგახსენეთ. მეორე ამერიკელმა ქალთა თარჯრბენში იმძლავრა. მისი სახელია ჯენი ადამსი. ადამსმა ბეწვზე გაუსწრო რუს სვეტლანა ლაუხოვას, ხოლო თარჯრბენის თემას დავასრულებთ კიდევ ერთი სასეირო დუელით, რომელიც 400 მეტრზე ანჯელო ტეილორსა და სტეფან დიაგანას შორის შედგა.

დიაგანა მასპინძელი იყო და 58 ათასი ხორხიდან ამოსულ ბგერათა მქუხარე ნაკადით გვარიანად ისარგებლა. „ლოზანას გრან პრიზე" ტეილორმა ფრანგი დაჩაგრა, ამჯერად კი სტარტზე დიაგანა დაწინაურდა. მის გვერდით ტეილორის გარდა ცნობილი არაბი სპრინტერი ჰადი ალ სომალი (სიდნეის ოლიმპიადიდან ვერცხლის მედალი წაიღო) და ამერიკელი ჯეიმს კარტერი მირბოდნენ. დიაგანა ლიდერობდა ბოლო თარჯზე გადახტომის დროსაც ტეილორს ორი მეტრით უსწრებდა, მაგრამ ზუსტად მაშინ წაიბორძიკა და ტეილორმა მასთან ერთად გადალახა ფინიში. ფოტოფინიშმა ამერიკელის გამარჯვება სცნო და იმანაც ყოყოჩად მიმართა მასმედიას: „მე დიაგანას მშობელ ქალაქში გავიმარჯვე. ეს ამდენი ხალხი მისი ზურგი იყო, მაგრამ მაინც პირველი ვარ. ედმონტონში კარგ ხასიათზე ვირბენ".

ჰიშამ ელ გერუჯმა კიდევ ერთხელ მოიგო კილომეტრნახევარი და პირდაპირ არ ვიცით, ედმონტონის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის როგორი პროგნოზი გავაკეთოთ. სიმპათიური არაბი იგებს ყველა ტურნირს, სადაც გამოვა და ასე იყო სიდნეის ოლიმპიადის წინაც, იქ მომხდარ დრამაზე კი რამდენჯერმე დავწერეთ. განმეორდება ისტორია ედმონტონში? ეს უსამართლობა იქნება. რაც შეეხება პარიზს, აქ ძლიერ კენიელებს არაბისთვის წინააღმდეგობა პრაქტიკულად არ გაუწევიათ. წრეზე მეტი რჩებოდა ფინიშამდე, როცა ელ გერუჯი ჯგუფს გამოეყო და სულმოუთქმელი სირბილით გაემართა ფინიშისკენ. მისმა გარღვევამ ბერნარდ ლაგატისგან 15 მეტრი ანუ 2,5 წამი შეადგინა.



ანჯელო ტეილორს (მარცხნივ) სტეფან დიაგანას მორევა ძლიერ გაუჭირდა, მაგრამ ფოტოფინიშით მაინც გაუსწრო

თვისტომ საბოს არ ჰგავს წლეულს ვიოლეტა ბეკლია-სეკელი, რომელმაც „ოქროს ლიგის" მეორე ეტაპიც მოიგო 1500-მეტრიან დისტანციაზე. ჯგუფურ რბოლაში პირველი დისონანსი რუსმა ნატალია გორელოვამ შეიტანა, რომელმაც ფინიშამდე 600 მეტრით ადრე მოუჩქარა. მას მიჰყვნენ სეკელი, რუსი ოლგა ნელიუბოვა და ამერიკელი სიუზი ფევორ-ჰამილტონი. გორელოვა ლიდერობდა თითქმის ბოლომდე და 50 მეტრზე ნაკლები უკლდა ფინიშს, როცა სეკელიმ გაუსწრო. რუმინელი იყო პარიზში ერთადერთი, ვინც გამარჯვების მიუხედავად წაიწუწუნა. „ყველასგან განსხვავებით გაწბილებული ვარ — გამარჯვებულები იგულისხმება სეკელიმ — ცუდი, თითქმის საშინელი დრო ვუჩვენე და იმიტომ". მაინც ეს სიტყვები ორიგინალურობის სურვილს უფრო წააგავს, თორემ რატომ უნდა იყოს სეკელი უკმაყოფილო, კიდევ სამი ეტაპის მოგებით 50 კილო ოქროს მოწილე გახდება, ოქროს კი ვისთვის უწყენია?

**დავით გულუა**

### ვაჟები

100 მ: 1. მორის გრინი (აშშ) 9,96; 2. ტიმ მონტგომერი (აშშ) 10,04; 3. ბერნარდ უილიამსი (აშშ) 10,15

800 მ: 1. ანდრე ბუხერი (შვეიცარია) 1.43,34; 2. იური ბორზაკოვსკი (რუსეთი) 1.43,76; 3. ჟან პატრიკ ნდუვიმანა (ბურუნდი) 1.43,78

1500 მ: 1. ჰიშამ ელ გერუჯი (მაროკო) 3.28,38; 2. ბერნარდ ლაგატი (კენია) 3.30,83; 3. უილიამ ჩირჩირი (კენია) 3.31,20

5000 მ: 1. ლუკ კიპკოსგეი (კენია) 13.02,25; 2. ტომ ნიარიკი (კენია) 13.03,60; 3. აბდერაჰიმ გუმრი (მაროკო) 13.03,60

3000 მ სტიპლჩეიზი: 1. უილსონ ბოიტ კიპკეტერი (კენია) 8.08,13; 2. რუბენ კოსგეი (კენია) 8.08,99; 3. რეიმონდ იატორი (კენია) 8.09,63

110 მ თარჯრბენი: 1. ალენ ჯონსონი (აშშ) 13,15; 2. ანიერ გარსია (კუბა) 13,23; 3. ტერენს ტრამელი (აშშ) 13,24

400 მ თარჯრბენი: 1. ანჯელო ტეილორი (აშშ) 48,10; 2. სტეფან დიაგანა (საფრანგეთი) 48,13; 3. ჰადი სუან ალ სომალი (საუდის არაბეთი) 48,34

ჭოკი: 1. ვიქტორ ჩისტიაკოვი (ავსტრალია) 5,75; 2. ლოურენს ჯონსონი (აშშ) 5,70; 3. ტიმ ლობინგერი (გერმანია) 5,65

სიგრძეზე ხტომა: 1. ივან პედროსო (კუბა) 8,10; 2. ჰუსეინ თაჰერ ალ საბე (საუდის არაბეთი) 8,10; 3. კევინ დილვორთი (აშშ) 8,09

შუბი: 1. კოსტადინოს გაციუდისი (საბერძნეთი) 86,81; 2. ბორის ჰენრი (გერმანია) 82,97; 3. სერგეი მაკაროვი (რუსეთი) 82,63

### ქალები

100 მ: 1. მარიონ ჯონსი (აშშ) 10,84; 2. ჟანა პინტუსევიჩ-ბლოკი (უკრაინა) 10,96; 3. ჩანდრა სტარაპი (ბაჰამის კუნძულები) 10,99

800 მ: 1. შტეფანი გრაფი (ავსტრია) 2.00,00; 2. მარია მუტოლა (მოზამბიკი) 2.00,13; 3. ნატალია ციგანოვა (რუსეთი) 2.00,45

1500 მ: 1. ვიოლეტა ბეკლია-სეკელი (რუმინეთი) 4.01,55; 2. ნატალია გორელოვა (რუსეთი) 4.02,03; 3. სიუზი ფევორ-ჰამილტონი (აშშ) 4.02,64

3000 მ: 1. ოლგა ეგოროვა (რუსეთი) 8.23,75; 2. ელენა ზადოროჟნაია (რუსეთი) 8.26,79; 3. ტატიანა ტომაშოვა (რუსეთი) 8.27,02

100 მ თარჯრბენი: 1. ჯენი ადამსი (აშშ) 12,81; 2. სვეტლანა ლაუხოვა (რუსეთი) 12,83; 3. ლინდა ფერგა (საფრანგეთი) 12,86

400 მ თარჯრბენი: 1. ტატიანა ტერეშჩუკ-ანტიპოვა (უკრაინა) 54,01; 2. დები ენ პერისი (იამაიკა) 54,34; 3. იულია ნოსოვა (რუსეთი) 54,61

სიმაღლეზე ხტომა: 1. ვენელინა ვენევა (ბულგარეთი) 2.00; 2. კაისა ბერგკვისტი (შვედეთი) 1,98; 3. ვიქტორია პალამარი (უკრაინა) 1,98

ურო: 1. კატალინ დივოში (უნგრეთი) 68,54; 2. დონ ელერბი (აშშ) 67,53; 3. იპსი მორენო (კუბა) 66,69

# სარბიელი

# სპორტული ლატარია კროკო

### ავსტრია. 1-ლი ტური

**10 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 001 | გრაცერი-ტიროლი | 2,4 | 3,1 | 2,6 |

**11 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 002 | ზალცბურგი-აუსტრია | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 22.30 | 003 | ბრეგენცი-ადმირა | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 22.30 | 004 | კერნტენი-რიდი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 23.30 | 005 | რაპიდი-შტურმი | 2,1 | 3,0 | 3,3 |

### შვეიცარია. A ჯგუფი. გადადებული მატჩი

**11 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 006 | ლუგანო-სიონი | 1,65 | 3,2 | 5,0 |

### შვეიცარია. A ჯგუფი. მე-2 ტური

**11 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 007 | ბაზელი-სერვეტი | 1,95 | 3,1 | 3,3 |
| 22.30 | 008 | ლოზანა-იანგ ბოისი | 1,6 | 3,4 | 5,0 |

**14 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 009 | აარაუ-ლუცერნი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 22.30 | 010 | ლუგანო-გრასჰოპერი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 22.30 | 011 | ქსამაქსი-სიონი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 23.15 | 012 | ციურიხი-სენტ გალენი | 2,4 | 3,1 | 2,6 |

### შვეიცარია. B ჯგუფი. 1-ლი ტური

**11 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 013 | კონკორდია-ვილი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.30 | 014 | ბადენი-ბელინცონა | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 22.30 | 015 | ლოკარნო-დელემონი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 22.30 | 016 | ვინტერთური-კრინსი | 1,6 | 3,5 | 4,7 |
| 22.30 | 017 | ივერდონი-კარუჟი | 1,65 | 3,2 | 5,0 |

### შვეიცარია. . B ჯგუფი. მე-2 ტური

**14 ივლისი**

| | | |
|---|---|---|
| 20.30 | 018 | ბადენი-დელემონი |
| 22.30 | 019 | ბელინცონა-ვინტერთური |
| 22.30 | 020 | კარუჟი-კონკორდია |
| 22.30 | 021 | კრინსი-ვადუცი |
| 22.30 | 022 | თუნი-ივერდონი |
| 22.30 | 023 | ვილი-ლოკარნო |

### რუსეთი. მე-16 ტური

**11 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 024 | სპარტაკი-ჩერნომორეცი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 16.00 | 025 | კრილია-ცსკა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 16.00 | 026 | როტორი-სოკოლი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 16.00 | 027 | როსტსელმაში-ზენიტი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 16.00 | 028 | ფაკელი-ალანია | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 16.00 | 029 | სატურნი-ანჟი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 19.00 | 030 | ზილ-ლოკომოტივი | 4,4 | 3,2 | 1,65 |

**12 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 031 | დინამო-ტორპედო | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### შვედეთი. გადადებული მატჩი

**11 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 032 | იორგრიტე-აიკ | 2,3 | 3,0 | 2,9 |

### შვედეთი. მე-13 ტური

**15 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 033 | ჰალმსტადი-ჰამარბი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 20.00 | 034 | ტრელებორგი-გეტებორგი | 3,5 | 3,3 | 1,85 |
| 22.00 | 035 | ჰეკენი-ჰელსინგბორგი | 3,0 | 3,1 | 2,2 |

### ფინეთი. მე-19 ტური

**10 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 036 | იოკერიტი-ლაჰტი | 1,8 | 3,2 | 3,8 |

**11 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 037 | ატლანტისი-მიუპა | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**12 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 038 | ინტერი-ჯაზი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| 20.30 | 039 | კუოპიო-ტამპერე | 3,3 | 3,2 | 2,0 |

### ფინეთი. გადადებული მატჩები

**14 ივლისი**

| | | |
|---|---|---|
| 18.00 | 040 | იოკერიტი-როვანიემი |

**15 ივლისი**

| | | |
|---|---|---|
| 20.30 | 041 | ჰიკ-ჯაზი |
| 20.30 | 042 | ტამპერე-ლაჰტი |
| 20.30 | 043 | მიუპა-ვაასა |

### გერმანია. ლიგის თასი. I ეტაპი

**11 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 044 | დორტმუნდი-ფრაიბურგი | 1,7 | 3,3 | 4,2 |

**12 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 045 | ლევერკუზენი-ჰერტა | 2,2 | 3,0 | 3,1 |

### ჩემპიონთა ლიგა. I ეტაპი. I მატჩები

**11 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 501 | ლევსკი-ჟელეზნიჩარი 4:0 | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 18.00 | 502 | ლინფილდი-ტორპედო 0:0 | ანგარიში - 5,0 | | |
| 18.00 | 503 | რეიკიავიკი-ვლაჟნია 2:1 | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 18.00 | 504 | სლოგა-კაუნასი 0:0 | 1,55 | 3,6 | 5,0 |
| 18.00 | 505 | ვაგური-მოზირი 0:0 | 3,6 | 3,3 | 1,9 |
| 18.00 | 506 | ბოჰემიანი-ლევადია 3:0 | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 18.00 | 507 | ბარი თაუნი-შამქირი 2:0 | 1,95 | 3,2 | 3,4 |
| 18.00 | 508 | ვალეტა-ჰაკა 0:0 | 3,8 | 3,2 | 1,75 |
| 18.00 | 509 | დუდელანჟი-სკონტო 1:6 | 5,0 | 3,6 | 1,55 |
| 18.00 | 510 | არაქსი-შერიფი 0:1 | 2,1 | 3,1 | 3,2 |

### ამხანაგური მატჩი (ავსტრიაში)

**10 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 511 | ლევერკუზენი-ლივერპული | 3,0 | 3,1 | 2,2 |

### ინტერტოტოს თასი. III ეტაპი. I მატჩები

**14 ივლისი**

| | | |
|---|---|---|
| 18.00 | 512 | ბრეშა-ტატაბანია |
| 18.00 | 513 | ლოკერენი-ნიუკასლი |
| 18.00 | 514 | ცელიე-ლოზანა |
| 18.00 | 515 | ვოლფსბურგი-დინამო (მნ) |
| 18.00 | 516 | ვერდერი-გენტი |
| 18.00 | 517 | ბლშანი-პობედა |
| 18.00 | 518 | სლავენი-ასტონ ვილა |
| 18.00 | 519 | ვალვაიკი-მიუნხენი |
| 22.30 | 520 | ბაზელი-ჰერენვენი |

**15 ივლისი**

| | | |
|---|---|---|
| 18.00 | 521 | ტავრია-პსჟ |
| 21.00 | 522 | რენი-სინოტი |
| 21.00 | 523 | ტრუა-აიკ |

### კოპა ამერიკა (კოლუმბიაში)

**11 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 524 | ეკვადორი-ჩილე | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 06.45 | 525 | კოლუმბია-ვენესუელა | 1,05 | 7,0 | 14,0 |

**12 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 03.30 | 526 | პერუ-პარაგვაი | 4,2 | 3,1 | 1,75 |
| 05.45 | 527 | ბრაზილია-მექსიკა | 1,4 | 3,6 | 6,5 |

**13 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 528 | ბოლივია-ურუგვაი | 5,0 | 3,4 | 1,6 |
| 06.15 | 529 | არგენტინა-კოსტა რიკა | | | |

**14 ივლისი**

| | | |
|---|---|---|
| 02.15 | 530 | ჩილე-ვენესუელა |
| 04.30 | 531 | კოლუმბია-ეკვადორი |

**15 ივლისი**

| | | |
|---|---|---|
| 02.00 | 532 | ბრაზილია-პერუ |
| 04.15 | 533 | პარაგვაი-მექსიკა |

**16 ივლისი**

| | | |
|---|---|---|
| 04.00 | 534 | ურუგვაი-კოსტა რიკა |
| 06.15 | 535 | არგენტინა-ბოლივია |

### მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

**13 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 536 | ეგვიპტე-ნამიბია | 1,25 | 5,0 | 9,0 |

**14 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 537 | სიერა ლეონე-ლიბერია | 3,6 | 3,4 | 1,75 |
| 18.00 | 538 | სამხრეთ ა ჰიკა-მალავი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 18.00 | 539 | სენეგალი-მაროკო | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 540 | ზამბია-კამერუნი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**15 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 541 | განა-სუდანი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 17.00 | 542 | ტოგო-ლიბია | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 17.30 | 543 | დრ კონგო-ტუნისი | 5,0 | 3,6 | 1,5 |
| 17.30 | 544 | კონგო-კოტ დივუარი | 5,0 | 3,6 | 1,5 |
| 18.00 | 545 | ზიმბაბვე-ბურკინა ფასო | 1,7 | 3,2 | 4,4 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

**1 აგვისტოდან კროკო ხუთშაბათობითაც იმუშავებს. დასვენების დღე მხოლოდ ორშაბათი იქნება. სამუშაო დღეებია: სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი, კვირა**

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო


ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | აღმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №30 | ჭადრაკის კლუბი |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №61 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| ქობულეთი | აღმაშენებლის ქუჩა №106 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

① ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ

② შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება

③ შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)

④ მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში

⑤ წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი

⑥ არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა. ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# ვინუსის სოლო კორტზე და კარნავალზე

## ქალთა ფინალი

**ვინუს უილიამსი (2, აშშ) — ჟიუსტინ ენენი (8, ბელგია) 6:1, 3:6, 6:0**

### სტატისტიკური მონაცემები

| ენენი | | უილიამსი |
|---|---|---|
| 39/69-დან — 57% | I მოწოდების % | 35/56-დან — 63% |
| 2 | ეისები | 3 |
| 3 | ორმაგი შეცდომა | 4 |
| 18 | უნებლიე შეცდომა | 12 |
| 28/39-დან — 72% | I მოწოდებაზე მოგებული ქულები | 30/35-დან — 86% |
| 11/30-დან — 37% | II მოწოდებაზე მოგებული ქულები | 11/21-დან — 52% |
| 7 | სუფთად მოგებული ქულები | 19 |
| 1/1-დან | ბრეიკ-პოინტების გამოყენება | 5/14-დან |
| 6/8-დან — 75% | ბადესთან მოგებული ქულები | 18/24-დან — 75% |
| 54 | სულ მოგებული ქულები | 71 |
| 175კმ/სთ | უსწრაფესი მოწოდება | 191კმ/სთ |

*დრო: 1 საათი და 8 წუთი*



ვინუს უილიამსი საჩემპიონო სინით

**ვინუს უილიამსის** სუპერვარსკვლავის სტატუსში ეჭვს ვერავინ შეიტანს. 40-მილიონიანი კონტრაქტი „რიბოკთან“, აურაცხელი ტიტული და სხვა სარფიანი ხელშეკრულებები სწორედ ამის დასტურია. მაგრამ ფაქტია ისიც, რომ შავი ვენერა ქომაგთა შორის პოპულარობით ვერ დაიკვეხნის. მშობლიურ აშშ-ში სტვენაზე რომ არაფერი ვთქვათ, ცენტრალურ კორტზე ფინალში მის ორმაგ შეცდომას უფრო დიდი ტაშისცემა მოჰყვებოდა-ხოლმე, ვიდრე ათლეტურად მოგებულ მორიგ გათამაშებას.

ვინუსს ზემოთქმული სულაც არ ანაღვლებს: „ხშირად როდი სურთ ტრიბუნებს ჩემი გამარჯვება, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, ყველა რომც მქომაგობდეს, მოგებით მაინც მე უნდა მოვიგო, ბურთი მე უნდა დავარტყა. ვინ იცის, იქნებ ერთ დღეს მეც მიგულშემატკივრონ... მაგრამ არავის დასტური და მოწონება არ მჭირდება. მესმის, რომ უმეტესობას სურს, მოულოდნელობა მოხდეს, აუტსაიდერმა იმარჯვოს.“

აუტსაიდერის გარჩევას კვირას ბინოკლი ნამდვილად არ სჭირდებოდა. ცენტრალურ კორტზე შეკრებილ მაყურებლებს შეიძლება ჟიუსტინ ენენის გვარ-სახელი პირველადაც ესმოდა, მაგრამ მეტოქეთა შორის სიმაღლეში 20-სანტიმეტრიან და წონაში 15-კილოგრამიან განსხვავებას შეუიარაღებელი თვალიც იოლად შეამჩნევდა: შარშანდელი ჩემპიონი, ათლეტური და დაკუნთული ამერიკელი, ჩია, ძვალტყავა და ფერმკრთალი ბელგიელის წინააღმდეგ.

დიდი სლემის ტურნირის ფინალში პირველად მოასპარეზე ენენის გამოუცდელობა მატჩის დაწყებამდევე ნათლად გამოჩნდა. როდესაც 15 წლის ინვალიდმა ინგლისელმა ბიჭმა კაილ უივერმა შეხვედრას კენჭი უყარა, მეტოქეები ბადესთან გვერდიგვერდ დადგნენ და ფოტოგრაფებს გაუღიმეს. ვინუსი მერე შემოტრიალდა და ახლა კორტის მეორე მხარეს მოკალათებულთათვის გაიკრიჭა, პროცედურას უჩვევი ბელგიელი კი ამის ნაცვლად პირდაპირ უკანა ხაზისკენ გაემართა.

სანამ თავად მატჩზე გადავიდოდეთ, ცოტაოდენი იმის შესახებ, თუ რატომ გაიმართა ქალების ფინალი შაბათის ნაცვლად კვირას — მიზეზი, რაღა თქმა უნდა, წვიმა იყო. წესით და რიგით, შეხვედრა ადგილობრივი დროით პირველ საათზე უნდა დაწყებულიყო, მაგრამ თავსხმამ მხოლოდ საღამოს გადაიღო, ისიც ერთი საათით და ამ დროში ვაჟების გადადებული ნახევარფინალის დასრულებაც კი ვერ მოხერხდა.

ვინუსის საგულშემატკივროდ „ოლ ინგლენდ კლაბში“ ოცკაციანი ამალით გამოცხადებული აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი ბილ კლინტონი ამაოდ ელოდა თავისიანის კორტზე გამოსვლას და მეორე დღეს შინ გაემგზავრა (თუ გავითვალისწინებთ, როგორი ზეგავლენა იქონია ექსპრეზიდენტის „როლან გაროსზე“ სტუმრობამ ანდრე აგასიზე, ვინუსს აშკარად გაუმართლა). სამაგიეროდ, 19 წლის თანამემამულის საცქერლად წვიმიან ლონდონში დარჩნენ ბელგიის პრინცი ფილიპი და მისი ფეხმძიმე მეუღლე, პრინცესა მატილდა.

შეხვედრა ვინუსმა ძალიან ცუდად, ზედიზედ ორი ორმაგით დაიწყო, ბელგიელმა კი პირიქით — თავის მოწოდებაზე პირველ გეიმში ორი ეისი მიითვალა, თუმცა რა ხეირი?! ჯანიანმა ამერიკელმა თავდაპირველი იალლიშები მალევე გამოასწორა და ენენი 190 კმ/სთ-იან ყუმბარებს პირველ სეტში ერთხელაც აღარ გააკარა. ეფექტურად ირჯებოდა უფროსი უილიამსი ბადესთანაც: ღრმა, მძლავრ დარტყმებს წინ გაჰყვებოდა-ხოლმე და მიწაზე დაუშვებელ ბურთს შემოკლებულით ან სმეშით აუღებლად აბრუნებდა მეორე მხარეს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ვინუსის ანომალიურად გრძელი კიდურები მთელ კორტს ფარავდა და მათი გვერდის ავლა შეუძლებელი იყო.

თავის მხრივ ენენი ხშირი შეცდომებითაც უწყობდა მეტოქეს ხელს, ასე რომ, ცალკარა პირველმა ხელმა სულ 20 წუთს გასტანა. მეორე სეტის დასაწყისში თამაში შედარებით გათანაბრდა, ბელგიელმა საფირმო ცალხელა ბექჰენდზე სამიზნე გაისწორა და შავყვითელ-წითელ ალმებმოფრიალე გულშემატკივრების ღრიალს საბაბი გაუჩინა. 2:2-ზე ბელგიელმა ორი ბრეიკპოინტი რისკიანი თამაშით გადაარჩინა — მინი-კრიზისიც დაძლია, 3:2 დაწინაურდა და შეხვედრაც 15 წუთით შეწყდა წვიმის გამო.

იძულებითი შესვენების დროს მწვრთნელ კარლოს როდრიგესთან საუბარი ენენს აშკარად წაადგა. თამაში განახლდა თუ არა, მან მეტოქის მრისხანე მოწოდებებსაც შეუტია და ტყვიასავით მილებებით ამერიკელს დიდი საფიქრალი გაუჩინა. ფიქრი კი ვინუსის ძლიერ მხარეებს აშკარად არ განეკუთვნება. რამდენიმე ხანგრძლივ გათამაშებაში ბელგიელმა შესანიშნავი დამაგვირგვინებელი დარტყმებით დაჩაგრა უილიამსი, მერე ზუსტი აბრაგანებითაც გააბრიყვა და თვალის დახამხამებაში ზედიზედ სამი გეიმი მოიგო. საერთო ანგარიში გათანაბრდა.

მაყურებლები დაძაბული მესამე სეტის მოლოდინში იყვნენ, მაგრამ კაპრიატის მძლეველ ბელგიელს კიდევ ერთი ამერიკელის გაგორება კი არა, გეიმის მოგებაც აღარ ეწერა. მატჩის ბედი ენენის მიერ ხელის დასაწყისშივე წაგებულმა მოწოდებამ გადაწყვიტა. ჩია ჩოგბურთელმა სამი ბრეიკპოინტი ისევ ბრწყინვალე თამაშით გადაარჩინა, მაგრამ მერე ორი მეტად უდროო შეცდომა დაუშვა და სულ რამდენიმე წუთში უილიამსი 3:0 დაწინაურდა.

„ვინუსს არაჩვეულებრივი მოწოდება აქვს, რომლის უკან მიბრუნებაც კი ბალახზე ძალიან ძნელია. ეს მის მეტოქეებზე დიდ ზეწოლას ახდენს, რადგან საკმარისია, საკუთარი მოწოდება დათმო, დაკარგულის ანაზღაურება თითქმის შეუძლებელია. როდესაც მესამე სეტის დასაწყისში თავიდანვე ჩამოვრჩი, როგორღაც წარმატების იმედი დავკარგე“ — განაცხადა მოგვიანებით ბელგიელმა, რომელსაც ამის შემდეგ წინააღმდეგობის გაწევაც კი აღარ უცდია ხეირიანად.

დაძაბულ სიტუაციებში ნევროზულ შეტევებისკენ მიდრეკილების მქონე ვინუსს ამჯერად ასაღელვებელი აღარაფერი ჰქონდა და უიმბლდონის ზედიზედ მეორე ტიტული პირველივე მატჩპოინტზე გაიფორმა — ენენმა ბურთი ტრიბუნაზე გაგზავნა. შარშანდელისგან განსხვავებით, ამერიკელს სიხარულისგან სიმაღლეზე ხტომაში მსოფლიო რეკორდის დამყარება აღარ უცდია, მხოლოდ ერთი შეიკუნტრუშა და ბადესთან ხელის ჩამორთმევის დროს მეტოქისთვის ტკბილი სიტყვებიც კი გაიმეტა: „არ მინდოდა, ძალიან განაწყენებულიყო, მას მომავალში კიდევ ბევრი შანსი ექნება. ის შესანიშნავად თამაშობს და თუ ასე გაგრძელდა, ბევრს მიაღწევს. მახსოვს, პირველად რომ გავედი „მეიჯორის“ ფინალში, ჟიუსტინისგან განსხვავებით, სეტიც კი ვერ მოვიგე“ (1997-ის აშშ-ის ღია პირველობაზე ვინუსი 0:6, 4:6 დამარცხდა მარტინა ჰინგისთან).

ენენმა იუნიორებსა და პროფესიონალებში გამართული 15 ფინალიდან პირველი წააგო, თუმცა გული ძალიან არ დასწყვეტია. — ორშაბათიდან კლასიფიკაციაში ოთხი საფეხურითაც წაიწია წინ, მსოფლიოს მეხუთე ჩოგანი გახდა: „შარშან ამ დროს მეასე ვიყავი, ასე რომ, მეტი რა უნდა ვინატრო. წინა უიმბლდონზე პირველივე წრეში წავაგე, ახლა ფინალში გავედი და იმედია, ერთ დღეს აქ აუცილებლად გავიმარჯვებ. როდესაც შინ დავბრუნდები, ერთი კვირა გემოზე დავისვენებ და დავიძინებ, დილაობით ვერავინ გამაღვიძებს. წინა ორი კვირა სიზმარს ჰგავდა, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე მემახსოვრება“.

კვირა საღამოს ბელგიელი ტრადიციულ ჩემპიონთა კარნავალზეც აპირებდა მისვლას, მაგრამ არ დასცალდა: პაპის გარდაცვალების გამო სასწრაფოდ შინ მოუხდა დაბრუნება პრინცისა და პრინცესას თვითმფრინავით. 82 წლის ჟორჟ როზიერი, ჟიუსტინის სიმსივნისაგან დაღუპული დედის, ფრანსუაზის მამა, სინამდვილეში კვირა დილით იმსხვერპლა გულის შეტევამ. გაბუტულმა მამა ჟოზემ ქალიშვილს ეს ამბავი ტელეფონით მხოლოდ ფინალის და პრესკონფერენციის შემდეგ შეატყობინა, რათა თამაშზე კონცენტრაციაში ხელი არ შეეშალა.

გამარჯვების მიუხედავად, უილიამსი კლასიფიკაციაში ისევ მეორე ადგილზე დარჩა, თუმცა დაიქადნა, ამ უსამართლობის გამოსასწორებლად ბევრს ვიშრომებო: „შარშან ძალიან ვიზარმაცე. სიმართლე გითხრათ, უიმბლდონის წინ, რვა დღე მართლა კარგად ვივარჯიშე, მერე კი არაფრის კეთება აღარ მინდოდა, მხოლოდ ვერთობოდი, კოლეჯში ვსწავლობდი და ძაღლს ვასეირნებდი. წლეულს სხვანაირად მოვიქცევი, მეტს ვითამაშებ და ვნახოთ. ისე, საკუთარ თავს გონებაში ყოველთვის საუკეთესო ჩოგბურთელად მივიჩნევ, ვერ წარმომიდგენია, ვინმე ჩემზე უკეთესი იყოს. თუ კორტზე იმ ფიქრით გამოვალ, რომ მეტოქე მჯობს, წინასწარ წამიგია და ეგ არის.“

ვინუსი თავისი კაცური მოწოდების წყალობით „ოლ ინგლენდ კლაბში“ კიდევ დიდხანს აპირებს მბრძანებლობას, კვირას კი მას მხოლოდ ერთი მცირე პრობლემა აწუხებდა: „რაკი ვაჟთა ჩემპიონი ჯერაც არ გამოვლენილა, კარნავალზე ცეკვა მარტოს მომიხდება. რას იზამ, ბაზარი გაღარიბდა, ეტყობა, სოლოთი უნდა გავიდე ფონს.“

**ავთანდილ სვანიძე**



შეხტა, შეიკუნტრუშა: ვინუს უილიამსმა ზედიზედ მეორედ მოიგო უიმბლდონი



ჟიუსტინ ენენს ფინალისტის სარგო სინი და კენტის ჰერცოგის ქალთან საუბარიღა შერჩა

## უიმბლდონი 2001

# გორან ყველასგან მიტოვებული ივანიშევიჩმა ტიტული დრაჟენ პეტროვიჩს უძღვნა

### ნახევარფინალი

**გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) — ტიმ ჰენმანი (6, დიდი ბრიტანეთი) 7:5, 6:7 (6:-), 0:6, 7:6 (7:5), 6:3**

ათვლა გრძელდება: 1936 წლიდან მოყოლებული მასპინძელ ვაჟს უიმბლდონის მთავარი ჯილდო არ მოუპოვებია და 1938 წლიდან მოყოლებული ფინალშიც კი არ გასულა. მსოფლიოს მეთორმეტე ჩოგან ტიმ ჰენმანს წლეულს სავალალო სტატისტიკის გამოსწორების შესანიშნავი შანსი ჰქონდა, ფინალის საგზურს სულ ორი ქულა აშორებდა, მაგრამ ჯერ ამინდმა, მერე კი საკუთარმა ნერვებმა დაალალატა.

პარასკევს მატჩი სწორედ მაშინ შეწყდა, როდესაც ბრიტს გორან ივანიშევიჩისთვის ბოლო 12-დან 11 გეიმი მოეგო და მეოთხე ხელში 2:1 იყო წინ. „წვიმამ გადამარჩინა, ტიმი იმ მომენტისთვის ზეკაცივით თამაშობდა, მოწოდებებითაც კი ვერაფერს ვაკლებდი" — გაიხსენა დაწყებიდან 45 საათის შემდეგ დასრულებული მატჩის მერე ხორვატმა.

შაბათს შეხვედრა საღამოს ექვსის ნახევარზე განახლდა, მაგრამ ჩოგბურთელებს სულ 50 წუთით მიეცათ კორტზე ყოფნის საშუალება. ამ ხნის მანძილზე წაბორძიკებულმა და მუხლებზე დაცემულმა ივანიშევიჩმა სეზონის საუკეთესო დარტყმა განახორციელა, ტაი-ბრეიკზე მარცხს ბეწვზე გადაურჩა და გადამწყვეტ ხელში 3:2 დაწინაურდა.

კვირას შეხვედრის დასრულებას სულ 15 წუთი და ოთხი გეიმი დასჭირდა. 3:4-ზე ჰენმანმა ორი ბრეიკ-პოინტი კი გადაარჩინა, მაგრამ მერე ორმაგი შეცდომა დაუშვა, ერთხელაც წინ გაჭრილმა ბურთი ბადეში გაახვია და საკუთარი მოწოდება დათმო. ივანიშევიჩმა თავადაც ორმაგებით გამოიჩინა თავი მომდევნო გეიმში, მაგრამ მღელვარებას მაინც მოერია და კარიერის მეოთხე უიმბლდონურ ფინალში გააღწია.

„ორგანიზატორებმა უაილდ ქარდი გამომიყვეს, მე კი ორივე ბრიტანელი გამოვთიშე ასპარეზობას. ალბათ, ამ წუთისთვის მწარედ ნანობენ, მე საზოგადოების მთავარი მტერი გავხდი... ერთი თვის წინ ვინმეს რომ ეთქვა, უიმბლდონის ფინალში გაგიყვან, მაგრამ უნდა წააგოო, უყოყმანოდ დავთანხმდებოდი. აი, ახლა კი კიდევ ერთხელ დამარცხება არ მინდა, შინ უკვე მაქვს ფინალისტის სამი სინი. თუ ამ ღამით სიზმარში ანგელოზი გამომეცხადება და მეტყვის, კარგი, გორან, ხვალ ჩემპიონი გახდები, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე აღარ უნდა გაეკარო ჩოგანსო, თანახმა ვიქნები, ჩოგბურთი აღარასოდეს ვითამაშო".

### ფინალი

„გუშინ ღამით არავინ მოსულა. სიმართლე გითხრათ, დიდი-დიდი ორი საათი მეძინა, საშინლად ვნერვიულობდი. ღამის ორის ნახევარზე გამეღვიძა, უკვე გათენებული მეგონა, მაგრამ ჯერ ძალიან ადრე იყო. თვალი ვეღარ მოვხუჭე. არავინ მოსულა, არც ანგელოზი და არც სხვა — აღნიშნა პრესკონფერენციაზე უკვე უიმბლდონის ჩემპიონმა, 29 წლის ხორვატმა — ისე, მგონია, ახლაც სიზმარში ვარ, ვინმე გამაღვიძებს და მეტყვის, კორტზე გასვლის დროა, ფინალი გელისო. ბედნიერი ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს მთავარ ჯილდოს ხელი შევახე. ახლა სიცოცხლის ბოლომდე ერთი მატჩიც რომ ვერ მოვიგო, სულაც აღარ მენაღვლება."


როგორც იქნა, გორან ივანიშევიჩმა სანუკვარ თასს ხელი შეავლო

## ვაჟთა ფინალი

**გორან ივანიშევიჩი — პატრიკ რაფტერი (3, ავსტრია) 6:3, 3:6, 6:3, 2:6, 9:7**

### სტატისტიკური მონაცემები

| *ივანიშევიჩი* | | *რაფტერი* |
|---|---|---|
| 91/164-დან — 55% | I მოწოდების % | 88/140-დან — 63% |
| 27 | ეისები | 13 |
| 16 | ორმაგი შეცდომები | 4 |
| 30 | უნებლიე შეცდომები | 11 |
| 74/91-დან — 81% | I მოწოდებაზე მოგებული ქულები | 68/88-დან — 77% |
| 37/73-დან — 51% | II მოწოდებაზე მოგებული ქულები | 29/52-დან — 56% |
| 42 | სუფთად მოგებული ქულები | 49 |
| 3/6-დან | ბრეიკ-პოინტების გამოყენება | 3/6-დან |
| 38/70-დან — 54% | ბადესთან მოგებული ქულები | 49/79-დან — 62% |
| 154 | სულ მოგებული ქულები | 150 |
| 214 კმ/სთ | უსწრაფესი მოწოდება | 198 კმ/სთ |

*დრო: 3 საათი და 1 წუთი*

გორანის გარდა კვირა ღამით „ოლ ინგლენდ კლაბის" სალაროებთან გიგანტურ რიგში მყოფ ათასობით ავსტრალიელს და ხორვატსაც არ უძინია. უიმბლდონის ორგანიზატორებმა ორშაბათს გასამართი ვაჟთა ფინალისთვის ბილეთებს ფასად 40 გირვანქა დაადეს, ადგილები ზედ არ დააწერეს და წინა რიგებში მოკალათება ქომაგთა სპრინტერულ მონაცემებზე იყო დამოკიდებული.

შედეგად გუშინ ცენტრალური კორტი (კლუბის წევრებს და ძვირფას აბონემენტთა 3000 მფლობელს თუ არ ჩავთვლით) ჩვეულმა ელიტარულმა და ასაკოვანმა საზოგადოებამ კი არა, საოცრად ხმაურიანმა მაყურებელმა შეავსო. „არა მგონია, ასეთი ატმოსფერო უიმბლდონზე ოდესმე ყოფილიყოს, ან მომავალშიც იყოს, ალბათ, სანამ ტიმი არ გავა ფინალში. ჰაერი დამუხტული იყო, უამრავი გორანის ქომაგი, უამრავი ავსტრალიელი მწვანეებსა და ყვითლებში. ჩვენ სწორედ ამისთვის ვთამაშობთ, იქ ყოფნა ერთი სიამოვნება გახლდათ" — ეს სიტყვები დამარცხებულ პატრიკ რაფტერს ეკუთვნის.

ჩოგბურთელებმა ძალ-ღონე და ენერგია არ დაიშურეს, რათა ქომაგებისთვის იმედი არ გაეცრუებინათ და მათ მართლაც დაუვიწყარი სანახაობა აჩუქეს — ასეთი ფინალი უიმბლდონს დიდი ხანია, არ უნახავს.

რისი თქმა შეიძლება ზოგადად შეხვედრაზე? როგორც ყოველთვის, ივანიშევიჩის მოწოდება მრისხანედ გამოიყურებოდა. ხეირიანად თამაშობდა ხორვატი მიღებებსა და შემოვლებულებზეც, თუმცა ბადესთან მეტად უგერგილოდ ირჯებოდა, ხან უხეშ შეცდომებს უშვებდა, ხან კი არასწორი გადაწყვეტილებებით მეტოქეს თავის გაბრიყვების საშუალებას აძლევდა.

რაფტერი პირიქით: სუსტად და გორანისთვის უფრო მოსახერხებელ, ფორჰენდის მხარეს აწოდებდა, მიღებები და ზუსტი აბრაგანებიც ალაგ-ალაგ გამოსდიოდა, სამაგიეროდ, ბადესთან ოსტატურად და ათლეტურად აგვირგვინებდა გათამაშებებს.

ივანიშევიჩისთვის ყველაზე უსიამოვნო მეოთხე ხელი გამოდგა. მეექვსე გეიმში ბრეიკ-პოინტზე ეისი მას „ფუტ-ფოლტის" (მოწოდებისას ფეხის უკანა ხაზზე დაბიჯება) გამო გაუუქმეს, მერე მეორე მოწოდებაც აუტად ჩაუთვალეს. აღშფოთებულმა გორანმა ჩოგანი კორტს დაახეთქა, ფეხი ბადეს უთავაზა, მთავარ მსაჯს კარგა ხანს ეკამათა და განერვიულებულმა ზედიზედ ხუთი გეიმი წააგო: „ის ფუტ-ფოლი მთელ ტურნირზე პირველი იყო ჩემთვის, არ ვიცი, რა დავუშავე იმ ქალს, ისეთი მახინჯი იყო, ისედაც მეშინოდა. მერე მეორე მოწოდება ხაზს დავასვი და სხვა გვერდითა მსაჯმა, გრძელთმიან ჰომოსექსუალისტს რომ ჰგავდა, არ ჩავარდნილაო, განაცხადა. ერთხანს კინაღამ შევიშალე, მაგრამ ვიცოდი, დროზე თუ არ მოვეგებოდი გონს, ჩემპიონობას გამოვეთხოვებოდი, ამიტომ მალე დავწყნარდი".

გადამწყვეტი, მეხუთე ხელი საოცრად დაძაბული გამოდგა. 5:5-ზე რაფტერმა ზედიზედ 9 პირველი მოწოდება ააცილა, მაგრამ ბადესთან ბრწყინვალე თამაშით დაიძვრინა თავი. 7:6-ზე უკვე თავად ავსტრალიელს ჰქონდა ტიტულის მოპოვების შანსი — ჯერ 0:30-ზე, მერე თანაბარზე ორი ქულა აშორებდა ჩემპიონობას, მაგრამ გორანს მხსნელად მოწოდება მოევლინა.

მომდევნო გეიმში ავსტრალიელი გატყდა. ივანიშევიჩმა მძლავრი მიღებებით ორ ბრეიკ-პოინტს მიატანა და განერვიულებული რაფტერის ქალივით სუსტ მეორე მოწოდებას ბდღვირი ადინა — 8:7.

კარიერის ყველაზე მნიშვნელოვან წუთებში გორანს კინაღამ თავგზა აებნა. ხორვატმა ჯერ აუტში მიმავალ ბურთს გაჰკრა ჩოგანი სულ ტყუილუბრალოდ, მერე ორი მატჩ-პოინტი ორმაგი შეცდომებით გაანიავა, ისტერიკაში ჩავარდა, პირჯვრის წერას მიჰყო ხელი და თვალებიდან ცრემლები წამოსცვივდა. რაფტერს შეეძლო, მეტოქის სისუსტით ესარგებლა, მაგრამ ბექჰენდი ცარიელ კორტს ააცილა, ბოლო ორი მიღება ბადეში გაახვია და მატჩიც დასრულდა.

ივანიშევიჩი ჯერ ზურგზე დავარდა, მერე მუცელზე გადატრიალდა და ხმამაღლა ატირდა. შორეულ ხორვატიაში სამი საათის განმავლობაში დაცარიელებულ ქუჩებში ხალხი გამოეფინა, თოფები გავარდა და შამპანურის საცობებმა იგრიალა.

„ამას მთელი ცხოვრება ველოდი, ხალხი პატივს მცემდა, მაგრამ მათ თვალში ყოველთვის მეორეადგილოსანი ვიყავი, უიღბლო წაგებული, ამიერიდან კი სადაც არ უნდა წავიდე, ყველგან უიმბლდონის ჩემპიონი ვიქნები — გაიხარა გორანმა, რომელიც ტრიბუნებზე ავარდა და მამას, სპლიტელ მასწავლებელს გადაეხვია — საცოდავი მამაჩემი, ეს მატჩიც რომ წამეგო, ნამდვილად გული გაუსკდებოდა. ჩვენ ერთად გავიმარჯვეთ. ამ ტიტულს ჩემს ძველ მეგობარს, ევროპის ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელს, 1993 წელს დაღუპულ დრაჟენ პეტროვიჩს ვუძღვნი, მაშინ ვერ მოვახერხე, მაგრამ, ახლა 8 წლის დაგვიანებით შევძელი. მშვიდად განისვენე, დრაჟენ!"

ახლა კი ცოტაოდენიც გორანის რეკორდზე: ხორვატი პირველი „უაილდ ქარდით" მიწვეული ჩოგბურთელი გახდა, ვინც დიდი სლემის ტურნირი მოიგო; ორი კვირის მანძილზე 213 ეისით თავისივე უიმბლდონის მიღწევა შვიდით გააუმჯობესა; მასზე უარესი კლასიფიკაციით „მეიჯორი" მხოლოდ მარკ ედმონდსონს მოუგია (გორანი 125-ეა, ედმონდსონი 1976-ის ავსტრალიის ღია პირველობაზე 212-ე იყო).

**ავთანდილ სვანიძე**

**ქალთა წყვილების ფინალი: ლაიზა რეიმონდი (აშშ) და რენე სტაბსი (ავსტრალია) (1) — კიმ კლაისტერსი (ბელგია) და აი სუგიამა (იაპონია) (9) 6:4, 6:3**

**ვაჟთა წყვილების ფინალი: დონალდ ჯონსონი და ჯარედ პალმერი (4, აშშ) — ირჟი ნოვაკი და დევიდ რიკლი (3, ჩეხეთი) 4:6, 6:3, 7:6 (8:6)**

**შერეული წყვილების ფინალი: ლეოშ ფრიდლი (ჩეხეთი) და დანიელა ჰანტუჩოვა (სლოვაკეთი) — მაიკ ბრაიანი (აშშ) და ლიზელ ჰუბერი (სამხრეთ აფრიკა) 4:6, 6:3, 6:2**

**იუნიორ ვაჟთა ფინალი: რომან ვალენტი (10, შვეიცარია) — ჟილ მიულერი (2, ლუქსემბურგი) 3:6, 7:5, 6:3**

**იუნიორ ვაჟთა ფინალი წყვილებში: ფრენკ დანჩევიჩი (კანადა) და ჯოვანი ლაპენტი (ეკვადორი) (8) — ბრუნო ეჩაგარია და სანტიაგო გონსალესი (1, მექსიკა) 6:1, 6:4.**

*ჯოვანი ლაპენტი ნიკოლასის უმცროსი ძმაა*

**იუნიორ გოგონათა ფინალი: ანჯელიკა ვიჯაია (8, ინდონეზია) — დინარა საფინა (15, რუსეთი) 6:4, 0:6, 7:5**

*15 წლის დინარა საფინა მარატის დაა, სიმაღლეში უკვე 181 სანტიმეტრია და ძმაზე არანაკლებ მომავალს უწინასწარმეტყველებენ*

**იუნიორ გოგონათა ფინალი წყვილებში: გიზელა დულკო (არგენტინა) და ემლი ბარკლროუდი (აშშ) (3) — კრისტინა ჰორაციოპულოსი (ავსტრალია) და ბეთანი მატეკი (აშშ) 6:3, 6:1**


ეს წამებია, გორან ივანიშევიჩი უიმბლდონის ჩემპიონი გახდა


გაბრაზებულმა პატრიკ რაფტერმა ბურთს ჩოგნის ნაცვლად ფეხი ამოსცხო

# ქალთა ფინალის ცქერისას





REUTERS ლონდონიდან

კვირა საღამოს, როგორც იქნა შედგა უიმბლდონის ქალთა ფინალი. ვინუს უილიამსმა იოლად სძლია ბელგიელ ჟუსტინ ენენს, 6:1, 3:6, 6:0. ამ ერთგვარი სიიოლის მიუხედავად, მოხდენილ ბელგიელს ფინალში გასვლა გვარიან წარმატებად ჩაეთვალა. ბელგიის პრინცი ფილიპი და მისი მეუღლე მატილდა ტყუილად არ დამსხდარან ლოჟაში. ვის ქომაგობდა ბორის ბეკერი ძნელი ამოსაცნობია. მთელი კვირა დღე მან ცენტრალური კორტზე გაატარა, ჯერ მამაკაცთა გადადებულ ნახევარფინალს უქირა, შემდეგ კი ქალთა ფინალს. საიდუმლოდ ისიც დარჩა, როდის მოასწრო ბეკერმა ჰალსტუხის გამოცვლა. გამარჯვებულის მამამ კი თითქოს წინასწარ იცოდა ვინ იყო გამარჯვებული. ვინუს უილიამსის მამა და მწვრთნელი, რიჩარდი აპარატმომარჯვებული აღბეჭდავდა შვილის წარმატებას.



REUTERS ლონდონიდან

## ბოლო ვიზიტი



REUTERS მოსკოვიდან

თავისი ბოლო ვიზიტით საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის რანგში, ხუან ანტონიო სამარანჩი მოსკოვს ეწვია. და რა თქმა უნდა ხლებ-სოლიც იგემა შემოგებებულ მათუშკათა ხელიდან. ამ კვირის ბოლოს რუსეთის დედაქალაქში სოკ-ის კონგრესი გაიმართება, რომელიც ახალ პრეზიდენტს აირჩევს და 2008 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქსაც გამოავლენს.

## მონტევიდეოს ტალახში

მონტევიდეოში, გვარიან ტალახში ურუგვაის ნაკრებმა ტესტი გაუმართა იტალიელებს და 3:14 წააგო. ერთი ჩვეულებრივი, „ბ" კლასის ტესტი იყო, თუმცა ჭიდილი ფიცხელი გამოვიდა, რასაც ეს ფოტოც ადასტურებს.



REUTERS მონტევიდეოდან



REUTERS დაიტონა ბიჩიდან

## ბრიტნი მარშალი

დაიტონა ბიჩის შარაზე ნასკარის მორიგი რბოლა გაიმართა. ამ სრულიად გიჟური რბოლის გამარჯვებული დეივდ ერნჰარტ-უმცროსი შეიქნა, რომელიც გახლავთ ვაჟი ორიოდ თვის წინათ დაღუპული ნასკარის დიადი ჩემპიონის, დეივდ ერნჰარტისა. რბოლაზე გრანდ მარშალად, ანუ სასტარტო ნიშნის მიმცემად იყო მომღერალი ბრიტნი სპირსი, რომელიც დიდი მოყვარულია ამ სამანქანო რბოლისა და დიდად ჩაუქად მართავს მანქანას.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჩიანია, გიორგი ვამაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, თამაზ გოგებაშვილი, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge